

უილიამ ზეჰსკიჩი

სიამონ ათენელი
პიესა

ინგლისურადან თარგმანა
პიორგი ნიუნბენიძე

გამომცემლობა
„ჭანატლეა“

თბილისი – 1982

მოქმედი პირნი:

ტიმონი

ათენელი კეთილშობილი

ლუციუსი

ლუკულუსი

სამპრონიუსი

დიდებულები, ტიმონის მამებლები

ვენტილიუსი

აპამანტუსი

ალკიბიადე

ფლავიუსი

ტიმონის ერთ-ერთი ორგული მეგობართაგანს
ახირებული ფილოსოფოსი
ათენელი მხედართმთავარი
ტიმონის მეურვე

ფლავინიუსი

ლუცილიუსი

სარვილიუსი

ტიმონის მსახურები

კაფინი

ფილოტუსი

ტიტუსი

ლუციუსი

ტიმონის მეგალეთა მსახურნი

ჰორტენზიუსი

პაროს ორი მსახური

ნილორეს მსახური

ტიმონის ორი მავალი

კუპიდონი და ნილზები

საჰი უცნობი

კოეტი

მხატვარი

ოპრომპედელი

ვაჰარი

მონუსი ათენელი

კაჰი

მასხარა

ფრინია

ტიმანდრა

ალკიბიადეს საყვარლები

დიდებულები, სენატორები, ოფიცრები, მეომრები, ქურდები და ამაღი.
მოქმედება ხდება ათენში და მის მახლობლად ტყეში.

მოქმედება I

სცენა I

ათენელები. დარბაზი ტიმონის სახლში.

ახვადასხვა მხროდან შემოდინ პოეტი, მხატვარი, ოქრომჭედელი, ვაჭარი და სხვები.

პოეტი.

დღე მშვიდობისა!

მხატვარი.

ნუ მოგაკლოთ ღმერთმა მშვიდობა!

პოეტი.

არ მინახიხართ რა ხანია... ისე რასა იქს
ესე ქვეყანა?

მხატვარი.

იმას იკლებს, რასაც იმატებს.

პოეტი.

ეგ ხომ ეგრეა. თქვენ ისეთი რამე გვითხარით,
დღეში ათასჯერ ხსენებაც რომ ვერ მოინელებს.
ერთი შეხედეთ — რა დიდი ხარ ოქროს ცთუნებავ!

მხატვარი.

უზენაესმა ძალამ შენმა ყოველი სული
მონუსხა შენდა მსახურებად... ამ ვაჭარს ვიცნობ.
მეცნაურება მეც ორივე. მგონი მეორე
ოქრომჭედელი უნდა იყოს.

ვაჭარი.

ჩვენი ტიმონი

კაცია ყოვლად ღირსეული.

ოქრომჭედელი.

ეჭვიც არ არის.

ვაჭარი.

ბადალი არ ჰყავს. დღენიადაგ ის აუწყველი
და უანგარო მადლითა და სიკეთით სუნთქავს.

ოქრომჭედელი.

აჰა, შეხედეთ — აი, თვალი პატიოსანი!

ვაჭარი.

აბა, გეთაყვა, — ალბათ ტიმონს უნდა მიართვათ?

ოქრომჭედელი.

თუ სათანადოდ შეაფასებს, მაგრამ მე მაინც...
(ამიღლებული ტონით)

პოეტი.

„როცა თაყვანს სცემს ანგარება ბიწიერებას,
ჩირქი ეცხება იმ ლამაზი ლექსის სტრიქონსაც,
მხოლოდ სიკეთის წმინდა ძალას რომ განადიდებს“.
მშვენიერია (ათვალიერებს პატიოსან თვალს).

ვაჭარი.

და ძვირფასიც გახლავთ, გეთაყვა,

ოქრომჭედელი.

აბა შეხედეთ, წყალზე უფრო გამჭვირვალეა.

მხატვარი. (პოეტს). თქვენ რაღაც ფიქრმა გაგიტაცათ და მალე ლექსით
შეეგებებით ალბათ ტიმონს!

პოეტი. ჰო, უნებურად
ამეკვიატა რაღაც ლექსი. ყველა სტრიქონი
წებოს ჰგავს, მწიფე ტოტები რომ გადმოღვენთავენ;
თუ არ დაკვესე, კაჟში ცეცხლი ვით გამოვლინდეს,
მაგრამ ის ცეცხლი, ჩვენ რომ ასე ტკბილად გვაწვალებს,
თვით იბადება და მაშინ კი მას ვერ აღუდგეს
ვერც ერთი ზღუდე, რომ ერთიან არ მიმოირღვეს...
ეგ რა გიჭირავთ?

მხატვარი. სურათია, ბატონო ჩემო...
როდის ვიხილავთ, ძმაო, თქვენს წიგნს?

პოეტი. ჩემს ძღვენს მოჰყვება.
ნება მომეცით, ეხლა თქვენი სურათი ვნახო.

მხატვარი. არა უჭირს რა.

პოეტი. ბრწყინვალე და დიდებულია.

მხატვარი. არც ასეთია.

პოეტი. არა, მართლაც საუცხოვოა:
ნაკვთი ყოველი სინატიფის სახედ ქცეულა
და თვალებიდან სიბრძნის დიდი ძალა გამოკრთის...
როგორ მალავენ ბაგეები იღუმალებას...
რა მსუბუქია ფანტაზია!

მხატვარი. მე მგონი, მაინც
ცხოვრების კარგი მიბაძვია. ეს როგორ მოგწონთ?
პოეტი. ბუნებასაც კი შეშურდება. ან ამ სხეულში
ჩასახლებული ხელოვნური სუნთქვა და სითბო
თვითონ ბუნებრივ სიცოცხლეზეც მეტია თითქოს.
(სცენაზე რამდენიმე სენატორი გამოჩნდება)

მხატვარი. დიდი ამალით მობრძანდება ბატონი ჩვენი!
პოეტი. ეჰ, ბედნიერი ათენელი სენატორები!
მხატვარი. და აჰა, კიდევ!

პოეტი. ერთად მასთან მისთა სტუმართა
დაძრულან ზღვები. ჩემს უგვანო ნაწარმოებში
მე გამოვსახე კურთხეული კაცი, რომელსაც
უხვად სწყალობს და ანებივრებს თვითონ განგება.
მე წვრილმანებით არ ვაბრკოლებ გაფრენილ სტრიქონს,

ლაღად მიჰყვება ის დინებას დრო და ჟამისა,
მოჰყვებს, ვითარცა ცით არწივი გარდმომავალი
და იკარგება კვალი მისი.

მხატვარი.

რა ვქნა, არ მესმის.

პოეტი.

ეხლავ გაიგებ. ყველა ჯურის, ყველა წოდების
კაცნი — მლიქვნელნი იქნებიან, თუ პირმტკიცენი, —
ეს სულ ერთია — მოდიან და თავიანთ ძალას
მსხვერპლად სწირავენ მხოლოდ ტიმონს: განუსაზღვრელი
მისი ქონება და უზომოდ კეთილი გული
იზიდავს ყველას — ისე როგორც ქოსა პირმოთნეს,
ასევე უკმეხ აპემანტუსს, ვინც საკუთარი
თავის გაკიცხვა ამჯობინა ყველა სიკეთეს;
თვითონ ეს კაციც მუხლებს იყრის იმის წინაშე
და შინ ბრუნდება მუდამ მშვიდი და კმაყოფილი.

მხატვარი.

პოეტი.

მეც მინახია — ხშირად ერთად მასლაათობდნენ.
ერთ მშვენიერ და მაღალ მთაზე დავდგი განგების
უებრო ტახტი და ოთხკუთხივ შემოგარენი
ყველა შეძლების და წოდების ხალხით ავავსე,
ვინც განდიდების სიყვარულით მიწას ჩიჩქნიან,
ვინც დღენიადაგ შურიანი ხარბი თვალებით
შეჰფოფინებენ ჭვეყნის ბედის მპყრობელ დედოფალს.
მათ შორის ერთი დგას ტიმონის ფერით და ხორციით,
თვითონ მაღალი განგებაა მისი მფარველი,
რომლის გულუხვმა მოწყალებამ მოსისხლე მტერნიც
მის მეგობრებად მოაქცია.

მხატვარი.

ღმერთმანი, მართლაც

საუცხოვოა. — ან ეს ბედი, ეს მთა, ეს ტახტი,
თვითონ ეს კაციც, რჩეულთაგან გამორჩეული,
ბედნიერების მოლოდინში მთათა წინაშე
თავი რომ დაბლა დაუხრია, — ამის უკეთესს
რას მოიგონებს, რას დახატავს განა მხატვარი?!
მე გეთანხმებით... წუთით ეხლა თქვენც მომისმინეთ...
ყველა, რომელმაც მის მეგობრად ჩასთვალა თავი,
მათ შორის მასზე ღირსეულნიც, ყველანი ერთად,
უკან მოსდევენ ბედის რჩეულს და დერეფნებში
მაამებლური მზრუნველობით ქებას ასხამენ,

პოეტი.

თაყვანს სცემენ და აღიღებენ იმის დეზებსაც,
მისით ცოცხლობენ, მისი ყოფით სულს იბრუნებენ.
ჰო, მაგრამ მერე?

მხატვარი.
კოეტი.

როცა იგი ბედი მსახვრალი

მისთვის ჩვეული ჟინითა და უხიაკობით
გასწირავს თავის გამორჩეულს და უკუაგდებს,
მაშინ ისინი, ვინც აქამდე მის წინ მუხლებზე
ფორთხავდნენ, ახლა ყურსაც კი არ შეიბერტყავენ,
ან უკან როგორ გაჰყვებიან მოწყვეტილ ფეხებს...
ეს, ძმაო, ყველგან ასე ხდება, მეც შემძლია,
განახო დასტა სურათების, სადაც კვიმატი
ბედის დაცინვა უკეთ მოჩანს, ვიდრე სიტყვებში,
მაგრამ თქვენ კარგად მოქცეულხართ, როცა ტიმონის
ბედი აღწერეთ — განწირული კაცის ფეხები
ბოლოს ყოველთვის თავზე უფრო მალლა გვიხილავს.

მხატვარი.

საყვირების ხმა. შემოდის ტიმონი თავისი ამალით; იგი ვენტიდიუსის მსახურებს ესა-
უბრება.

ტიმონი.

ვენტ. მსახური.

მაშ, როგორც ამბობთ, იგი უკვე დააპატიმრეს?
დიახ. ბატონო, სულ ხუთ ტალანტს ემართლებიან;
საშუალება შერჩა მცირე, მევალენი კი
უსაშველონი. — გვედრით, — სიტყვა პატიოსანი
იქნებ როგორმე მოახსენოთ მის თანამდებთა.
თუ უარს ეტყვით, მით ხანგრძლივყოფთ პატიმრის ურვას
და გულისწუხილს.

ტიმონი.

ვენტიდიუსს კეთილშობილო!

კეთილი, დასტურ არ მჩვევია მოყვასი ჩემი
მაშინ გავსწირო, როცა უჭირს. ჩემი წყალობის
ღირსია იგი, ადამის ძე პატიოსანი.

ვენტ. მსახური.

ტიმონი.

ვუსტუმრებ ვალებს და ვანიჭებ თავისუფლებას.
მას თქვენი ზრუნვა საუკუნოდ ავალდებულებს.
ჩემი სალამი გადაეცი. ფულს ეხლავ გავცემ.
როცა იხილო, მოახსენე სახლში მეწვიოს. —
არ კმარა მხოლოდ შეიწყალო კაცი საპყარი,
მას მხარშიც უნდა ამოუდგე, — იყავ მშვიდობით!

ვენტ. მსახური.

სიკეთის ძალა ნუ მოაკლდეს თქვენს ბრწყინვალეებს! (გაღის).

(შემოდის მოხუცი ათენელი)

მოხუცი ათენ.
ბიკონი.

ბატონო ჩემო, მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა.
გისმენ, მოხუცო.

მოხუცი ათენ.
ბიკონი.

ლუცილიუს, თქვენი მსახური...
დიახ, რა მოხდა?

მოხუცი ათენ.

ჰოი, მამრო კეთილშობილო,
მოუხმეთ იმ კაცს.

ბიკონი.

აქ თუ არის? — ჰე, ლუცილიუს!

(შემოდის ლუცილიუსი)

ლუცილიუსი.
მოხუცი ათენ.

აქ გახლავთ თქვენდა მსახურებად.

ეს ახალგაზრდა

მსახური თქვენი ღამით ჩემს სახლს აღარ შორდება.
მოგეხსენებათ, მე სიყრმიდან ქვასაც ფულს ვადენ —
ხელმომჭირნე ვარ, და ნუ მიწყენ, ჩემი გროშები
უფრო უკეთეს მემკვიდრისთვის თუ მემეტება,
ვიდრე ეს გახლავთ, ნადიმებზე სინის მიმტანი.
განაგრძე, გისმენ.

ბიკონი.
მოხუცი ათენ.

ტიმონ, მხოლოდ ერთი ქალი მყავს,
მის გარდა არვინ ქვეყანაზე არ გამაჩნია,
რაც შევიძინე, მისთვის მინდა, ქალს არა უჭირს
და, ვგონებ, მისი ქორწინების დროც მოიწია,
არ დამიკლია არც აღზრდა და არც განათლება
და ეხლა, აჰა, უტიფარი მსახური თქვენი
ქალის სიყვარულს მემართლება. ბატონო ჩემო,
მორჩილად გვედრით ამ თავნებას ჰკუა ასწავლოთ,
მე ვერას გავხდი ჩემდა თავად.

ბიკონი.

მე კი ვიტყოდი,

მოხუცი ათენ.

რომ იგი სანდო კაცი გახლავთ.

ღმერთმაც ქნას, ტიმონ,

მოდო, ეს ნდობა ხელის ფულად ისევ მას დარჩეს, —
რა შუაშია ჩემი ქალი.

ბიკონი.

ქალი რას ამბობს?

მოხუცი ათენ.

ვგონებ თანახმა უნდა იყოს. ჯერ ყმაწვილია: —
თქვენ ხომ. უფალო, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ,
ვნებააშლილი თუ რაოდენ ბეცია სიყრმე.

ბიონი. (ლუცილიუსს) შენ რაღას იტყვი, ლუცილიუს, გიყვარს ის ქალი?

ლუცილიუსი.
მოხუცი ათან. დიახ ბატონო, და იმასაც გულით ვუყვარვარ. უკეთუ ქალი გვერდს აუვლის ჩემს ნებასურვილს, გროშსაც არ მივცემ, მოწამეა მალლა ღმერთები, — მემკვიდრეობას გადვულოცავ ქვეყნის მათხოვარს და არა მქონე უპოვარსა.

ბიონი. მზითვად რას ატან
მოხუცი ათან. ქალიშვილს, ვინმე შესაფერი თუ შეეძლება? ამჟამად სამი ტალანტი და შემდეგში ალბათ რაც მახადია.

ბიონი. მეც ეს კაცი დიდი ხანია
მოხუცი ათან. მემსახურება. სხვის ბედსა და ბედნიერებას ხელს თუ შევუწყობთ, ეს ხომ კაცთა ვალია მხოლოდ. მიეცი ქალი, რასაც მზითვად იმეტებ, იმდენს მეც ვუწყალობებ ლუცილიუსს — მაშინ ორივე მხარე, მოხუცი, ერთმანეთის ფარდი გამოდის. კეთილი, ტიმონ, მომე სიტყვა პატიოსანი და მისი იყოს ჩემი ქალი.

ბიონი. ჰა, ჩემი ხელი.

ლუცილიუსი. ხოლო სიტყვა კი გაამართლოს პატიოსნებამ. უღრმეს მადლობას მოგახსენებ. აწ, ამა ქვეყნად თუ კიდევ მელის წყალობა და ბედნიერება, ისიც თქვენ უნდა დაგიმადლოთ!

(გაღიან ლუცილიუსი და მოხუცი ათანელი)

კოეტი. ღირს ჰყავით ჩემი
მცირედი გარჯაც. და სურვილი დღეგრძელობისა.

ბიონი. გმადლობთ. მოვიცილი მალე თქვენთვის, შორს ნულარ წახვალთ.

ახატვარი. თქვენ, ჩემო კარგო, მგონი, რაღაც მოგიტანიათ. დიახ, უბრალო სურათია და გევედრებით უარს ნუ მეტყვით.

ბიონი. ვესალმები თქვენს ხელოვნებას. რა სურათი და რაღა კაცი, ის — იგივეა, — როცა კაცის სულს აუგი და მანკი განაგებს,

ადამის შვილი გარეგნულად ფასდება მაშინ:
აქ, ამ სურათშიც თავის თავს ჰგავს ძე ხორციელი, —
ოდენ ხატია გარეგნული. მე ფრიად მომწონს
და დაგიმტკიცებთ მალე ამას. აბა გეთაყვა,
დაპატიჟება არ დაგჭირდეთ.

ვახაბვარი.

მალლა ღმერთები

გყავდეთ მფარველად!

ტიმონი.

მეგობრებო, ყველა უკლებლივ

დღეს ჩემთან ერთად ისაძილებთ, ნახვამდის.

(ოქრომჭედელს) — ეგ ქვა

განდიდდა ხოტბით, ფერი უფრო მოეცა ქებით.

ოპრომჭედელი.

რაო? ძაგებით?

ტიმონი.

მეტისმეტი მოწონებითა.

უკეთუ ისე შემეფასებთ, როგორც აქებენ, —

უნდა დავიქცე.

ოპრომჭედელი.

მისი ფასი, ბატონო ჩემო,

არის იმდენი, რასაც მასში გაიმეტებდა

თვითონ პატრონი, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ,

რომ ქვეყანაზე ყველა ნივთი იმით ფასდება,

თუ ვინ ატარებს მას, ვინ არის მისი მფლობელი.

მერწმუნეთ, ტიმონ, რომ თქვენ ხელში ეს ბრილიანტი

უფრო ძვირი ღირს.

ტიმონი.

დაცინვა კი კარგი გცოდნიათ.

ვახაბარი.

ო, არა, ჩემო მწყალობელო, ის იმას ამბობს,

აქ თვითეული ჩვენგანიც რომ დასტურ იტყოდა.

ტიმონი.

ხედავთ, ვინ მოდის, ჩანს, გაკიცხვა მოგნატრებიან?

(შემოდის აპემანტუსი)

ოპრომჭედელი.

გავინაწილებთ თქვენთან ერთად.

ვახაბარი.

არვის დაინდობს.

ტიმონი.

სალამი შენდა, საყვარელო ადამიანო?

აკვანახუსი.

საყვარელოო? აპემანტუსს ვერ შეიყვარებ,

ვიდრე გოშიად არ იქცევი, ვიდრე მლიქვნელი

ამალა შენი არ იწამებს პატიოსნებას.

ტიმონი.

ვისაც არ იცნობ, მიკვირს, მლიქვნელს რატომ უწოდებ?

აკვანახუსი.

ათენელები უნდა იყვნენ შენი სტუმრები?!

ტიმონი.

ავამანტუსი.

დიახ, სწორს ბრძანებ.

მაშინ არცერთ საკუთარ სიტყვას

არ ინანიებს აპემანტუსს.

ოპროპოდეალი.

ავამანტუსი.

მე მგონი, მიცნობ.

მოგეხსენებათ, კარგად გიცნობთ, მე მხოლოდ თქვენი საკადრისი სახელით მოგმართეთ.

ტიმონი.

ავამანტუსი.

რად ყოყლოჩინობ, აპემანტუს?

ტიმონი.

ავამანტუსი.

მეამაყება, რომ არაფერში ვგავარ ტიმონს.

ტიმონი.

ავამანტუსი.

საით გაგიწევია?

ერთ პატიოსან ათენელს ტვინი უნდა ამოვართვა.

სიკვდილის ფასად დაგიჯდება ამგვარი ხუმრობა.

რას იზამთ, თუკი შეუძლებლის მოქმედს სიკვდილით სჯის ჩვენი კანონი.

ტიმონი.

ავამანტუსი.

აბა, ეს სურათი როგორ მოგწონს, აპემანტუს?

ტიმონი.

ავამანტუსი.

საუცხოვოა, რამეთუ უვნებელია.

დიდი ხელოვანია შემომქმედი!

ის უფრო დიდი ხელოვანია, ვინც ეს კაცი შემოქმედად აქცია, ისე კი — კარგი ნათხაპნი გამოუვიდა.

მხატვარი.

ავამანტუსი.

ძალლო.

დედაშენი და მე ერთი მოდგმისა ვართ. მე თუ ძალლი ვარ... ის რაღაა?

ტიმონი.

ავამანტუსი.

დღეს ჩვენთან ერთად არ ისადილებ?

ტიმონი.

ავამანტუსი.

არა, მე დიდებულებს არ გეახლებით.

ჰო, რა თქმა უნდა, მაშინ მანდილოსნებს განარისხებდი.

პირიქით, მანდილოსნები თავად შეექცევიან დიდებულებს.

იმიტომაც დადიან დიდი მუცლებით.

ტიმონი.

ავამანტუსი.

ფრიად უწმაწური შენიშვნაა.

ტიმონი.

ავამანტუსი.

შენია, შენ გეკუთვნის.

ამ პატიოსან ქვაზე რაღას იტყვი, აპემანტუს?

მომწონს როგორც გულუბრყვილობა; ისე კაცისთვის უბრალო გროშადაც არ ღირს.

ტიმონი.

ავამანტუსი.

როგორ ფიქრობ, რა ეღირება?

კოვატი.

ავამანტუსი.

ფიქრადაც არ ღირს, რას იტყვი, პოეტო?

შენ რაღას იტყვი, ფილოსოფოსო?

კოვატი.

მატყუარა ხარ.

განა ფილოსოფოსი არ ბრძანდები?

აკემანტუსი.
კოეტი.
აკემანტუსი.
კოეტი.
აკემანტუსი.

გახლავარ.

მაშინ არ ვსტყუი.

კი მაგრამ თავად ხომ პოეტი ხარ?

ღიახაც ვარ.

ჰოდა სტყუი: აბა, უკანასკნელი ლექსი გაიხსენე, სადაც ეს კაცი (მიუთითებს ტიმონზე) ღირსეულ ადამიანად შერაცხე.

კოეტი.

აბა, სად არის აქ ტყუილი, ნუთუ სინამდვილეშიც ღირსეული არ არის იგი?

აკემანტუსი.

ჰო, რა თქმა უნდა, შენი ღირსია და ღირსეულადაც გიხდის ფულს: ის, ვისაც მლიქვნელობა იზიდავს, მლიქვნელის ღირსია უთუოდ. ო, ღმერთებო, მე რომ დიდებული ვყოფილიყავი!

ტიმონი.

მაშინ როგორღა მოიქცეოდი?

აკემანტუსი.

როგორც ამჟამად იქცევა აკემანტუსი: მთელი სულით და გულით შევიძულედი დიდებულებს.

ტიმონი.

საკუთარ თავსაც?

აკემანტუსი.

ღიახ.

ტიმონი.

მერეღა რატომ?

აკემანტუსი.

რამეთუ უგუნურმა ჩემმა თავმა დიდებულება მოინატრა და ზიზღი დაჰკარგა — მგონი ვაჭარი ბრძანდებით?

ვაჰარი.

ღიახ, რა გნებავთ?

აკემანტუსი.

თვითონ ვაჭრობამ დაგაქციოს, თუ კი ღმერთები ვერ გიმეტებენ.

ვაჰარი.

რასაც ვაჭრობა მომაგებს, ისიც ღმერთების სურვილი იქნება.

აკემანტუსი.

ვაჭრობა ხომ შენი ღმერთია. მაშ შენმა ღმერთმა დაგაქციოს!

(საყვირების ხმა. შემოდის მსახური)

ტიმონი.

რა ხმაურია?

მსახური.

მობრძანდება ალკიბიადე

და ოციოდე ცხენოსანიც ახლავს ამაღად.

ტიმონი.

შეეგებეთ და მალე აქეთ მოუხმეთ ყველას.

(გადის რამდენიმე მსახური. ტიმონი მხატვარს და პოეტს მიმართავს)

თქვენ კი სადილად უნდა დარჩეთ, გთხოვთ ნუ დამტოვებთ, ვიდრე მადლობას მოგახსენებთ და ნასადილევს

ისევ მაჩვენეთ ეს სურათი. — მოგესალმებით
ღირსეულ სტუმრებს.

(შემოდის ალკიბიადე თავის ამალით)

აკემანტუსი. თქვენი მოსვლა კეთილი იყოს (ესალმებიან).
ჰო, აგრე, აგრე! კანჭები და კვირისტავეები
სულ ერთიანად დაგეგრიხით და გაგიმრუდდეთ.
კაცი სულ მცირე სიყვარულსაც კი ვერ შეატყობ
ამ ფარისეველ გაიძვერებს და თავაზიან
იმათ შეხვედრას! ვფიცავ ღმერთებს, — ადამის მოდგმა
მაიმუნებად გარდაიქმნა.

ალკიბიადე. მე თქვენ მიხსენით.
და თქვენსკენ სწრაფვას განმარიდეთ. და ეხლა თქვენი
უნახაობით დამშეული თანდათან ვცხრები.
ტიმონი. მოგესალმებით და ვიდრე კვლავ გავიყრებოდეთ,
გთხოვთ, ბატონებო, დარჩენილი ჟამი გავლიოთ
განუზომელი ლხენითა და ნეტარებითა.

(აკემანტუსის გარდა ყველანი გადიან. შემოდის ორი დიდებული)

I დიდებული. რა დროა ნეტავ, აკემანტუს?
აკემანტუსი. დროა პატიოსანი იყო.
I დიდებული. ამის დრო ხომ ყოველთვის არის.
აკემანტუსი. ორჯერ შეჩვენებული უნდა იყო, ეხლაც რომ იგვიანებ.
II დიდებული. ტიმონის ნადიმს თუ ესწრები?
აკემანტუსი. ჰო, უნდა ვნახო ლეში როგორ ამოყორავს გვამებს და ღვინო
როგორ შეახურებს გაიძვერა სულელებს.

I დიდებული. ნახვამდის, ნახვამდის.
აკემანტუსი. შენც სულელი ხარ, ორჯერ რომ მემშვიდობები.
II დიდებული. რას მერჩი, აკემანტუს?
აკემანტუსი. კარგი იყო ერთი „ნახვამდის“ შენთვის შემოგენახა, რამეთუ
ჩემგან ვერც ერთს ვერ მიიღებ.

I დიდებული. ჯანდაბას შენი თავი!
აკემანტუსი. არა, შენს სიტყვაზე მე არ გავივლი. ამგვარი თხოვნით შენს
მეგობარს მიმართე.

II დიდებული. გაეთრიე, ძაღლო, სანამ არ დამიბეგვიხარ!
აკემანტუსი. დიახ, მივდივარ, ვირის ტლინკებს რომ გავერიდო (გადის).

I დიდაგული.

ხალხის ურჩია. შენ რას იტყვი, ვეწვიოთ ტიმონს და ხორაგი და გულუხვობა გავინაწილოთ? — მისი დოვლათი თვით ფორტუნას აღემატება.

II დიდაგული.

ღვარად სდის მადლი. ფუფუნების გულუხვი ღმერთა, თვითონ პლუტუსიც მეურვე თუ იქნება მისი.

I დიდაგული.

არ ვაქებ, მაგრამ უმნიშვნელო გარჯას შვიდმაგად გინაზღაურებს და უბრალო ძღვენიში ყოველთვის უმეტესს გიხდის, თან ქირისგან გათავისუფლებს.

II დიდაგული.

მისით მოქმედებს მოწყალე და კეთილი სული, ადამიანის გვამს ოდესმე თუ განაგებდა.

I დიდაგული.

ცხოვრობდეს მუდამ ფუფუნებით! წამო, ვეწვიოთ. შენი თანმხლები შენთან ვივლი დაუსრულებლივ.

(გადიან).

სცენა II

სანადიმო დარბაზი ტიმონის სახლში.

მუსიკა. დიდი ღრეობაა. ფლავიუსი და სხვები სუფრას ემსახურებიან: შემოდინ ტიმონი, ალკიბიადე, ლუციუს, ლუკულუს, სემპრონიუს და სხვა ათენელი სენატორები ვენტიდიუსისა და მსახურების თანხლებით. ყველაზე ბოლოს შემოდის უკმაყოფილო აპემანტუსი.

ვენტიდიუსი.

კეთილო ტიმონ, მამაჩემის ასაკი ბოლოს მალლა ღმერთებმა გაიხსენეს და განსვენებაც მარადიული მიანიჭეს. სვეკურთხეული წავიდა იგი და დამტოვა მისდა მემკვიდრედ და თქვენგან ფრიად დავალებულს მე ჩემი ვალი მადლობის ნიშნად დღეს ორმაგად მომირთმევია. მზადა ვარ თქვენდა მსახურებად, ვისი წყალობით თავისუფლება მოვიპოვე.

ტიმონი.

კმარა ღმერთმანი...

ჩემო გულწრფელო ვენტიდიუს, მგონი აუგად მოჰკიდებიხარ ჩემს სიყვარულს. მე ეგე ფული გავეცი როგორც საჩუქარი, ხოლო თუ გასცემ და უკან ელი, ის არც არის, ძმაო, წყალობა, მაგრამ თუ ჩვენზე უკეთესებს ასე სჩვევიათ,

2. უილიამ შექსპირი

მაინც არ გვმართებს, მათ მივბაძოთ, მოგეხსენებათ,
რა ლამაზია სიმდიდრეში ბიწიერებაც.
კეთილი სული!

ვენედიუსი.

(სტუმრები ტიმონს თვალებში შეჰფოფინებენ)

ტიმონი.

ყოველგვარი ზნე და ადამიანი
მისთვის დამკვიდრდა, მეგობრებო, რომ ამა ქვეყნად
შნო და ლაზათი მისცემოდა როგორც სიყალბეს,
ისე უგულო, დაყვედრებულ გამასპინძლებას
და მოჩვენებით მოწყალებას, გამჟღავნებამდის
თავს რომ გვამადლის; ხოლო სადაც ღვთიით კურთხეული
მეგობრობაა, იქ ვით დარჩეს წესებს ადგილი.
გთხოვთ, რომ დაბრძანდეთ; თქვენთვის ჩემი ავლადიდება
უფრო მადლია, ვიდრე ჩემთვის.

I დიდებული.

დიდი ხანია,

აკვამანტუსი.

რაც ვაღიარებ ჩვენ ეს ცხადი ჭეშმარიტება.
ჰო, აღიარებთ, მაგრამ რატომ არ ჩამოგახრჩეს?

ტიმონი.

ო, აკვამანტუს, ვესალმებით შენს მობრძანებას.

აკვამანტუსი.

ვერა, ბატონო, ვერ მოგართვით, თუკი მოვედი,
მხოლოდ იმიტომ, ამ კარიდან რომ გამაძევოთ.

ტიმონი.

კარგი უხეში რამ ბრძანდები, ასეთი სიტყვა
არ ეკადრება ძე ხორციელს. და მგონი უფრო
გასაკიცხია; ბატონებო, ხალხს კარგად უთქვამს:
*Furor iste brevis est**,

ხოლო ეს კაცი მახსოვს მუდამ განრისხებული.
მოდის, მას სუფრა მივუჩინოთ განმარტოებით,
რაკილა მცირე პატივს არ სდებს ადამიანებს,
იმათი ღირსიც ნუ იქნება იგი ამიერ.

აკვამანტუსი.

დავრჩები, ტიმონ, ეხლა მაინც ჯიბრზე არ წავალ,

ტიმონი.

ისე უწყოდე, რომ ჭვრეტისთვის მოვსულვარ მხოლოდ.
ჩემთვის ეს სულერთია. შენც ათენელი ხარ — ამიტომ კეთი-
ლი იყოს შენი მობრძანება. არ მინდა მკაცრად მოგეპყრა.
მხოლოდ გთხოვ, ჩემმა გულუხვობამ პირი მოგიკუპროს.

აკვამანტუსი.

შეგირცხვეს, ტიმონ, გულუხვობა — ალბათ დამახრჩობს, —
მე ხომ არასდროს არ ვიქნები, ვიცი, პირმოთნე:

* რისხვა ხანმოკლეა (ლათ).

ჰოი, ღმერთებო, რაოდენი ესევა ხალხი,
 ველარც აუდის მარტოხელა. — სავალალოა,
 ათასის გვამს რომ ერთი კაცის სისხლი აპურებს,
 უგუნურება უფრო დიდი კიდევ ის არის,
 რომ დამშეულებს მადას თავად უღიზიანებს, —
 მე ის მოაცებს, ეხლა კაცი კაცს რომ ენდობა,
 სუფრაზე დანებს უმაღავენ ერთმანეთს ალბათ,
 რომ ხორცი გვამად არ აქციონ, ცხოვრება — ზღაპრად.
 ჩვეულებრივი ამბავია; — აი ის კაციც,
 გვერდით რომ უზის და მასთან პურს რომ ინაწილებს,
 მზად არის იგი წუთისოფელს გამოასალმოს,
 დიახ, ეს უკვე დადასტურდა. მე რომ მდიდარი
 ვყოფილიყავი დიდებული, აუცილებლად
 გავექცეოდი ნადიმებზე მათთან ღვინის სმას —
 ხანჯალზე რომ არ წამომავონ, დიდებულები
 აბჯარასხმულნი უნდა უსხდნენ სუფრას უკლებლივ.
 დე, მთელი სუფრა მოიაროს ამ სადღეგრძელომ —
 მოგესალმებით მთელი გულით.

ტიმონი.

I დიდებულნი.

აკემანბუსი.

ბატონო ჩემო,
 გადმოაწოდეთ, ჩვენ დავიწყებთ.
 გადმოაწოდეთ!
 აი, ჯომარდი, ემარჯვება თავისი საქმე:
 ამ უსასრულო ქებითა და დღეგრძელობითა
 დაგიმოკლდება, ტიმონ, დღენი. ჩემი სასმელი
 ისე სუსტია, არ მიუძღვის ცოდვა მცირედიც —
 წყალია იგი და წყლით კაცი არ იწირების,
 ჩემი საკვებიც იგივეა. ზვიადურ სუფრას
 სულ ავიწყდება ოდითგანვე მაღლი ჰყოს უფალს.

(ლოცულობს)

ფულის წილ ლოცვა აროდეს მეთქვას,
 კაცთაგან მხოლოდ გაბრალებთ ჩემს თავს,
 ღმერთნო, ნუ გამხდით უგუნურს ეგოდენ,
 კაცის და მისი ფიცის მჯეროდეს;
 არცა მეძავის, გინდა ტიროდეს,
 არც ძაღლის, თუნდაც არ მეშინოდეს,

არც მეციხოვნის — სულის მწირველის,
და არც მეგობრის — ჟამს გაჭირვების.
ამინ! მდიდრებო, ცოდვები თესეთ
და მე კი ისევ შევექცე ფესვებს!

(კამს და სვამს)

ბიზონი.

ალკიზიადე.

ბიზონი.

ალკიზიადე.

აკვიანტუსი.

I დიდუბული.

ბიზონი.

სიკეთეს ვუსურვებ შენს კეთილ გულს, აპემანტუს!
ალკიზიადე, მგონი ისევ ბრძოლის ველზეა შენი გული,
იგი მუდამ თქვენდა მსახურებად ძგერს, ბატონო ჩემო...
მტრის საუზმეზე უფრო მიგიწევს გული, ვიდრე მეგობართა
სადილზე.

ოდეს მოშულარს თბილი სისხლი სდის, იმას ვერავითარი საქ-
მელი ვერ შეედრება. ამგვარ ნადიმებზე ჩემს საუკეთესო მე-
გობრებსაც მოვიპატიუებდი.

ღმერთმა შენს მტრებად მოაქციოს ყველა ეს მლიქვნელი,
თვითელ მათგანს ვინძლო მაშინ ამოხოცავდე, და იმ ნადიმ-
ზე მე მომიწვევდე.

ბატონო ჩემო, დიდი ბედნიერება იქნებოდა ჩვენთვის და
ფრიად კმაყოფილად ჩავთვლიდით თავს, უკეთუ გამოგვცდი-
დით და ერთხელ მაინც, თუნდაც მცირედ, დაგიმტკიცებდით
ჩვენს ერთგულებას.

ო. მე ეჭვიც არ მეპარება, ჩემო კეთილო მეგობრებო! ღმერ-
თებმა ალბათ ისე განარიგეს ჩვენი ბედი, რომ ოდესმე თქვენ-
ნი დახმარება დამჭირდება აუცილებლად. ანდა სხვაფრივ რა-
ღა მეგობრები იქნებით ჩემი! განა ვინ მოგცათ თქვენ, ათასე-
ბისაგან გამორჩეულთ, მეგობრის წმინდა სახელი, უკეთუ
ჩემს გულს არ ეკუთვნით? მე თქვენის პირით საკუთარ თავს
უფრო მეტი შევაგონე, ვიდრე თქვენს კდემამოსილებასა და
მოკრძალებას ძალუძს. მე მწამს თქვენი! ო, ღმერთებო! რა-
ღად გვჭირდება მეგობრები, თუ არაფერში გამოგვადგებიან?
მაშინ ალბათ ყუთებში ჩაკეტილ სასიამოვნო საკრავებს და-
ვემსგავსებოდით, თავიანთ ბგერებს გულში რომ იმარხავენ.
ხშირად თითქმის გაღარიბებაც მინატრია, რათა თქვენთან უფ-
რო ახლო მეგრძნო თავი. ჩვენ მხოლოდ ქველმოქმედებისათ-
ვის მოვედით ამქვეყნად, ანდა რა უნდა მივიჩნიოთ საკუთრე-

ბად, თუ არა ჩვენთა მეგობართა საცხოვრებელი? ო, რა ბედნიერებაა, აურაცხელი მეგობარი გყავდეს და, მსგავსად ძმებისა, ყველა ერთიმეორის სიმდიდრეს უძღვებოდეს! (ტირის). ჰოი, დაბადებამდის გარდაცვლილო სიხარულო! მგონი, ჩემს თვალებს ვეღარ ძალუძთ წყალი შეიკავონ. იმათ ცოდვათა ჩამოსარეცხად, თქვენს სადღეგრძელოს შევსვამ!

აკვანახუსი.

II დიდებული.

შენ ცრემლები გდის, რომ სტუმრები დაათრო, ტიმონ.

იგივე შვება განიცადეს ჩვენმა თვალებმაც და შვება ტირის, მართ ვითარცა ჩვილი ყრმა ძილში.

აკვანახუსი.

II დიდებული.

ჰა, ჰა, ჰა, ვით არ გავიციხო, ეგ ხომ ბუშია!

აკვანახუსი.

გაფრთხილდი, შენ მე დიდად შეურაცხმყოფ. დიდად!

(დაფდაფების ხმა)

ტიმონი.

რას ნიშნავს ეს ხმაური, რა ამბავია?

(შემოდის მსახური)

მსახური.

თქვენი წყალობა, ბატონო ჩემო. ვილაც მანდილოსნები მობრძანდებიან და დაჟინებით მოითხოვენ თქვენს ნახვას.

ტიმონი.

მანდილოსნები? ნეტავი რა სურთ?

მსახური.

თან ერთი შიკრიკი ახლავთ, ალბათ მანდილოსანთა ხვაშიადი მან უნდა გამცნოთ.

ტიმონი.

წადით, ყველანი მოიპატიეთ.

(შემოდის კუბიდონი)

კუბიდონი.

სალამი შენდა, ღირსეულო, და მერე ყველას მოგესალმებით, ვინც იგემეთ სიკეთე მისი! თავის მეუფედ გალიარა შენ ხუთმა გრძნობამ და მოვედი, რომ მოგილოცო გულუხვ მასპინძელს; გემო, შეხება ანუ ყნოსვა და სასმენელი ამ სუფრის მადლმა დაგიამათ, ჩვენ მოკრძალებით მოგეახლებით, რომ დავატკბოთ შენი თვალებიც. მახარებს თქვენი მობრძანება, კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა. შეაგებეთ კარზე მუსიკა.

ტიმონი.

(კუბიდონი გადის)

I დიდებული.

ხედავთ, ხალხს თქვენი რაოდენი სიყვარული აქვს?

(მუსიკა. ბრუნდება კუბიდონი, მას უკან ამორძალებად გადაცმული ქალები მოჰყვებიან; ხელ-

ში ფლეიტები უჭირავთ, უკრავენ და ცეკვავენ)

აკვანახუსი.

ჰაუ, საიდან დაუქროლა ამოებამ!

და როგორ როკვენ დამთხვეული დედაკაცები.
 ამ ცხოვრებაში გაგიყება დიდებად იქცა,
 (უაზრობად ჩანს ფუფუნებაც იმ ფესვის მერე,
 მე რომ მივირთმევ). თავსაც იმად ვიგიჟიანებთ,
 როგორმე ხალხში რომ გავერთოთ და მლიქვნელობას
 გულუხვად ვასმევთ ადამიანთ, რომ სიბერის ჟამს
 უკან გამოვყოთ მოშხამული შურით და ზიზლით.
 ვინ არის იგი, ვინც ამქვეყნად ჯერ არ წარყვნილა,
 ანუ არ სცოდნავს? განა კაცი ვინ მიიცვალა,
 ვისაც ერთხელ არ უგემნია მეგობრის წიხლი
 სამარის თავზე? აი, ეხლა ვინც ჩემს წინ როკავს,
 ოდესმე ფეხით მეც შემდგება. მოგეხსენებათ,
 კარებს კეტავენ, როს მიმწუხრზე მზე ესვენება.

(სტუმრები სუფრიდან დგებიან და ქებას ასხამენ ტიმონს. მერე თვითნული მათგანი ამორ-
 ძალს ამოიჩევს და რამდენიმე ხანს წყვილ-წყვილად ცეკვავენ ჰობოების აკომპანემენტით)

ტიმონი. შნო და ლაზათი მიანიჭეთ თქვენ ჩვენს მოლხენას
 და უჩვეულო ბრწყინვალეობა მოჰმადლეთ, ალბათ
 მოაკლდებოდა ნახევარი მშვენიერება
 სუფრას უთქვენოდ. ღირსება და სახელი ერთად
 ყველას შეგვმატეთ, აღასრულეთ ჩემი განზრახვაც.
 მხოლოდ ის მრჩება, მადლობა რომ შეგწიროთ ყველას.
I ქალი. თითქმის რჩეულებს გაგვატოლე, ბატონო ჩემო.
ავიანთუსი. დიახ, თქვენებრ არარჩეული ხომ ჭუჭყია, რასაც აქ ვერავინ
 ვერ აიტანდა.
ტიმონი. მანდილოსნებო, სუფრა გელით, იქით მიბრძანდით
 და უმასპინძლეთ თავად თქვენს თავს.

(გადიან კუპიდონი და მანდილოსნები)

ჰეი, ფლავიუს!

ფლავიუსი. დიახ, ბატონო.
ტიმონი. მომაწოდეთ ყუთი, გეთაყვა.
ფლავიუსი. ეხლავ მოგართმევთ (იქით). — აჰა, ისევ ბრილიანტები,
 კაცი სიტყვას ვერ შეუბრუნებს. მე კი ვეტყობდი —
 ვურჩევდი, მაგრამ იგი მაშინ მიიღებს რჩევას,
 როდესაც საწყალს არაფერი აღარ შერჩება.

გვწყინს, გულუხვობა უკან რატომ არ იცქირება,
რომ გულმა კაცი არ გასწიროს, თუ იწირება.

(გადის და ბრუნდება ყუთით ხელში)

I დიდებული.
მსახური.

სად გაქრნენ ჩვენი მსახურები?
მე მუდამ მზად ვარ.

II დიდებული.
ბიჰონი.

ჩქარა ცხენები!
მეგობრებო, ნება მომეცით
ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ: (პირველ დიდებულს)
კეთილო კაცო,

I დიდებული.
ჟველა.

გემუდარებით, რომ მცირედი პატივი დამდოთ, —
მიიღეთ ჩემგან ბრილიანტი და მოიხმარეთ.
მე თქვენს წინაშე დიდად ვიყავ დავალებული.
ჩვენც მასთან ერთად.

(შემოდის მსახური)

მსახური.

ბატონო ჩემო, რამდენიმე კეთილშობილი ეს-ეს არის ჩამოქ-
ვეთდა და თქვენსკენ მოემართება.

ბიჰონი.

კეთილი იყოს მათი მოსვლა.

ფლავიუსი.

გემუდარებით,
ღირსმყავით, სიტყვა მოგახსენოთ, ყველაზე უფრო
ის თქვენ გეხებათ.

ბიჰონი.

მე მეხება? შემდეგ მითხარით.
ეხლა კი ვგონებ, სჯობს ორივემ ერთად, ძმობილო,
მოვუწყოთ სტუმრებს საკადრისი შეხვედრა.

ფლავიუსი.

(იქით). მაგრამ
არ ვიცი, როგორ დამთავრდება.

(შემოდის მეორე მსახური).

II მსახური.

თქვენს ბრწყინვალეებას
დიდად ვაამებ, თუკი ვეტყვი, რომ ლუციუსმა
ნიშნად მაღალი და გულწრფელი სიყვარულისა
მოგართვათ ვერცხლით დარახტული ოთხი თეთრონი.

ბიჰონი.

სულით და გულით ვეგებები, დე, თეთრონებსაც
(შემოდის მესამე მსახური)

ნუ მოაკლდებათ საკადრისი პატივი. ოჰო!
ახალს რას იტყვი?

III მსახური.

მშვიდობა თქვენდა ჩემო ბატონო... კეთილშობილი ლუკა-
ლუს გთხოვთ, რომ ხვალ სანადიროდ გაჰყვით; თქვენს
ბრწყინვალებას მან ორი წყვილი რუხი მაძებარი გამოუგ-
ზავნა.

ტიმონი.

დე, ასე იყოს. ჩამოართვით და ფრიად უხვი საზღაური
მიაგეთ.

ფლავიუსი.

(იქით) ნეტავ სადამდის გაგრძელდება ეს ყოველივე?
გვიბრძანებს ყველას ვუმასპინძლოთ და საბოძვარიც
ურიცხვი გავცეთ — მაგრამ აბა, ცარიელ სკივრებს
რალა მოვთხოვო? მას არ ძალუძს ეს რომ იცოდეს,
და აღარც იმის ნებას მაძლევს, რომ შევაგონო,
თუ რა საწყალი და უმწეო სული-და შერჩა;
კეთილად ველარ მიიქცევა მისი ზრახვები;
თვითეულ იმის შეპირებას თან აღარ მოსდევს
ნივთიერი რამ გამართლება, და ნაუბარი
ვალად ედება. თვითეული თავისი სიტყვა.
უკვე მოვალედ გარდაიქცა, მაინც იმდენი
სიკეთე შერჩა, რომ ამ ვალთა და თანამდებთა
ქირასაც იხდის; დაგირავდნენ მისი მიწებიც.
ვისურვებდი, რომ დამითხოვოს სამსახურიდან,
ვიდრემდის ძალით გამაგდებდნენ. სჯობს რომ მეგობარს
ხელი ჰკრა, ვიდრე განიკითხო მტერი, მეყოფა
ამდენი ტანჯვა, მის მაგიერ რაც განვიცადე.

(გადის)

ტიმონი.

(განაგრძობს საუბარს სტუმრებთან)
უმართებულოს ნუ იკადრებთ, თავს რად იკიცხავთ
და თქვენს ღირსებას პატივს არ დებთ. (ერთ სტუმარს)

II დიდებული.

III დიდებული.

ტიმონი.

ეს უბრალო რამ,
გვედრით, მიიღონ ნიშნად ჩვენი სიყვარულისა.
მადლობა ჩემი ნუმც ქცეულა უმადურობად.
ო, ჭეშმარიტად გულუხვობის სულია ტიმონ!
მე მაგონდება, დღესა ერთსა, ჩემო კეთილო,
ვითარ შეაქეთ ჩემეული ქურანა რაში, —
თქვენად იგულვით ამას იქით, — რაც მოგეწინათ,
უკვე თქვენია!

III დიდებული.

მოწყალეო, გთხოვთ მომიტევოთ
თვალის სიხარბე.

ბიზონი.

ნუ წუხდებით, ჩემო კეთილო;
განა არსებობს ადამის ძე, ხოტბა შეასხას
მას, რაც იმის გულს არ იზიდავს? მოყვასთა ჩემთა
ყოველ ხვაშიადს ჩემი გულის ხმას შევუწყვილებ
და შევერწყმები მუდამ დასტურ, მსურს ამ დღეებში
სტუმრად გეწვიოს.

ყველანი.

ბიზონი.

(ერთხმად). ვის ვინატრებთ თქვენზე უკეთესს!
მერწმუნეთ, ყველა მოკითხვა თუ სტუმრობა თქვენი
ისეთ სიკეთედ მიმაჩნია, რომ არარად ვრაცხ
ჩემს წყალობას და გულუხვობას. ასე მგონია,
სამეფოს ჩემსას შემოვწირავ მოყვასთა ჩემთა
უყოყმანოდ და უჭირველად: — ალკიბიადევ,
მეომრის სულით მოვლენილო ამ ქვეყანაზე,
განცხრომა ალბათ არც კი იცი და მოწყალეობა
შენთვის მადლია ჭეშმარიტად; სიცოცხლე შენი
სიკვდილის წიაღ ალორძინდა, შენი მიწები
საომარ ველებს შეეზარდნენ.

ალკიბიადე.

ჰო, მართალს ბრძანებთ,
მწირი მიწაა.

I დიდებული.

ჩვენ ყველანი მადლობას გწირავთ
სულით და გულით.

ბიზონი.

II დიდებული.

ბიზონი.

და მეც თქვენი მადლობელი ვარ.
და სიყვარული უსაზღვროა ჩვენი თქვენდამი.
მეც მიმითვალეთ სიყვარული. ჰეი, სანთლები,
მეტი სინათლე!

I დიდებული.

ბედისწერამ ნუ განგარიდოთ
ყველა სიკეთეს, ქონებას და პატიოსნებას!

ბიზონი.

მე მუდამ მზად ვარ, ვემსახურო ჩემთა მეგობართ.

(გადიან ალკიბიადე, სტუმრები და სხვ.)

აკვმანტუსი.

ამაოებავ ამაოთა! ზურგებში მოხრა
და უპატიო უკანალთა წარმოჩინება;
მათი მუხლები, ვეჭვობ იმად არ ეღირება,
რაც მოწყალეობით მიუღიათ: ასე მგონია

პირმოთნეობას ჯერ არასდროს არა ჰქონია
მძლავრი მუხლები.

ტიმონი.

გულკეთილი სულელი ურცხვად
ქონებას ფლანგავს სულ უბრალო გაღიმების წილ.
ასე უკმეხად რომ არ სჯიდე, ო, აპემანტუს,
შენთვისაც რასმე გავიღებდი.

აკემანტუსი.

არაფერს არ გთხოვ:

მეც რომ ფულებით მოგესყიდე, ამ ქვეყანაზე
ვინ დაგრჩებოდა განმკიცხავი. მაშინ, სულელო,
უზიარებლად წარწყმდებოდი; შენი სიუხვე
იქამდე მიდის, მალე ალბათ საკუთარ თავსაც
ქალაქით გასცემ, აბა, მითხარ, რა საჭიროა
ეგოდენ ლხინი და უაზრო ბედოვლათობა?
მაშ აღარ იშლი, აპემანტუს, ხალხის გაკიცხვას?
რას იზამ, უნდა გაგეცალო ასეთ წუთებში,
მშვიდობით იყავ, თუ შემდეგშიც მოგვინახულებ,
სხვა ხმით იმღერე, გევედრები.

ტიმონი.

აკემანტუსი.

კეთილი, ტიმონ;

არ გინდა ეხლა ყური მიგდო. დაე, ნურც მერე
ნულარ მომისმენ, — უნდა მიწყვიტ გადაგიბეჭდო
ზეცის მაღალი კარიბჭენი; ვაი, რომ კაცთა
ყური, დახშული რჩევისათვის, ლაქუცში გაცვდა.

მოქმედება II

სცენა I

ათახი ერთ-ერთი სენატორის სახლში.

შემოდის სენატორი ქალაქდებით ხელში.

სენატორი.

ხუთიათასი დაესესხა ამას წინ ვაროს,
ისიდორეს კი ცხრა ათასი. ოცდახუთამდე
გროვდება, ჩემი ძველი ვალიც თუ მივათვალე,
და ამ უჯიათ მფლანგველობას მაინც არ იშლის!
ველარ გაუძლებს ამდენ ვალებს; — თუ ოქრო მინდა,
საკმარისია მოვიპარო მათხოვრის ძალი

და ძღვნად მივართვა იქვე ტიმონს — თურმე, ნუ იტყვით,
ძალსაც სცოდნია ფულის მოჭრა. ანდა უკეთუ
ჯაგლაგი მინდა გავასალო და ნაცვლად ოცი
ქურანა რაში შევიძინო, თავს ნუ იწუხებ,
მივართმევ ტიმონს, და მაშინვე ჩემი ჯაგლაგი
რაშებს მოიგებს. მის ალაყაფს დარაჯი არ ჰყავს;
დგას ვილაც მუდამ მომლიმარი და სასახლეში
ეპატოუება ყველა გამვლელს... გათავდა, მორჩა,
კაცის გონებას ველარ ძალუძს რამ საიმედო
მის ბედში კიდევ მოიხილოს. ეჭვი, კაფის,
ჰე, კაფის-მეთქი!

(შემოდის კაფისი)

კაფისი.

სენატორი.

რას მიბრძრანებთ, ბატონო ჩემო.

მოსხი ქურქი და გასწიე ჩქარა ტიმონთან,
სთხოვე, ვალები დამიბრუნოს. ტკბილი სიტყვებით
არ შესცდე, ხმა ნუ ჩაგიწყდება, დარბაისლურად
როცა მოგმართავს: „გადაეცი ჩემი სალამი
შენს ბატონს“ და თან ქუდს რომ ხელში შეათამაშებს;
უთხარი, ჭირის დღე დამიდგა და გაჭირვებამ
იძულებულმყო, მომეთხოვა ჩემი კუთვნილი.
ყველაფერს ყავლი გაუვიდა, ხელწერილების
იმედი იმ ვალს, რა თქმა უნდა, ვერ გაანაღდებს.
მე მიყვარს იგი, მართალია, პატივს ვცემ, მაგრამ
კისერი როგორ მოვიტეხო მისი ფრჩხილისთვის.
ო, მეტის მოცდა აღარ ძალმიძს, მე თუ განმკურნავს,
მხოლოდ საზღაო ნივთიერი და არა მისი
ლიტონი სიტყვა. აბა მიდი, იჩქარე, გასწი,
თავი უტეხად მოაჩვენე, უკმეხი კაცის
სახე მიიღე; ეხლა ფენიქსს რომ ემსგავსება,
რაკი ლამაზ ფრთებს შეუმოსავს იმისი მხრები,
ვშიშობ თოლიად არ გადიქცეს მოულოდნელად,
გასწი!

კაფისი.

სენატორი.

მივდივარ.

მივდივარო? — ხელწერილებიც

წაიღე; ფრთხილად, თარიღები არ აგერიოს.

მაგის იმედი იქონიეთ, ბატონო!

კაფისი.

სენატორი.

წადი!

დარბაზი ტიმონის სასახლეში.

(შემოდის ფლავიუსი აღრიცხვის დავთრებით ხელში)

ფლავიუსი.

თავს არ ანებებს ამ უაზრო ფლანგვას ბატონი და აღარაფერს ეკრძალება, საცაა ალბათ ველარ გაართმევს თავსაც. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ უღარდელ ნებივრობას ისევ განაგრძობს, რატომ არა გრძნობს ფეხქვეშ მიწა როგორ ეცლება, ან რა მოჰყვება ყოველივეს? ვინ იყო დღემდე მისებრ უჭკუო და კეთილი? ჰო, მაგრამ შემდეგ რა უნდა მოხდეს? ვერ მიმხვდარა. ვიღრე არ ვამცნობ, არ მოვეშვები. ვეტყვი, როცა ნადირობიდან შინ დაბრუნდება. ვაი, ჩემს თავს.

(შემოდის კაფისი და ისიდორეს და ვაროს მსახურნი)

კაფისი.

სალამი, ვარო!

რაო ვალისთვის გამოგგზავნეს?

ვაროს მსახური.

შენც მევალე ხარ?

კაფისი.

რას იზამ?! ვგონებ ისიდორეც მისთვის გარჯილა. სიმართლეს ამბობ.

ისიდორეს მსახ.

ნეტავ ყველას გაგვისტუმრებდნენ.

კაფისი.

მე რაღაც ვშიშობ.

ვაროს მსახური.

მობრძანდება თვითონ ტიმონიც.

კაფისი.

(შემოდის ტიმონი, ალკიბიადე და დიდებულები)

ტიმონი.

უმალ, როგორც კი დავნაყრდებით, ალკიბიადევ, უკან გავსწიოთ. თქვენ ჩემთან ხართ? რა გსურთ, მითხარით? ბატონო ჩემო, აი ნუსხა რაღაც ვალების. ვალების? თვითონ საიდან ხარ?

კაფისი.

ათენელი ვარ.

ტიმონი.

მაშინ მეურვეს მოახსენე.

კაფისი.

ტიმონი.

ჩემო ბატონო, ეს ერთი თვეა რაც მიბარებს, მაგრამ ამაოდ; გაუგონარმა გაჭირვებამ ბატონი ჩემი იძულებულყო მოითხოვოს მისი კუთვნილი,

კაფისი.

რასაც კეთილი თქვენი ნებაც დაესართება
და ფულს უკლებლივ დაუბრუნებთ.

ბიზონი.

ჩემო კეთილო,

გთხოვ, რომ ხვალ დილით მომაკითხო.

კაზისი.

არ შემიძლია.

ბიზონი.

ძმობილო, თავი შეიკავე.

ვაროს მსახური.

მეც, ვაროს მსახურს

ორიოდ სიტყვა მათქმევინეთ...

ისიდორეს მსახ.

უმორჩილესად

გთხოვთ ისიდორე, დაუბრუნოთ მისი კუთვნილი.

კაზისი.

ჩემი ბატონის გაჭირვება რომ მოგახსენოთ...

ვაროს მსახური.

ექვსი კვირაა, თქვენს ვალს ყავლი რაც გაუვიდა.

ისიდორეს მსახ.

მუდამ უარით მისტუმრებდა თქვენი მეურვე,

მითხრეს, პირადად თქვენ გხლებოდით, ტიმონ, ამჯერად.

ბიზონი.

მაცალეთ სული მოვიბრუნო, (სტუმრებს) გთხოვთ ბატონებო,

ნუ შეყოვნდებით. მალე ალბათ წამოგეწევით.

(ალკიბიადე და დიდებულები გადიან)

(ფლავიუსს) აბა, გეთაყვა, აქეთ მოდი; რა ამბავია,
დღეს რომ ვერაფრით ავუთავდით ვადაგადასულ
ვალების თხოვნას, ისიც ასე დაურიდებლად, —
ეს ხომ ჩემს სახელს ემუქრება?

ფლავიუსი.

კეთილნო კაცნო,

ამჟამად ამის დრო არ არის. გთხოვთ ნასადილევს

მობრძანდით, ვიდრე მე ჩემს ბატონს მოგახსენებდე

თქვენი ესოდენ შეყოვნების მიზეზს.

ბიზონი.

გეთაყვა,

ასე აჯობებს. (ფლავიუსს) სტუმრებს უხვად გაუმასპინძლდი.

(გადის)

ფლავიუსი.

კეთილი, აქეთ წამობრძანდით; გთხოვთ, მეგობრებო. (გადის)

(შემოდის აპემანტუსი და მასხარა)

კაზისი.

შეჩერდით, აქეთ მასხარა და აპემანტუსი მოდიან. მოდი, წა-
ველაზღანდაროთ.

ვაროს მსახური.

ჯანდაბას მისი თავი, მოეშვი, გაგვკიცხავს.

ისიდორეს მსახ.

ჭირსაც წაუღია, ძაღლი!

ვაროს მსახური.

რასა იქ, სულელო?

- აკემანტუსი. შენს ჩრდილს ელაპარაკები?
- ვარონს მსახური. შენ არ გეკითხებიან.
- აკემანტუსი. შენს თავს ეკითხები. წავიდეთ აქედან (მასხარას).
- ვარონს მსახური. შენ განმარტოებით დგახარ, მასხარას ჯერ კიდევ არ ჩამოჰკიდებიხარ.
- კაჟისი. ნეტავ ვინ არის აქ მასხარა?
- აკემანტუსი. ის, ვინც ეს კითხვა დასვა: საცოდავო თაღლითებო, მფლანგველთა მსახურებო, ფუფუნებასა და გაჭირვებას შორის გაჩხერილო მოურავებო.
- ჰველა მსახური. განა ვინა ვართ ჩვენ, აქემანტუს.
- აკემანტუსი. ვირები.
- ჰველა მსახური. რატომო ვითომ?
- აკემანტუსი. იმად, რომ მე მეკითხებით ვინა ხართ და საკუთარ თავს ვერ ცნობთ. ეხლა შენ გაესაუბრე, მასხარავ.
- მასხარა. როგორ ბრძანდებით, ბატონებო?
- ჰველა მსახური. დიდად გმადლობთ, კეთილო მასხარავ, თქვენი ქალბატონი რასა იქს?
- მასხარა. თქვენნაირი წიწილების მოსახარშავად წყალს ადუღებს. იქნებ „კორინთოში“ გვეწვიოთ.
- აკემანტუსი. კარგია. მადლობას გწირავ. (შემოდის პაუი)
- მასხარა. ხედავთ? ჩემი ქალბატონის პაუი მოდის.
- კაჟი. (მასხარას) რა ამბავია, მხედართმთავარო. რასა იქ ამ ბრწყინვალე საზოგადოებაში? როგორ ბრძანდებით, აქემანტუს?
- აკემანტუსი. კარგი იქნებოდა კვეროხი მქონოდა პირში, რომ სასარგებლო პასუხი გამეცა.
- კაჟი. გთხოვთ, აქემანტუს. ერთი ამ წერილების მისამართები წამიკითხე, არ ვიცი, ვის რომელი ეკუთვნის.
- აკემანტუსი. თავად ვერ წაიკითხავ?
- კაჟი. არ შემიძლია.
- აკემანტუსი. მაშ. მხოლოდ მცირედი ცოდნა დაიკარგება იმ დღეს, როცა შენ ჩამოგახრჩობენ. ეს წერილი ტიმონს ეკუთვნის, ეს კი — ალკიბიადეს. იჩქარე, ძმაო, ბუშად მოხველ ამ ქვეყანაზე და მოურავად წახვალ.
- კაჟი. შენი დაბადებით კი ძუკნა ძალღი გაჩნდა, და ძალღურ სიკვდილში ამოგხდება სული. ნუ მიპასუხებ, მე უკვე წავიდი. (გაღის).

აკემანტუსი. შენ ღვთის მადლსაც ასე ნაჩქარევად შორდები. მასხარავ.
 წავიდეთ ტიმონთან.
 მასხარა. აქ ხომ არ დამტოვებ?
 აკემანტუსი. თუ ტიმონი შინაა. (მსახურებს) — სამივენი სამ ბედოვლათს
 ხომ არ ემსახურებით?
 სამივე მსახური. ეჰ, ნეტავ ერთხელ ისინი მოგვემსახურობდნენ?!
 აკემანტუსი. მეც მინატრია — ოღონდ კი ისე, როგორც ჭალათი ემსახურება
 ქურდს.
 მასხარა. თქვენ ბედოვლათების მსახურები ხართ?
 სამივე. დიახ, გახლავართ.
 მასხარა. ვფიქრობ, არ არსებობს ისეთი ბედოვლათი, ვისაც მასხარა არ
 ემსახურება. ჩემი ქალბატონიც მფლანგველია, მე კი მასხარა:
 თქვენს ბატონებთან ფულის სასესხებლად დამწუხრებულნი
 მოდიან, და მხიარულნი მიდიან. ჩემს ქალბატონთან კი პირი-
 ქით — მხიარულნი მოდიან და დამწუხრებულნი ბრუნდებიან.
 არ იკითხავთ, რატომ?
 ვაროს მსახური. მე უკვე მივხვდი.
 აკემანტუსი. ბარემ გვითხარი, რათა გაიძვერად და გარყვნილად მიგიჩნიოთ,
 ნუ გეშინია, მაინც არაფერი მოგაკლდება.
 ვაროს მსახური. რა არის გარყვნილი კაცი, მასხარავ?
 მასხარა. ისევ მასხარა, კარგად ჩაცმული და შენი მსგავსი. იგი არს
 სული — ხან ვინმე დიდებულია, ხან მოსამართლე, ხან კი
 ფილოსოფოსი. ხშირად რაინდსაც ჰგავს, ერთი სიტყვით, ეს
 სული ყოველ ადამიანში ვლინდება ცამეტიდან ოთხმოც
 წლამდე.
 ვაროს მსახური. არა, შენ მხოლოდ სულელი არ ყოფილხარ.
 მასხარა. და არც შენა ხარ მხოლოდ ბრძენი: რაც მე სისულელე მაქვს,
 შენ იმდენი სიბრძნე გაკლია.
 აკემანტუსი. ასეთი პასუხი აკემანტუსს უფრო ეკადრება.
 სამივე მსახური. გზა, გზა, ტიმონი მობრძანდება

(შემოდის ტიმონი და ფლავიუსი)

აკემანტუსი. წავიდეთ, მასხარავ.
 მასხარა. უკან არასოდეს გავყოლილვარ შეყვარებულს, უფროს ძმას
 და ქალს, მაგრამ ფილოსოფოსს ავედევნები.

(გადიან აპემანტუსი და მასხარა)

ფლავიუსი.

გთხოვთ აქვე ახლოს ისეირნოთ და ყოველივეს
ორიოდ წუთში მოგახსენებთ.

ბიზონი.

საოცარია.

რატომ აქამდის არ მაუწყებთ მაინც სიმართლეს.
გაუთავებელ ხარჯებს მაშინ აუცილებლად
შევუფარდებდი შემოსავალს.

ფლავიუსი.

მაგრამ როცა კი

გავბედე მეთქვა ყოველივე, არ გსურდათ მაშინ
თუნდ ერთი წუთით ყური გეგდოთ.

ბიზონი.

აბა, რას ამბობ —

შენ, ალბათ მხოლოდ დააპირე თქმა, მაგრამ იმ დროს
იქნებ მე ვიყავ უგუნებოდ და რაკი ყური
ვეღარ გათხოვე, თავი აღარც შენ შეიწუხე
და ეხლა გინდა დაუდევარ პასუხით ჩემთან
თავი როგორმე გაიმართლო.

ფლავიუსი.

ო, ღმერთო ჩემო!

ბევრჯერ, როცა კი მოგართმევდით აღრიცხვის დავთრებს,
თქვენ მუდამ უკან მიბრუნებდით ტკბილი სიტყვებით, —
რომ თქვენ ენდობით ჩემს სინდისს, ხოლო როდესაც
უბრალო ძღვენის საფასურად მთელ განძს გასცემდით,
თავს ჩავქინდრავდი და ვტიროდი. მრავალგზის გთხოვეთ,
თუმცა არ იყო ეს მსახურის მოვალეობა,
ფული გეხარჯათ ხელმომჭირნედ. თითქმის ყოველთვის
პასუხად მწარე საყვედურებს ვიღებდი, როცა
სიტყვას დავძრავდი, თუ როგორი იყო მიქცევა
თქვენი ქონების და ვალების უკან მოქცევა.
დროა შეიგნოთ (თუმცა კიდევ დავაგვიანეთ),
რომ ყოველივე, რაც ამქვეყნად თქვენ გაბადიათ,
ვერ ფარავს ვალის ნახევარსაც.

ბიზონი.

მიწა გავყიდოთ.

ფლავიუსი.

დიდი ხანია დაგირავდა, ხოლო ნაწილი
დავკარგეთ კიდევ, რაც გადარჩა, როგორმე იმით
დღევანდელ ვალებს პირი უნდა ამოვუკეროთ,
დანარჩენებმა, დაე, შემდეგ გველაპარაკონ —

რა შეაჩერებს ან იმ წუთსაც. თქვენ ის მითხარით,
თუ მოგწონთ ჩემი ანგარიში?

ტიმონი.

კი, მაგრამ ერთ დროს

ლაკედემონთან მთავრდებოდა ჩემი მიწები.

ფლავიუსი.

ჩემო კეთილო, ეს ქვეყანა მხოლოდ სიტყვაა!

თქვენ რომ გრგებოდათ იგი, სულის ერთი მოთქმითაც
აღარაფერი დაგრჩებოდათ.

ტიმონი.

შენ მართალი ხარ!

ფლავიუსი.

ხოლო უკეთუ არ ენდობით სიწმინდეს ჩემსას,
მაშინ მიმეცით განსასჯელად პირუთვნელ კაცთა.

ვფიცავარ ღმერთებს, როცა ჭერქვეშ თვითეულ კედელს
მუქთახორების ზურგი სრესდა და სარდაფები

ტიროდა ხოლმე იატაკზე დაღვრილი ღვინით,

დარბაზები რომ იწვებოდა კელაპტრის აღში,

როცა ჭერს სუფრის პოეზია აზანზარებდა,

მაშინ მე სადღაც მიბნელებულ კუთხეში, მარტო.

ცხარე ცრემლებად ვიღვრებოდი.

ტიმონი.

კმარა, გეთაყვა.

ფლავიუსი.

მეც ბევრჯერ მითქვამს, ჰოი, ცაო, ამ გულუხვობით
თუ რა დოვლათი მოინელეს იმ უგუნურთა.

ვინ არის იგი, ვინც არა სთვლის თავს მის მსახურად?

რომელი გული, თავი, ხმალი აქ არ ეკუთვნის

დიდებულ ტიმონს, კეთილშობილ, ღირსეულ ბატონს?

მაგრამ თუ გაჰქრა ფული, რაც ამ ქებას ჰყიდულობს,

ის ამოსუნთქვაც წყდება, რასაც ქება ამოჰყვა,

რაც ლხინში ჰპოვეს, იკარგება ის ლხინის შემდეგ,

საკმარისია ცაზე წვიმის ერთი ღრუბელიც,

და მიიძინებს ყველა მწერი.

ტიმონი.

კმარა, ღმერთმანი,

ნულარ ჰქადაგებ. სამარცხვინო ჭველმოქმედება

უცხოა ჩემი ბუნებისთვის. მე ვგულუხვობდი

უაზროდ, მაგრამ უანგაროდ. რაზედ ჰქვითინებ? —

არ გჯერა, მე რომ მეგობრები არ დამიკარგავს?

კმარა, დამშვიდდი. რომ მინდოდეს, მე სიყვარულის

ჭურჭელს გავხსნი და ჩემს მეგობრებს სესხში გამოვცდი.

მაშინ მათ დოვლათს მოვიხმარდი ისე ადვილად,

ფლავიუსი.

როგორც გიბრძანებ აქ ამ სიტყვებს.

ტიმონი.

დაე, კეთილად
გაცხადდეს თქვენი გულის ზრახვა.

იცი? ერთის მხრით
ვუმადლი კიდევ გაჭირვებას, ვით ცით მოვლენილს;
ამით გამოვცდი ჩემს მეგობრებს და დაგარწმუნებ
ჩემს სიმდიდრეში თუ ვით შესცდი; მე მდიდარი ვარ
მხოლოდ და მხოლოდ მეგობრებით. მანდ ვინ ბრძანდებით?
ჰე, ფლამინიუს, სერვილიუს!

(შემოდინან ფლამინიუსი, სერვილიუსი და სხვა მსახურები)

მსახური.

ტიმონი.

დიახ, ბატონო.
ახლავე უნდა გაგაგზავნოთ, — შენ ლუციუსსა,
შენ კი ლუკულუსს ეახლები — ჩვენ დღეს ჭალაში
ერთად ვიყავით სანადიროდ. შენ სემპრონიუსს
უნდა ეწვიო — გადაეცი ჩემი სალამი,
მოახსენეთ, რომ მეჭირვება იმათი შველა,
რომ ფულით უნდა დამეხმარონ — დე თვითეულმა
ორმოცდაათი მომაშველოს ტალანტი.

იყოს

ფლამინიუსი.

ბრძანება თქვენი!

ფლავიუსი.

ტიმონი.

ჰმ, ლუციუს და ლუკულუსი (იქით).
(მეორე მსახურს)

ფლავიუსი.

შენ კი სენატორთ მიაკითხე, იმათთან მაინც
მე ჩემი კეთილმსახურებით მაქვს გავალება, —
დაე, ამ წუთას გამოგზავნონ ათასი ოქრო.
ბატონო, ამ გზას მეც მივმართე, ვით ჩვეულებრივ
რამ გამოსავალს ამ ყოფაში. მე უკვე ვცადე
თქვენი ხელწერა და სახელი, მაგრამ პასუხად
მათ მხოლოდ თავი გაიქნიეს. და რა მდიდარიც
შევედი, იგივე გამოვედი, მერწმუნეთ.

ტიმონი.

ნუთუ
სიმართლეს ამბობ? როგორ მოხდა?

ფლავიუსი.

მათ ყველამ ერთად
და ხმაშეწყობით განაცხადეს, რომ ფრიად უჭირთ,

ბიზონი.

არ ჰყოფნით ფული და ვერ ძალუძთ მით აღასრულონ,
რაც უნდათ... სთქვენს, რომ ძლიერ სწუხან... პატიოსანი
კაცი არისო... ჩვენ ვუსურვებთ... მაგრამ არ ვიცით. —
როგორ და რა გზით... მან შეცდომა დაუშვა, ხოლო
კაცს კეთილშობილს ეშველება... რა ვქნათო, ვწუხვართ...
და მერე რაღაც დიდი საქმის მომიხეზებით
დამშორდნენ. იმათ ნაუბარმა წყვეტილ-წყვეტილმა,
ათვალწუნებით გამოხედვამ და უცნაურმა
მოძრაობამ და თავის ქნევამ ხმა ჩამიკმინდეს.
მათ თქვენ მიაგეთ საზღაური, ჰოი, ღმერთებო? —
გამხიარულდი, გევედრები, ყველა მაგ ბებერს
მემკვიდრეობით მიუღია უმადურობა.
სისხლი შედედდა მათ ძარღვებში, ცივი და მწუთხე,
უკეთურთ სითბო შემოაკლდათ ცხოველმყოფელი.
კაცი, რომელიც მიწისაკენ მიიწევს, მუღამ
გულქვაა იგი და სასტიკი, შენ (მსახურს) ვენტდიუსს,
წადი, ეახლე. (ფლავიუსს); ო, გეთაყვა, ნუ მოიწყინე.
თქვენ დარჩით ჩემი ერთგულნი და პატიოსანნი,
გულწრფელად ვამბობ — არ მიგიძღვით ბრალი ჩემდამი.
(მსახურს) ვენტდიუსმა ამ დღეებში დამარხა მამა,
და დიდი განძი დაიმკვიდრა, როგორც ამბობენ.
როცა უჭირდა, საპყრობილის კედლებთან როცა
ამხანაგებიც ჩამოშორდნენ, ხუთი ტალანტით
მე დავიხსენი. გადაეცი ჩემი სალამი
და მოახსენე, მეგობარი მისი ამჯერად
საჭიროებამ აიძულა კრძალვით და რიდით
ის ხუთი ოქრო გაიხსენოს, (ფლავიუსს) როგორც კი ამ ფულს
მიიღებ, უმალ გაისტუმრე მევალები.
არ გაიფიქრო, ანუ იმას ნუ იტყვი ნურსად,
მეგობართ ნდობა დაუკარგავს ტიმონის გულსა.
თავს შევიკავებ, ან ვითარ ვთქვა სიტყვა ამგვარი?
მფლანგველთან მაინც არ ექნება მას გასაქანი.

ფლავიუსი.

(გადის)

ოთახი ლუკულუსის სახლში.

ფლამინიუსი იცდის, შემოდის მსახური.

მსახური.
ფლამინიუსი.
მსახური.
ლუკულუსი.

უკვე მოვახსენე ჩემს ბატონს და მალე გეახლებათ.
გმადლობთ. (შემოდის ლუკულუსი).

აჰა, ბატონიკ.

(განზე). ოჰო. ტიმონის მსახური? რა თქმა უნდა, საჩუქარს მოიტანდა. ზუსტად კი ამიხდა. განა წუხელის არ მესიზმრა ვერცხლის სურა და ბადია? სალამი შენდა ფლამინიუს, ჩემო ხელმართალო ფლამინიუს. შენთვის მუდამ ღიაა ჩემი კარები. (მსახურს) ჩქარა ღვინო მოგვართვი. — რასა იქს ათენის ყოვლად ღირსეული, უმწიკვლო და დიდსულოვანი მამრი, შენი ხელგაშლილი ბატონი?

ფლამინიუსი.
ლუკულუსი.

ავადმყოფობას არ უჩივის.

მიხარია, რომ ჯანმრთელად არის. მოსასხამის ქვეშ რაღაცას მალავ, ძვირფასო ფლამინიუს.

ფლამინიუსი.

არაფერია. ცარიელი ყუთია მხოლოდ. ბატონის დავალებით გეახლეთ. ეს ყუთი უნდა აგვივსო. დიდი გაჭირვება მოგვადგა კარზე და გევედრებათ ორმოცდაათი ტალანტი ასესხოთ. დარწმუნებულია ხელს გაუმართავთ.

ლუკულუსი.

უჰ, უჰ, უჰ, დარწმუნებულიაო? ოჰ, ღმერთო ჩემო! რა კეთილშობილი და სულგრძელი კაცია, ბედოვლათი რომ არ იყოს. რამდენჯერ ვყოფილვარ მასთან სადილად და სულ ამას ვუჩიჩინებდი. ხშირად ვახშმადაც მიუდიოდი, რომ რამენაირად ჩამეგონებინა, ხელმომჭირნე ყოფილიყო. მაგრამ ყურსაც არ მიგდებდა და ვერც ჩემი სტუმრობის მიზეზს ხვდებოდა. თვითეულ კაცს თავისი ნაკლი აქვს. — ტიმონის ნაკლი პატიოსნებაა. რამდენს ვეწვალე. მაგრამ ვერაფერს გავხდი. (შემოდის მსახური ღვინით).

მსახური.
ლუკულუსი.

ინებეთ ღვინო, ბატონო.

ფლამინიუს, მე შენ ყოველთვის ჰკვიან კაცად მიმაჩნდი, შენი დღეგრძელობისა იყოს.

ფლამინიუსი.

ლუკულუსი.

როგორც თქვენ გესიამოვნებათ, ბატონო.
რაც მართალია, მართალია. ჭკვიანი კაცი ხარ, ფლამინიუს, და
ჭეშმარიტად ცოცხალი გონების პატრონი, ხშირად შემინიშ-
ნავს შენი ნიჭი. შეგიძლია დროს კარგად აუღო ალლო, რო-
ცა ამის დრო დგება. აი, ეს არის მთელი შენი ღირსება. —
(მსახურს) მარტო დაგვტოვე. (მსახური გაღის) ახლოს მოიწი,
პატიოსანო ადამიანო. შენი ბატონი თუ ხვავრიელი კაცია, —
შენ ჭკვიანი ხარ, ფლამინიუს. და კარგად იცი, თუმცა-ღა გა-
ისარჯე და აქამდე მოხვედი, რომ ეხლა ფულის გასესხების
დრო არ არის. ისიც მეგობრობის სახელით, ყოველგვარი წინ-
დის გარეშე. აი, შენ სამი სოლიდარი. თვალი დახუჭე, ჩემო
კარგო და ტიმონს ჩემზე მოახსენე, შინ არ დამხვდა-თქო. აბა,
კარგად იყავი, ფლამინიუს.

ფლამინიუსი.

ლუკულუსი.

ო, ღმერთო, ნუთუ ასეც ხდება, ქვეყანა ირგვლივ
უცვლელი რჩება და კაცნი კი გარდავიქმენით. (ფულს დაყრის)
შორს სიბინძურე, მასთან მიდი, ვინც გათაყვანებს.
გასაგებია. შენი ბატონის შესაფერი ყოფილხარ, სულელო.

(ლუკულუსი გაღის)

ფლამინიუსი.

(მიუთითებს ძირს დაყრილ ფულზე).
დაე, ეს ფულიც მიითვალოს შენდა განკიცხვად
და მოგეწიოს წყევად მისი გამდნარი ვერცხლი,
ვინც მეგობარს მტრობ და საკუთარ თავთან მეგობრობ,
ნუთუ ასეთი წყალწყალა რძე სვა მეგობრობამ,
ორიოდ დღეში რომ აიჭრა?

ჰოი, ღმერთებო,

ტიმონის რისხვას ეხლავე ვგრძნობ. ხოლო ამ საწყალს
ჯერ კიდევ უდგას გვამში ჩვენი კერძი და პური, —
საოცარია, რატომ უნდა მოიქცეს იგი
სიცოცხლის ძალად, როცა უკვე ამძორდა კაცი?
აგრემც შხამად და უკურნებელ სენად შეერგოს!
ხოლო სხეულს იმ ნაწილმა, სისხლმა და ფერმა,
ნადიმებზე რომ გამოჰკვება ტიმონმა, ღმერთო,
გაუხანგრძლივოს სიკვდილის უამს წუხილი ერთობ.

(გაღის)

მოედანი.

შემოდინ ლუციუსი და სამი უცხოელი.

ლუციუსი.

ვინ? ტიმონი? ჩემი მეგობარი გახლავთ. ყოვლად პატივცემული ადამიანია.

I უცხოელი.

ეგ ხომ ჩვენც ვიცით. თუმცა უცხო ქვეყნიდან ვართ, მაგრამ ჩვენ სხვა რამეც გავიგეთ, რაზედაც ეხლა მთელი ქალაქი ლაპარაკობს. ტიმონის მზე თურმე ჩაესვენა — სიმდიდრე შემოელიაო.

ლუციუსი.

II უცხოელი.

სისულელეა, არ დაიჯეროთ, ტიმონი და სიღარიბე ვის გაუგია. სინდისს გეფიცებით. მისი ერთ-ერთი მსახური ლუკულუსს ხლებია თურმე და სესხად რამოდენიმე ტალანტი უთხოვია. ის კი არა და აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი უფულოდო — ძალიან უჭირსო ბატონს, და თურმე, მაინც უარით გამოისტუმრეს.

ლუციუსი.

II უცხოელი.

ლუციუსი.

რაო?

დიახ, დიახ, უარით გამოისტუმრესო.

საოცარია! ვფიცავ ღმერთებს, ამის გაგონებაც კი მრცხვენია. ასეთი პატიოსანი კაცი უარით როგორ უნდა გამოისტუმრო. არავითარი პატივისცემა არ ჰქონებიათ ტიმონისა. მე კი, რა დასამალია, ლუკულუსთან შედარებით ტიმონისაგან მხოლოდ წვრილ-წვრილი საჩუქრები მიმიღია — ფული თუ ჭურჭელი, ზოგჯერ ძვირფასი ქვები თუ რალაც ამის მსგავსი. მაგრამ ჩემთან რომ გამოეგზავნა მსახური, რამოდენიმე ტალანტს როგორ დავუჭერდი?

(შემოდის სერვილიუსი)

სერვილიუსი.

აი, ბედიც ამას ჰქვია, თქვენ ძებნაში ოფლად გავიღვარე. ყოვლად ღირსეულო ბატონო...

ლუციუსი.

სერვილიუს, შენი ნახვა ნამდვილად მიხარია: აბა, კარგად იყავი, მომიკითხე შენი ღირსეული, გულკეთილი ბატონი და ჩემი უძვირფასესი მეგობარი.

სერვილიუსი.

უნდა გავბედო და თქვენს უდიდებულესობას მოვახსენო, რომ ჩემი ბატონი გიგზავნით...

ლუციუსი.

ოჰო, რას მიგზავნის? მე ისედაც დიდად ვარ დავალებული ტიმონისაგან. სულ ის არ მიგზავნის? არ ვიცი, რითი გადავუხადო, ნეტავ, ამჯერად რა გამომიგზავნა?

სარკვილიუსი.

ამჯერად თხოვნა და მუდარა გამოგიგზავნათ. გვედროთ სასწრაფოდ ასესხოთ რამდენიმე ტალანტი.

ლუციუსი.

ვიცი, რომ ხუმრობს, თორემ ტიმონს ხუთი ათასი ტალანტის შოვნაც შეუძლია, თუ კი დასჭირდა.

სარკვილიუსი.

დღეისდღეობით გაცილებით მცირედს მოითხოვს, ხოლო ღირსება რომ ახლდეს მოთხოვნას მისას, მაშინ აღარც მე მოგმართავდით ეგოდენ კრძალვით.

ლუციუსი.

ხუმრობ თუ მართალს ამბობ, სერვილიუს?

სარკვილიუსი.

სულს გეფიცებით, მართალს ვამბობ.

ლუციუსი.

ვაიმე, რა ღორულად გამომდის. სწორედ ეხლა შემომეხარჯა ფულები, როცა ასეთი ბრწყინვალე შემთხვევა მაქვს, მოვიპოვო პატიოსანი კაცის სახელი. იღბალი არ გინდა? ზუსტად გუშინ ვიყიდე რაღაც-რაღაცეები და დღეს კი ასეთ სიმდიდრეს ვკარგავ. — სერვილიუს, ვფიცავ ღმერთებს, ტიმონის წინაშე ნამდვილად უძლური ვარ. ღორი ვარ-მეთქი, ვიმეორებ, აი, ეს ხალხია მოწმე, ფულის სესხებას თვითონ ვაპირებდი ტიმონისაგან. მაგრამ ეხლა ამას არაფრით არ ვიკადრებ, ათენის მთელი ავლა-დიდებაც რომ დამიმტკიცონ. ჩემი გულითადი სალამი გადაეცი ყოვლად სახიერს. იმედი მაქვს, გამიგებს და არ მომიძულებს მხოლოდ იმის გამო, რომ ხელს ვერ ვუმართავ. ჩემზე მოახსენე, ყველაზე დიდ გულისწუხილად იმას თვლის, რომ უპატიოსნეს მამრს ვერ ასიამოვნა-თქო. ძმურად გთხოვ, კეთილო სერვილიუს, ზუსტად ეს სიტყვები მოახსენე ბატონს.

სარკვილიუსი.

კეთილი.

ლუციუსი.

მაშინ შენ დიდად დამავალე, ო, სერვილიუს.

(სერვილიუსი გადის)

მისი ვარსკვლავი ციდან მართლაც ჩავარდნილა და ვინც გასწირეს, ვერ ეშველოს იმას ადვილად.

(ლუციუსი გადის)

I უცხოელი.

II უცხოელი.

I უცხოელი.

ეხლა ხომ ხედავ, ჰოსტილიუს?

ჰაი, რომ ვხედავ,

ასეთი არის წუთისოფლის ნამდვილი სახე,
და პირმოთნეებს საგულეში ამ სიბინძურის
ნაგლეჯი უდევთ, — ერთ დროს ჰამდნენ ერთი ჯამიდან,
მოდრი და ეხლა დაუძახე მათ მეგობრები.

თავს ევლებოდა მას ტიმონი მამაზე მეტად,
და რამდენადაც ვიცი, ვალსაც ის უსტუმრებდა.

ის ინახავდა მის მსახურთაც, უვლიდა მამულს,
და ერთხელაც ვერ დაელია ღვინო ლუციუსს,
ტიმონის ვერცხლის ბადიები რომ არ ეკოცნა.

ეხლა კი, აჰა, თავად ხედავ რა უმსგავსოა,
ძე ადამისა, როცა იგი უმადურია!

ხელს არ უმართავს ორი გროშით, კეთილი კაცი,
ამ გროშებს ალბათ მათხოვარსაც გადაუგდებდა.

ასე სუსტდება რელიგია.

III უცხოელი.

I უცხოელი.

მე კი რომ მკითხო,

ჯერ არასოდეს მიგემნია ტიმონის პური,

ვერც მისმა ფულმა მაიძულა აღმომეჩინა

ჩემში ტიმონის მეგობარი. მაგრამ ვაცხადებ,

ისე ერთიან მოვიხიბლე მისი სიკეთით,

მისი მაღალი სულითა და პატიოსნებით,

რომ მზად ვარ, მისი გაჭირვება უკეთუ ღირსმყოფს,

წარმოვადგინო მთელი ჩემი ავლადიდება

და უკეთესი ნახევარი გავუნაწილო, —

ისე მომხიბლა მისმა გულმა; თუმც ისიც ვიცი,

რომ სიბრალული არაფრად ღირს კაცთათვის ახლა,

რამეთუ დადგა დღეს მზაკვრობა სინდისზე მაღლა.

(გადიან)

სცენა III

ოთახი სემპრონიუსის სახლში

შემოდის სემპრონიუსი და ტიმონის მსახური

სემპრონიუსი.

გაჭირვების ჟამს, ჰმ, რალა მე გამომარჩია,

მაინცდამაინც რატომ მე და არა ლუკულუს?

თუნდაც ლუციუს? მდიდარია ვენტიდიუსიც,

ის ხომ ციხიდან გამოიხსნა... დიახ, სამთავე
შენს ბატონს უნდა უმაღლოდეს თავიანთ დოვლათს.
ტიმონის მსახური. ბატონო ჩემო, სამივენი გამოიცადა
და თვითეული ხელში შეგვრჩია ყალბი ფულივით,
რადგან უარი შემოთვალეს.

სამარონიუსი.

რაო? უარი?

ვენტიდიუსიცი, ლუკულუსიცი მაშ განზე გადგნენ?
ჰოდა მე რაღას მემართლებით? სამი უარი...
არ ჰყვარებიათ სჩანს ტიმონი, არც პატივს სცემდნენ.
უკანასკნელი მელა დაგრჩით თურმე იმედად,
თუ მეგობრებმა მიატოვეს განსაცდელის ჟამს,
ვით ექიმებმა, ჩანს, რომ მარტომ მე უნდა ვიდო
მისი განკურნვა! ნეტავ ასე რად შეურაცხმყოფს,
რატომ შეშალა მეგობრებში ჩემი ადგილი.
ო, მწყინს, რომ ყოვლის უწინარეს მე არ მომმართა,
მე ხომ პირველი ვღებულობდი მისგან საჩუქრებს.
და ვით დავეცი მე მის თვალში ასე უმწეოდ,
სხვებს რომ ბოლოში მიმათვალა? ოჰ, არა, არა,
თავს ვერ გავიხდი სასაცილოდ, ის-ღა მაკლია,
ეხლა სულელიცი დამიძახონ დიდებულთ შორის,
სამთაგან მე რომ ვყოფილიყავ პირველი, მაშინ
სამმაგად უფრო მეტს გავცემდი, იმდენად მსურდა
სიკეთე მისთვის, მაგრამ ეხლა უნდა გაბრუნდე
და იმ სამ უარს მიუმატო ჩემი სიტყვებიცი —
მას ფულს ვერ მივცემ, ვის თვალშიაც გროშად ვითვლები.

(გაღის)

მსახური.

დიდებულა! თქვენი ბრწყინვალეობა კარგი თაღლითიცი ყო-
ფილა. ალბათ თვითონ მამონმაც არ იცოდა, რას სჩადიოდა,
როცა კაცს მზაკვრობას ჩააგონებდა. დარწმუნებული ვარ,
კაცთა უგვანობა იქამდე მივა, რომ მამონიცი უმანკო მოგვეჩვენ-
ნება. რა მშვენივრად ცდილობდა ეს ვაჟბატონი არამზად
ყოფილიყო. კეთილი იყო, რომ ბოროტება ჩაედინა, მსგავსად
იმ ადამიანებისა, რომლებიცი მზად არიან სამეფო გადასწვენ
და ნაცრად აქციონ. მისი ანგარებიანი სიყვარულიცი ხომ ასე
ალტყინებას ჰგავს.

აი, ეს იყო ჩვენთვის თითქმის იმედი ბოლო,
გაჰქრა ყოველი, მალლა დარჩნენ ღმერთები მხოლოდ,
მთლად მიიცივალნენ მეგობრები და იმ ჭიშკარმა,
რომ არ იცნობდა არცერთ საგდულს მრავალი წელი,
უნდა ჩაჰკეტოს ცხრაკლიტულში ბატონი მისი.
ხელგაშლილობას, ჩანს ასეთი დასასრული აქვს,
კარლია სახლში უთვისტომო დარჩა სრულიად.

(გადის)

სცენა IV

დარბაზი ტიმონის სახლში

შემოდის ვაროს ორი მსახური და ლუციუსის მსახური. ისინი ხვდებიან ტიტუსს, ჰორტენზიუსს და ტიმონის კრედიტორთა მსახურებს, რომლებიც მის გამოჩენას ელიან.

ვაროს მსახური. დღე მშვიდობისა, ჰორტენზიუს! სალამი ტიტუს!
ტიტუსი. ო, გაგიმარჯოს, ჩემო ვარო!

ჰორტენზიუსი. შენც აქ, ლუციუს?

ბიჭოს რა ერთად შევიკრიბეთ?

ლუციუსის მსახ. მე მგონი ყველა

ერთიდაიგივე გაჭირვებამ გამოგვაგზავნა.

მე თვითონ ფულზე გეახელით.

ტიტუსი. ჩვენც მაგაზე ვართ.

(შემოდის ფილოტუსი)

ლუციუსის მსახ. და ფილოტუსიც ამ მიზეზით გარჯილა, მგონი.

ფილოტუსი. სალამი თქვენდა!

ლუციუსის მსახ. გაგიმარჯოს, კეთილო ძმაო,

ეხლა რა დროა?

იტანჯება საათი ცხრისთვის.

ფილოტუსი. რა დრო გასულა.

ჯერ ხომ ბატონი არ გინახავთ?

ფილოტუსი.

ლუციუსის მსახ. არა!

ფილოტუსი. რას ამბობ? შვიდზე მზეებრ უნდა ებრწყინა.

ლუციუსის მსახ. შენ მართალი ხარ, მაგრამ მას ხომ დღე შეუმოკლდა,

მოგესხენება, მზის სიუხვეს წააგავს ფლანგვა.
მაგრამ ტიმონი მზეებრ ველარ დაიბადება,
მის ფულის ქისას ღრმა ზამთარი დაუდგა, მგონი,
და იმდენად ღრმა, ილლიამდეც რომ ჩაჰყო ხელი,
არ ამოგყვება სინათლეზე ორიოდ გროშიც.

ფილოტუსი.

მეც ასე ვფიქრობ.

ტიტუსი.

მინდა ერთი რამე გიჩვენოთ, —

(ჰორტენზიუსს) შენ ხომ ფულისთვის გამოგზავნა ბატონმა
შენმა?

ჰორტენზიუსი.

მხოლოდ ფულისთვის.

ტიტუსი.

და ძვირფასი თვალ-მარგალიტი,

შენს ბატონს ასე რომ ამშვენებს, განა ტიმონის
ძღვენი არ არის? — და მე კი დღეს ამ ფულს მოვიტხოვ.

ჰორტენზიუსი.

მე ჩემდა თავად არც კი მსურდა აქ მოსვლა.

ლუციუსის მსახ.

მართლაც

საოცარია — ტიმონი ხომ უფრო მეტს იხდის,
ვიდრე ნამდვილად ევალება. ისე გამოდის,
იმ ძვირფას ქვებში, ეხლა შენი ბატონი რომ ჰფლობს,
ფულსაც მოითხოვს ტიმონისგან.

ჰორტენზიუსი.

ცაა მოწამე,

ზიზლით ავივსე, აქ წამოსვლა რომ დამავალეს,
ჩემმა ბატონმა იმის ზინათს მოულო ბოლო
და დღეს კი ასე უმადური ქურდსა ჰგავს მხოლოდ.
ჩვენ სამი ათას კრონს მოვიტხოვთ.

ვარონს მსახ.

თქვენ კი, ლუციუს?

ლუციუსის მსახ.

სულ ხუთი ათასს.

ვარონს I მსახ.

ოჰო, ბლომად მოგიტხოვიათ;

შენს ბატონს მეტი ჰქონებია, ჩანს, ერთგულება,
ვიდრე ჩემს ბატონს, თორემ ამდენს არ მოითხოვდა.

(შემოდის ფლამინიუსი)

ტიტუსი.

აი ტიმონის ერთ-ერთი მსახური.

ლუციუსის მსახ.

ფლამინიუს, ერთი წუთით, გეთაყვა, — მალე გამობრძანდება
ბატონი ტიმონი?

ფლამინიუსი.

ვერა, ვერ გამოვა.

ტიტუსი.

ჩვენ მას ველოდებით; მოახსენე.

ფლავიუსი. ვერა, ვერ ვეტყვი. მან ხომ კარგად იცის, რომ თქვენ მაინც არ მოეშვებით.

(შემოდის ფლავიუსი, პირისახე შეფუთული).

ლუციუსის მსახ. ეს ხომ ტიმონის მეურვეა, რას შეფუთულა და ღრუბელივით იპარება, აბა მოვუხმოთ.

ბიჭუსი. ჰეი, არ გესმით?

ვაროს I მსახ. ერთი წუთით, თუ შეიძლება.

ფლავიუსი. რაშია საქმე, მეგობრებო?

ბიჭუსი. თქვენ კარგად იცით

თუ რა, ფულს ველით.

ფლავიუსი. ჭეშმარიტად ეგ რომ ვიცოდე, როგორც ის ვიცი, რომ აქ დგახართ და ელოდებით, აღარ მეთქმოდა ერთი სიტყვაც, ან რატომ მაშინ არ მოგვაკითხეთ მაგ ვალებზე, როცა ტიმონთან თქვენი მლიქვნელი ბატონები ნადიმად ისხდნენ. მაშინ ისინი ტიმონს მხოლოდ გაუცინებდნენ და კვლავ ხორაგით დატენიდნენ ქონიან გვამებს. თქვენ ძლიერ სცდებით, ეხლა მე რომ მაფორიაქებთ, მომეცით იმის საშუალება, წყნარად წავიდე.

ჩვენ ყოველივე დავამთავრეთ თითქმის უკლებად და არ-რა დამრჩა მე აღრიცხავად, ტიმონს ჩუქებად.

ლუციუსის მსახ. ეგ შენი სიტყვა პასუხად რომ არ გამოდგება?!

ფლავიუსი. რათაო ვითომ, თქვენზე დაბლა ხომ არ დგას იგი, თქვენ ვინც თაღლითებს მსახურებად გამოადექით?

(გადის)

ვაროს I მსახ. რაო, რაებს ბურტყუნებს ეს გადაყენებული კაცი?

ვაროს II მსახ. სულ ერთი არ არის? მაგას თავისი უბედურებაც ეყოფა.

ასე ბრტყელ-ბრტყელად მხოლოდ ის თუ ილაპარაკებს, ვისაც სახურავიც კი აღარ შერჩა, თავი რომ შეათაროს. ასეთმა კაც-მა აუცილებლად დიდი შენობები უნდა აგინოს.

(შემოდის სერვილიუსი)

ბიჭუსი. აი, სერვილიუსიც. ხეირიან პასუხს მაინც გვეტყვის.

სერვილიუსი. არ შეიძლება, მეგობრებო, გთხოვოთ და იქნებ როგორმე სხვა დროს მოგვაკითხოთ; მერწმუნეთ, ამით

თქვენ შეჰმარტად დამავალებთ; ბატონი ჩემი,
 სულს გეფიცებით, არის ერთობ განრისხებული;
 სიმშვიდე მაინც სულ დაჰკარგა და თავს იმდენად
 უძლურად გრძნობს. რომ დღეს ოთახსაც კი არ სცილდება.
ლუციუსის მსახ. ბევრი ჯანმრთელიც არ სცილდება საკუთარ ოთახს.
 მაგრამ თუ მართლაც უკანასკნელ დღეშია, ვგონებ,
 მით უფრო მალე უნდა გასცეს მან თანამდები,
 რომ ღმერთებს თვალი გაუმაგროს.
სერვილიუსი. ჰოი, ღმერთებო!
ტიტუსი. ამას პასუხად ვერ მივუტანთ ჩვენ ჩვენს ბატონებს.
ფლამინიუსი. (სცენის შიგნიდან)
 ო, მომეხმარე, სერვილიუს!.. ბატონო ჩემო!
 (შემოდის განრისხებული ტიმონი. მოსდევს ფლამინიუსი)
ტიმონი. რაო? ეს ჩემი სახლის კარი მეც გზას მილობავს?
 ვცხოვრობდი მუდამ თავისუფლად და დღეს კი, თურმე
 ჩემთვის ჩემივე სახლი ციხედ უნდა გადაიქცეს.
 და იმ კუთხემ და ჭერმა, სადაც მე მოვილხენდი,
 დღეს, კაცთა მსგავსად, რკინის გული უნდა მიჩვენოს.
ლუციუსის მსახ. აბა, ტიტუს, ეხლა მიდი.
ტიტუსი. აი, ბატონო, ჩემი ანგარიში.
ლუციუსის მსახ. აი, ჩემიც.
ჰორტენსიუსი. ჩემი, ბატონო.
ვაროს ორივე
მსახური. და აი, ჩვენიც.
ფილოტუსი. მთელი ჩვენი ანგარიში.
ტიმონი. მოიცა, არ მომკლათ, წელს ჰვევით მაინც ნულარ დამჩეხავთ.
ლუციუსის მსახ. დიახ, ჩემო ბატონო...
ტიმონი. აჰა, გულიდან გამომჰყვით ფულები.
ტიტუსი. მე ორმოცდაათი ტალანტი მერგება.
ტიმონი. ჰა, ჩემი სისხლი.
ლუციუსის მსახ. მე კი ხუთი ათასი კრონი.
ტიმონი. ე. ი. ხუთი ათას წვეთს მიიღებ. შენი რამდენია? თქვენი?
ვაროს I მსახ. ბატონო...
ვაროს II მსახ. ბატონო...
ტიმონი. აჰა, დამგლიჯეთ. — ღმერთებმა შეაჩვენოს თქვენი თავი და
 ტანი (გადის).

პორტანეზისი.

ახლა კი ვიცი, რომ ჩვენმა ბატონებმა ამ ფულებს ქუდები უნდა მოუხადონ. თვითონ ვალებიც გაცოფდებიან, რაკი მათ შეშლილი კაცი იხდის.

(გადიან).

შემობრუნდება ტიმონი და ფლავიუსი.

ტიმონი.

სული კინალამ ამომართვეს მევალებმა. ამ მაცთურებმა.

ფლავიუსი.

ო, ძვირფასო ჩემო ბატონო...

ტიმონი.

მოდით და ერთხელ კიდევ ვცადოთ.

ფლავიუსი.

ბატონო ჩემო...

ტიმონი.

და ასეც ვიზამ... ჰე მეურვევ!

ფლავიუსი.

მე აქ გახლავარ.

ტიმონი.

რა სწრაფად გაჩნდი. ჩემს მეგობრებს სთხოვე მეწვიონ. ყველას — ლუციუსს, სემპრონიუსს და ლუკულუსსაც. ამ სალახანებს კიდევ ერთხელ დავსვამ ნადიმად.

ფლავიუსი.

ჩანს, არეული გონება-ლა გალაპარაკებთ, თორემ იმდენიც აღარ შეგრჩა, ერთ საწყალ სუფრას რომ ვამყოფინოთ.

ტიმონი.

ამის დარდი შენ ნუ გექნება.

წადი მოუხმე სალახანებს, დე, ერთხელ კიდევ მოვიპატიოთ და სუფრაზე დავსხათ საწყლები. სუფრას კი მე და მზარეულიც, ვფიქრობ, გავწვდებით.

(გადიან)

სცენა V

სენატის დარბაზი.

სენატორები სხედან. ალკიბიადე ამალით შემოდის.

I სენატორი.

მეც, ბატონებო, ვუერთდები თქვენს ხმას სავსებით, — სისხლის სუნი სდის დანაშაულს და ჭეშმარიტად ის უნდა მოკვდეს. არაფერი ამქვეყნად ისე არ აძლიერებს ცოდვის ფესვებს, ვით შეწყნარება.

II სენატორი.

დასტურ, კანონი ვერ დაინდობს.

ალკიბიადე.

სალამი სენატს,

I სენატორი.
ალკიზიადე.

ნუ მოაკლდება მას პატივი და მოწყალება.
რაო, სარდალო?

თქვენს სათნო გულს უმორჩილესად
ვთხოვ მოწყალებას; სიბრალული, მოგეხსენებათ,
არის კანონის სათნოება, მარტოდენ ტირანს
ძალუძს კანონი სისასტიკით შერაცხოს მხოლოდ.
დროის და ბედის ახირების ბრალია, როცა
ეგოდენ უღვთოთ გაიწირა მოყვასი ჩემი. —
დაბრმავებულმა რისხვისაგან კანონს შესცოდა,
ის ხომ უფსკრულში მიაქანებს ჭკუაზე შეშლილთ.
ეს სამარცხვინო და უგვანო ხვედრი რომ არა,
სხვაფრივ სათნო და ღირსეული კაცია იგი.
არ შეუბღალავს სულმდაბლობით დანაშაული,
(ამ ცოდვებს მისი ინანიებს სიდარბაისლე).
კეთილშობილის აღზევებით შეება მტერთა,
როცა ისინი მოსრად მოდგნენ ჩვენი ღირსების.
შეკავებული აღგზნებით და ზომიერებით
იმას ბოლომდის გაჰყვა რისხვა, ანდა ნალველი,
თითქოს და რისხვა იყო ჭკუის ნაკარნახევი.
იგავის დიდი ხელოვნება უნდა იცოდე,
ეს სიმახინჯე სილამაზედ რომ მოგაჩვენო.
ჰოი, რა ძალა უნდა ჰქონდეს უენს სიტყვას, როცა
თრთქმის ცათამდის აღამაღლე თვითონ მკვლელობაც,
ანდა ეს ჩხუბი ვაჟკაცობას ვით მიათვალე, —
ძიძგილაობა ვაჟკაცობის ბუშია მხოლოდ
და ქვეყნად მაშინ დაიბადა, როცა სექტები
გაჩნდა. ნამდვილი გულოვანი მხოლოდ ის არის,
ვინც სიბრძნის ძალით გადაიტანს ყველა სიმწარეს,
ენა რომ გარეთ გამოათენს, ვინც სამოსივით
შემოიტმასნის სიბილწეს და თავის გზით წავა,
ვინც ამ ტკივილებს გულს არაფრით არ მიაკარებს;
სისულელეა ამჯობინო სიკეთეს ავი,
კაცის კვლად აღდგე, ბოროტებას შესწირო თავი.
ბატონო ჩემო...

I სენატორი.

ალკიზიადე.
I სენატორი.

მრუდი მუდამ დარჩება მრუდად,
შურს არ ეძიებს გულოვნება — ის ითმენს მუდამ.

ალკიზიაღე.

ღვთის გულისათვის, ბატონებო, გთხოვთ, თუ ასეა, ჯარისკაცური მაპატიოთ სიტყვა-პასუხი. ერთი მითხარით, რატომ შედის ცხარე ბრძოლაში კაცი და მერე უფრო ხოლმე ყოველ მუქარას? განა მას სძინავს, ყელს ღუშმანი როცა უღადრავს, — ხელსაც არ ანძრევს? თუკი მართლა თმენაში ჰმონებს ბედს გულოვანი, მაშინ რაღად ესწრაფვის ბრძოლებს?.. კაცთა უმეტეს გულოვანნი ქალნი ყოფილან, რაღაი მუდამ მოთმინებით ცეცხლისპირ სხედან, ასევე ლომიც ჩამორჩება ალბათ სახედარს, ქურდი ყოფილა ხუნდდაყრილი მოსამართლეზე უფრო ჰკვიანი, რაკი სიბრძნე თმენაში ჰგვის. ჩვენთვის სიკეთეც გმართებთ, მამრნო, ძალშემოსილნო, ამ გულქვაობას ჰეშმარიტად ედება ბრალი, რადგან კაცის კვლა უკიდურეს ცოდვად ითვლება. და მაინც კიდევ ვფიქრობ ისიც სწორი იქნება, თუ მოწყალებით განიკითხავთ. დანაშაულად ითვლება რისხვა, მაგრამ კაცი ვინ არ გაბმულა მის ბინძურ ქსელში — გთხოვთ, ამ თვალთ შეხედოთ მასაც. ამოდ შერებით.

II სენატორი.
ალკიზიაღე.

მაშ, ამოდ? სიცოცხლეს მარტო ლაკედომენში ანდა თუნდაც ბიზანტიაში ბრძოლა და თავის გადადება შეუნარჩუნებს. რისი თქმა გინდათ?

I სენატორი.
ალკიზიაღე.

იმას ვამბობ, რომ სამსახური დიდი გასწია, მრავალ ღუშმანს მზე დაუბნელა, ამ უკანასკნელ თმშიც სწორედ მან გვასახელა, და მომხვდურს მარტომ მიაყენა ბევრი ზიანი. ალაფიც ბევრი წამოიღო. ის დაბადებით ხომ თავხედიია. დიდი მანკის პატრონიც გახლავთ, მასვე რომ ახრჩობს, ტყვედ რომ იხდის მის სიმამაცეს და მეტი მტერიც რომ არ ჰყავდეს, ესეც ეყოფა, — გაცოფებულმა მან მრავალგზის მრავალი კაცი ან შეურაცხყო, ან უშვერი სიტყვით დალანძლა, ვიცნობთ ამ ლაფში ამოვლებულს, მას თუ მოთოკავს სიკვდილი, ისე საშიშია მისი ლოთობა.

II სენატორი.

I სენატორი.
ალკიზიადე.

ის უნდა მოკვდეს.

მორჩა, კაცს თუ ბედი გასწირავს! —

შეეძლო ომშიც მომკვდარიყო. რაკი ასეა,
რაკი იმდენი ველარ ჰპოვეთ მასში ღირსება,
(თუმცა ამ ცოდვას მარტო მისი მარჯვენა ხელიც
გამოისყიდდა) მინდა იმით მოგიღბოთ გული,
რომ მის ღირსებებს მიამატოთ ჩემიც უკლებლივ;
ბებრები უფროთხით მფლანგველობას, ჰოდა საწინდრად
ჩემი სახელი და დიდება მომიერთმევია,
მე ვარ თავდები, რომ ის ცოდვას გამოისყიდის, —
რაკი კანონი სასიკვდილოდ უღვთოდ იმეტებს,
დაე, ომებში მოიხადოს ეს მძიმე ვალი,
ყრუა კანონი, არც ომია ნაკლებად მწყრალი.
ვერ გადავუხვევთ კანონს-მეთქი, აწ ზედმეტია
ხვეწნა-მუდარა. იმას სისხლი წაერთვას უნდა,
ვინც კი სისხლს დაღვრის, საკუთარი ძმა იყოს თუნდაც.
ო, ნუთუ მართლა? არა, ასე არ შეიძლება,
გთხოვთ, მეც ღირსად მცნოთ.

I სენატორი.

ალკიზიადე.

II სენატორი.
ალკიზიადე.

არაფერი არ მესმის.

ვგონებ,

თქვენ გავიწყდებათ, მე ვინა ვარ.

III სენატორი.
ალკიზიადე.

რისი თქმა გინდათ?

ჩანს, ჭეშმარიტად დამივიწყა სიბერემ თქვენმა,
რაკი ესოდენ უკადრისი მარგუნეთ ხვედრი,
თურმე უბრალო საქმეზედაც ამაოდ გვედრით,
დღეს უძველესი ჭრილობებიც გაიხსნა ჩემი.

I სენატორი.

რას ბედავ. რაკი არად გვაგდებ, გაუწყებთ თავხედს
მცირედი სიტყვით, მაგრამ სრულის გარდუვალობით —
ამიერიდან ხარ ქვეყნიდან გაძევებული.

ალკიზიადე.

გაძევებული? გააძვევთ თქვენი სიჩლუნგე
და ანგარებაც გააძვევთ, სენატს რომ არცხვენს!

I სენატორი.

ორი დღის შემდეგ თუ ათენში ისევ გიხილეს,
მაშინ ელოდე ჭეშმარიტად ჩვენს რისხვას, ხოლო
რაც შეეხება შენს მეგობარს, დღესვე მოკვდება.

(სენატორები გადიან)

ალკიზიადა.

მარად ბებრებად დაგარჩინონ ღმერთებმა, ძვლებზე
შეგადნეთ ხორცი, მერე ზედაც რომ არ შეგხედოთ! —
როდესაც მე მათ მტერს ყოველმხრივ ვუგერიებდი,
ისინი სარფას ეძებდნენ და ფულებს იხვეჭდნენ,
მე კი ჭრილობით და იარით გავმდიდრდი მხოლოდ.
და ჰა, სანაცვლოდ ეს მომაგეს! აი ბალზამი,
დღეს რომ წამაცხეს ჭრილობებზე ამ თაღლითებმა —
გაგაძვევითო! მგონი ცუდიც არ უნდა იყოს!
დე, იგი ჩემი აღშფოთების მიზეზად იქცეს,
რომ მე ოდესმე ათენს ჩემი დარტყმაც ვაგემო.
შევყრი მე ყველა გულგატეხილ მეომარს ჩემსას
და ავუჯანყებ ამ თაღლითებს. სასახელოა,
ძლიერს რომ სუსტმა შეუტოო, არც ჩვენ გვაქვს სხვა გზა,
ვით ღმერთნი, ვერც ჩვენ ვერ ვიგუებთ უმცირეს მანკსაც.

(გადის)

სცენა VI

დიდებული დარბაზი ტიმონის სახლში.

მუსიკა. სუფრა გაშლილია. გარშემო მსახურნი დგანან. რამდენიმე კარიდან სტუმრები შემოდინან.

I დიდებული.

ბედნიერებას გისურვებთ, ბატონო.

II დიდებული.

ჩვენც აგრეთვე. ალბათ მხოლოდ ჩვენი გამოცდა სურდა
ორიოდ დღის წინ ყოვლად ღირსეულს.

I დიდებული.

მეც სწორედ ეგ გავიფიქრე, თვალი რომ მოვკარი, მგონი,
არც ისე უჭირს, როგორც თავის გულქვა მეგობრებს ეუბნე-
ბოდა.

II დიდებული.

რა თქმა უნდა, არა, თუკი ასეთ ნადიმებს იხდის.

I დიდებული.

მეც ასე ვფიქრობ: მთელი გულითა და სულით მომიპატიჟა,
ისეთი საჩქარო საქმეები მქონდა, რომ უარი უნდა მეთქვა,
მაგრამ დამაფიცა, ყველაფერი განზე გადადევო და ძალაუნე-
ბურად დავთანხმდი.

II დიდებული.

მეც გადაუდებელი საქმე მქონდა, მაგრამ ტიმონს ამის გაგო-
ნებაც არ სურდა. ეჰ, გულსატკენია, რომ ფული სწორედ იმ

დროს გამითავდა, როცა კაცი გამომიგზავნა.
 I დიღვაული. მეც ეგ დარდი არა მკლავს, თანაც როცა უკვე სინამდვილეს
 მივხვდი.
 II დიღვაული. აქ ვისაც ხედავთ, ყველა ჩვენს დღეში იქნება, პირადად თქვენ
 რამდენს გესესხათ?
 I დიღვაული. ათას ოქროს.
 II დიღვაული. ათასს!
 I დიღვაული. თქვენ?
 II დიღვაული. მე კი სულ.... აი, თვითონაც.
 შემოდის ტიმონი ამალით.
 ბიზონი. მოგესალმებით მთელის გულით! რასა იქო?
 I დიღვაული. როცა თქვენი უდიდებულესობა ჯანმრთელად არის, მან
 ჩვენც არა გვიშავს რა.
 II დიღვაული. ჩვენ უფრო მოუთმენლად მოველით თქვენს გამოჩენას, ვე
 რე მერცხალი ზაფხულს.
 ბიზონი. (განზე) ასევე მოუთმენლად უფროთხიან ზამთარს — ამ ჩიტებ
 მხოლოდ ზაფხული უყვართ. — ბატონებო, ჩემი სადილი ა
 დენ ლოდინად არც ღირს. ჯერეთ მუსიკას შეექცევით, თ
 საყვირების ხმა უგემური არ მოგეჩვენათ. მალე სუფრასა
 შემოვუსხდებით.
 I დიღვაული. იმედი მაქვს არ მიბრაზდებით, თქვენი მსახური რომ ხელ
 რიელი გამოვუშვი.
 ბიზონი. ამაზე ნულარ შეწუხდებით.
 II დიღვაული. კეთილშობილო ადამიანო.
 ბიზონი. ო, ჩემო კეთილო მეგობარო. დავსხდეთ ნადიმად?
 (შემოაქვთ საჭმელი)
 II დიღვაული. ყოვლად ღირსეულო, ტიმონ, სირცხვილით ვიწვი, რომ მ
 თხოვარივით ბოგანო ვიყავი მაშინ, როცა კაცი გამომიგზავ
 ნეთ.
 ბიზონი. ამიერიდან ამაზე ნულარ იფიქრებთ.
 II დიღვაული. ორი საათით უფრო აღრე რომ გამოგეგზავნათ...
 ბიზონი. გულს ნუ მოიშხამავთ მოგონებებით. — აბა, ყველა კ
 ერთად შემოიტანეთ.
 II დიღვაული. ყველა სინი და ტაბაკი თავდახურულია.
 I დიღვაული. მეფის საკადრისი იქნება, ღმერთმანი.

III დიდებულნი.

ეჭვი არ არის. ყველაფერი აქ იქნება, რის მოცემაც ფულს შეუძლია და რაც წლის დროის შესაძლებლობას არ აღემატება.

I დიდებულნი.

როგორ ბრძანდებით? ახალი რა იცით?

III დიდებულნი.

ალბათ თქვენც გაიგებდით, რომ ალკიბიადე გააძევეს.

I და II დიდებ.

გააძევესო?

III დიდებულნი.

დიახ, დიახ.

I დიდებულნი.

როგორ? რანაირად?

II დიდებულნი.

კი მაგრამ რატომ, რა მიზეზით?

ბიზონი.

პატივცემულო მეგობრებო, სუფრაზედ გიწვევთ.

III დიდებულნი.

დანარჩენს მერე გეტყვით. ჯერ ეს დიდებული სუფრა...

II დიდებულნი.

ტიმონი ისევ ის ძველი ტიმონია.

III დიდებულნი.

მაგრამ გაუძლებს კი? გაუძლებს?

III დიდებულნი.

ჯერჯერობით ნამდვილად უძლებს. მაგრამ მაგის დროც მოვა და....

III დიდებულნი.

გასაგებია.

ბიზონი.

თითოეული სტუმარი თავის ადგილს მიუჯდეს იმ მოუთმენლობით, როგორითაც თავისი ქალბატონის ბაგეებს დაეწაფებოდა. ყველას ერთი და იგივე ულუფა მოუწევს. სადილს ხელმწიფის ნადიმად ნუ გადამიქცევთ, ვიდრე იმას გაარკვევდნენ, თუ ვის რომელი ადგილი ეკუთვნის, ხორცი გაცივდება. დასხედით, დასხედით. ეხლა კი მადლი შევწიროთ ღმერთებს.

ო, დიდო, ყოვლად სახიერო ღმერთებო, მადლიერების წვეთები მოასხურეთ ჩვენს თავყრილობას. გვადიულეთ გადიდოთ იმის გამო, რომ თქვენივე ღვთაებრიობა არ შევაჩვენოთ. იმდენი მიეცით ერთს, მეორეს რომ არ დაესესხოს, თორემ, ყოვლად ძლიერნო, თქვენ რომ კაცთ დაესესხოთ, ისინი მაშინვე მოგიძულებენ. იმდენი ჰქმენით, რომ პურმარული უფრო გვიყვარდეს, ვიდრე ის, ვინც მას იძლევა. რომ ოცი კაცის თავყრილობაშიც უმეტესი თაღლითი იყოს. და თუ სუფრას თორმეტი ქალი მიუჯდება, მათგან დუჟინი იყოს ის — რაც არის. ხოლო დანარჩენი თქვენი მონა-მორჩილნი, — სენატორები ათენისა და მათთან ერთად ნაძირალა ბრბო, ო, ღმერთებო, ღირსყავით მოსრად და გაცამტვერებად. რაც შეეხება აქ შეკრებილთ ჩემთა მეგობართ — რაკი არარაობანი არიან ისინი ჩემთვის, არარაობითვე აკურთხევდეთ მათ და არარა-

ობამდე გზა დაგელოცოთ მათთვის. ეხლა კი, ძაღლებო, სინეკუ.
ხუფები მოჭხადეთ და თქველიფეთ.

(სინეკში ცხელი წყალი აღმოჩნდება).

რამდენიმე ხმა.

სხვანი.

ტიმოტი.

კი მაგრამ, რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს?
აბა, რა ვიცი.

ალარც გენახოთ უკეთესი ღრეობა მეტად,
თქვე მართლა მუცლის მეგობრებო! ორთქლი და წყალი
მეტია თქვენთვის. აი, სიტყვა უკანასკნელი —
რაც ჩაშაქრული სიტყვით დღემდე მიაამებიხართ,
ის ეხლა უნდა ჩამოგრეცხოთ, სამაგიეროდ
სახეში უნდა მოგასხუროთ თქვენი სიბილწე.

(სახეში შეასხაჰს მათ წყალს).

ამ ტვირთქვეშ წელში დადრეკილებს გევლოთ მარადის,
მოღიმარო და თავმდაბალო ხისხლისმწოვლებო,
თავაზიანო კაცისმკვლელნო, ლაქუცა მგელნო,
ნაზო დათვებო, მასხარებო ბედის და იღბლის,
კვამლივით მქრქალნო უდღეურო მწერებო, ვინაც
ქუდის მოხდას და მუხლის დრეკას მონად ექეცით.
კაცის და მხეცის ყველა მანკით და ყველა სენით
ფერი და ძარღვი მოგეშხამოთ. შენ სად მიდიხარ?
აბა, წამალი თან წაიღე! შენც და შენც! ჩქარა!

(ჭურჭელს ესვრის. და სახლიდან ერეკება)

შენ კი მოიცა, ფული მინდა გასესხო მხოლოდ,
კი არ ვსესხულობ... რას გარბიხარ? აწი უკლებლად
თაღლითებს ყველგან მიიჩნევენ ძვირფას სტუმრებად.
დაიწვი, სახლო და ქალაქო, ტიმონი მოთქვამს
ნულარ ახსენონ მასთან კაცი და კაცის მოდგმა!

(გადის. შემოდინ დიდებულები სენატორებთან ერთად)

I დიდებული.

V დიდებული.

III დიდებული.

IV დიდებული.

III დიდებული.

რას იტყვით, ბატონებო?

ნეტავ ასე რამ განარისხა?

ჯანდაბას მაგისი თავი! ჩემი ქუდი ხომ არ გინახავთ?

მე ჩემი მოსასხამი ვერ მიპოვნია.

გიჟია, გიჟს გახუმრება მოეპრიანა; ამას წინათ ბრილიანტი

IV დიდაზული.
II დიდაზული.
IV დიდაზული.
I დიდაზული.
II დიდაზული.
I დიდაზული.
IV დიდაზული.

თვალი მაჩუქა, დღეს კი ქუდიდან ჩამომავლიჯა; თქვენ ხომ არ გინახავთ ჩემი ბრილიანტი?

თქვენ ჩემი ქუდი ხომ არ გინახავთ?

აჰა, აი.

აი, ჩემი მოსასხამიც.

მოდით ჩქარა გავეცალოთ აქაურობას.

გიჟია, გიჟი.

ეგ ხომ უკვე ჩემს ძვლებსაც ესმის.

ხან ბრილიანტებს გიწყალობებს, ხანაც ქვას გესვრის.

(გადიან)

მ ო ჯ მ ე დ ე ბ ა IV

ს ც ე ნ ა I

ათენის გალავანთან

შემოდის ტიმონი

ტიმონი.

ჰოი, კედელო, მოდი, ერთხელ კიდევ მოგხედო, მგლებს რომ გარშემო შემორტყმინარ, გიჯობს მიწასთან გასწორდე, ვიდრე იფარვიდე ათინას ქალაქს! ქალნი მრუშობდეთ და ბავშვები მიწყვიტ ურჩობდეთ, მასხარებო და მათხოვრებო, დაამხეთ ტახტი ამ გადამღრძვალთა სენატორთა და თვით გამეფდით! მიესადაგე, სიქალწულევე, ქვეყნის სიბილწეს, და ავხორცობა დაანახვო მამაშენს ვინძლო. დანა დააძვრეთ, მევახშენო, ყველა გლახაკთა დასაღადრავად. მსახურებო, ქურდავდეთ ბატონთ, — მათ ხომ ქვეყანა გაატყავეს კანონის ძალით! მოახლევე, ჩქარა სარეცელზე ეახლე ბატონს, საროსკიპოში გდია მისი თანამეცხედრე. შენ კი ყმაწვილო, გამოჰგლიჯე ხეიბარ მამას ყავარჯენი და ჭალარაში უზილე ტვინი!

რელიგიაჲ და მოკრძალებავ, წინაშე ღმერთთა
კაცთა სიმართლევ, სამართალო ამა ქვეყნისა,
სიმშვიდევ, ტკბილო მოგონებავ, კაცთმოყვარებავ,
ზნეო და ნირო, სწავლულებავ და ოსტატობავ,
მისტერიებო, კანონებო, აღმოჩენებო, —
გაუჯიშოვდით, გადაგვარდით, გადაჯილაგდით!
წარწყმდით, ქაოსმა რომ იცოცხლოს! ადამის ხვედრო —
ჟამო და ჭირო, მოევლინეთ ციებ-ცხელებად
განწირულ ათენს! გაუმრუდე, წელკავო, გვამიც
ჩვენს სენატორებს, მრუდე ზნის და ნიშატის პატრონთ.
ავხორცობით და თავნებობით ახალგაზრდობამ
სიწმინდის წყარო წაბილწოს და წუმპეში მოკვდეს.
წყლულო და ჩირქო, მოგეთესოთ ათენელთ მკერდი
და მერე ჭირი მოგეწიოთ მოსავალივით.
დე, როგორც მათი მეგობრობა, მათი ბუნაგიც
შხამით მოიშთოს. — დაწყევლილო ათენო, შენგან
და დამრჩა ყარიბს სიღარიბის, სიშიშვლის გარდა, —
სუდარად იქცეს იგი შენთვის ამიერიდან.
ტყეს მივაშურებ და უსიერ ტყეს შეკედლილი
მხეცი იქნება ჩემთვის კაცზე უფრო კეთილი,
მალლა ღმერთებმა (შეისმინონ ვედრება ღმერთთა!)
მუსრი გაგავლოთ შინ და გარეთ, ორთავ მხრივ ერთად,
და ზიზღმა, გულში რომ გამიდგა ფესვები ბასრი,
მოგინუსხოთ და შეგიბოჭოთ გრძნობა და აზრი!
ამინ!

სცენა II

(ათენი, ოთახი ტიმონის სახლში.)

I მსახური.

ფლავიუსი.

I მსახური.

გვითხარით, ნეტავ სად წავიდა ბატონი ჩვენი?
მაშ მშრალზე დავრჩით? ყოველივე ნუთუ დამთავრდა?
აბა, რა გითხრათ, ყმაწვილებო, მეც თქვენს დღეში ვარ,
მეც არ-რა შემრჩა — მოწამეა ყოვლად მართალი
ღმერთები!
ნუთუ უნდა გასწყდეს ასეთი სახლი?!

II მსახური.

სულმნათი კაცი დაილუბა? ყველამ გასწირა,
და არვინ შერჩა მეგობარი, რომ ბედი მისი
გაინაწილოს მასთან ერთად!

და ჩვენც ხომ მისგან
მაშინ ვიბრუნეთ პირი, როცა საფლავში ჩავდეთ.
ასე გაექცნენ მეგობრებიც, როცა სიმდიდრის
მზე ჩაესვენა, შეატოვეს ხელებში ფიცი,
ვით ცარიელი ფულის ქისა. ხოლო თვითონ კი
მათხოვარივით შერჩა ჰაერს, ბედისგან კრული,
ზიზღივით მარტოდ მოარული ამ სოფლად! აგერ,
დანარჩენებიც!

(შემოდინან სხვა მსახურებიც.)

ფლავიუსი.

III მსახური.

ნამსხვრევები დანგრეულ სახლის!
ვგონებ, არავის გაგვიხდია ძველი ლივრეი,
როგორც გვეტყობა, ამ ურვაშიც ერთად ვმსახურებთ,
ჩვენს ხომალდს წყალი შეეპარა, და ერთად ვდგავართ
მეზღვაურები დაფერდებულ გემბანზე, გვესმის
ბედის მუქარაც, მალე ერთურთს უნდა დავცილდეთ
ცხოვრების ზღვაში.

ფლავიუსი.

მეგობრებო, მსურს თქვენთან
ერთად
გავინაწილო, რაც შემომჩა და როს შეგხვდებით,
დავრჩეთ პატრონის მოგონებად კვლავ მეგობრები,
ვუთხრათ ერთმანეთს ამოოხვრით და ოხვრა იგი
იყოს გოდება დაკარგული ავლა-დიდების,
რომ „უკეთესი დღეც გვინახავს“. ყველას შეგვხვდება,

(არიგებს ფულს)

ჰა, გამომართვით, ერთი სიტყვაც არ გამაგონოთ!
ერთურთს ვცილდებით ღარიბები, ჰმუნვით მდიდრები,

(გადიან მსახურები)

ო, მწუხარებავ, დიდებას რომ მოჰყვები უკან!
ნუთუ სიმდიდრეს კაცი თვისგან ვერ განარიდებს,
რაკი სიმდიდრეს მოაქვს ზიზღი და სიღარიბე?
ანუ ვის უნდა დასაციინი იყოს დიდების,

ან იქ იცხოვროს, მეგობრობა სად სიზმარია?
 რად უნდა ფუჭი განდიდება, ან ფუფუნება
 მოჩვენებითი ისეთივე, ვით მეგობრობა?
 ბატონი ჩემი გულმართალი გულმა დაღუპა,
 ბოლო მოუღო თვით სიკეთემ! უცნაურია —
 კაცი ზედმეტად კეთილი რომ განწირულია! —
 მაშინ მცირედი სიკეთეც კი ვილამ გაბედოს!
 სიუხვე, ღმერთს რომ განადიდებს, ვნებს თურმე მოკვდავს!
 ბატონო ჩემო, შენ დაგლოცეს, რომ დაეწყევლეთ,
 და გაგამდიდრეს, რომ ბოგანოდ მიქცეულიყავ,
 გულისტკივილი მოგიტანა ოდენ სიმდიდრემ,
 გველნაკბენივით განერიდე ამ უმადურებს
 და არც იმდენი აღარ შეგრჩა, როგორმე სული
 რომ მოიბრუნო, და ეშველოს ცხოვრებას შენსას...
 ჩემს ბატონს ყველგან მოვიკითხავ, მის კვალს გავყვები
 და მოვევლინო ვინძლო შემწედ მის სულს ამჯერად,
 მოვემსახურო, ვიდრე მცირე ოქრო დამრჩება.

(გადის)

სცენა III

ტყე.

შემოდის ტიმონი

ტიმონი.

მცხუნვარე მზეო, ამოსუტე მიწის გულიდან
 დამპალი სითხე და მოწამლე ჰაერი ირგვლივ,
 სად დაი შენი, მთვარე, ბრუნავს; ორთავ ისინი
 ერთი საშოდან დაიბადა, ვერც განასხვავებ
 იმათ ჩასახვას და გაჩენას, მაგრამ მათ ბედი
 სხვადასხვა ერგოთ და ჰა, უძლურს ძლიერი ჩაგრავს.
 თვალები კაცის, ვისაც ბედმა ტანჯვა არგუნა,
 ზიზღით შეჰყურებს მუდამ სხვათა ბედნიერებას. —
 მათხოვარი რომ დიდებულად გადიქცეს, ხოლო
 დიდებული კი უპოვარად, მაშინ სენატორს
 შური დაახრჩობს, გააბრუებს ღარიბს სახელი.

საქონელს გავას რომ უსქელებს, მწვანე მდელია,
იქით კი მისი ძმა მჭლევდება ხრიოკ მინდორზე;
რომელმა კაცმა, წმინდა სულმა, ვითარ შეჰბედოს
და რქვას მეორეს: „ესე კაცი პირმოთნე არის!“
სხვაც პირმოთნეა, რაკი ერთიც არის ამგვარი,
რადგან ერთ მაღალს, სხვა დაბალი ელაქუცება,
სწავლული ჰმონებს ოქროს სულელს... ყველა გამრუდდა
და პირდაპირი ქვეყნად მხოლოდ დარჩა თაღლითი;
მაშინ კრულ იყოს კაცთა თემი თუ თავყრილობა,
ნადიმი ანდა წვეულება, — ყოველისფერი
კაცის მსგავსი და თავი თვისიც ზიზღსა ჰგვრის ტიმონს.
დაე, ამოწყდეს მათი მოდგმა!

(მიწას თხრის)

ო, ფესვი რამე
მაჭამე, მიწავ! ვინც საჭმელზე უმეტესს ეძებს
შენში, დაუწვი შხამით სასა! ამას რას ვხედავ —
ოქრო? ყვითელი, მოციმციმე, ძვირფასი ოქრო?
არა, ღმერთებო, მე გულწრფელად ფესვები გთხოვეთ,
ეს ხომ შავს თეთრად მომაჩვენებს, მახინჯს — ლამაზად,
ტყუილს — სიმართლედ, მდაბალს — მაღლად, მოხუცს —
ჭაბუკად,
მხდალს — გმირად. რატომ მომივლინეთ, ღმერთებო,
რატომ?
ეს ხომ თქვენს მლოცველთ განარიდებს თქვენგანვე,
საპყართ
თავქვეშ გამოჰგლეჯს თავსასთუმალს, ეს ყვითელი ყმა
დაშლის და შეჰკრებს რელიგიებს. ზეცით დაწყევლილს
ისევ აკურთხებს, კეთრსა და ბუგრს შეამკობს, მორთავს,
დალოცავს ქურდებს, დააჩოქებს მათ წინ ათასებს,
მერე ადგილსაც დაუმკვიდრებს სენატორთ გვერდით,
მიხრწნილ ქვრივ ქალებს საქალწულო ქორწილებს უხდის.
წყლული ყოველი, ქსენონიც რომ უფრთხის და დევნის,
ვინძლო აპრილსაც დაამსგავსოს ტკბილსა და ამოს.
წყეულო მიწავ, მთელი ქვეყნის მეძავო, ხალხთა
შუღლის და მტრობის მომთესვარო, მე ჭეშმარიტად

საკადრის ადგილს მოგინიშნავ. (სამხედრო მარშის ხმა ისმის)
დაფდაფის ხმა!

რა ჩინჩხლებს მაყრი, შავ მიწაში დაგმარხავ, თუმცა
შენ კიდევ ივლი, როცა ფეხზე ვერ დადგებიან
შენი მფლობელნიც... — მოდი, ნაწილს მძევლად დავტოვებ.

(აიღებს რამდენიმე ოქროს. შემოდის იარაღსმული ალკიბიადე. მოსდევენ ფრინა
ტიმანდრა.)

ალკიბიადე.
ტიმონი.

მანდ რომელი ხარ? მიპასუხე!
შენებრ ცხოველი.

კირჩხიბმა ღვიძლი გამოგიხრას, რომ კაცის სახე
კვლავ დამანახე.

ალკიბიადე.

რას უწოდებ ნეტავი შენს თავს,
კაცი ასე რომ მოიძულე, შენც ხომ კაცი ხარ?
ტიმონი.
მე მიზანთროპად ვიწოდები, მძულს კაცთა მოდგმა.
მიჯობდა ძალლი დამენახა შენს ნაცვლად, ვინძლო
შემყვარებოდა ოღნავ მაინც.

ალკიბიადე.

ტიმონი.

მე კარგად გიცნობ,
მაგრამ არ ვიცი, თუ რა ბედი გწევია ეხლა.
მეც კარგად გიცნობ, მაგრამ მეტი არც მსურს ვიცოდე,
მიდი და მიჰყე შენს ბუკის ხმას და კაცის სისხლით
სულ წითლად, წითლად მორწყე მიწა. რა სასტიკია
რელიგიათა კანონები და წესი კაცთა!
რის მაქნისია აბა ომი? შენი მეძავიც,
თუმც ქერუბინს ჰგავს, მაგრამ შიგნით უმეტეს ნგრევას
ინახავს, ვიდრე შენი ხმალი.

ფრინია.

ტიმონი.

გაგიხმეს პირი!
მე არ გაკოცებ არასოდეს. მაშინ გახმოზა
შენს ბაგეებზე უნდა დარჩეს.

ალკიბიადე.

ტიმონი.

უცნაურია,
კეთილშობილი მამრი ასე ვით შეიცვალა?
ისე, ვით მთვარე, მცხრალს რომ შუქი შემოაკლდება,
მაგრამ მთვარისებრ ველარ შევძელ გავსება კაცმა,
მზე აღარ იყო, რომ მესესხა.

ალკიბიადე.

კეთილო ტიმონ,
რით შემიძლია დაგიხმარო?

ტიმონი.

არათრით, გარნა

თუ ჩემი აზრის დასტურ იყო...

ალკიზიადე.

რომელი აზრის?

ტიმონი.

შემფიცე, იყო მეგობარი, თანაც მიმუხთლე, თუ არ შემფიცავ ღმერთი დაგსჯის, რადგან კაცი ხარ, თუ მიმეგობრებ, ცა გაგწირავს, რადგან კაცი ხარ. მეც რალაც ვიცი, მგონი, შენი უბედურების.

ალკიზიადე.

შენ გინახია იგი, როცა მდიდარი ვიყავ.

ტიმონი.

მე ეხლა ვხედავ, მაშინ შევების დრო უფრო იყო.

ალკიზიადე.

როგორც შენ გიდგას დრო შევებისა ამ მეძავებთან.

ტიმონი.

ნუთუ ეს არის ათენელთა მშვენიება, ვისაც დღესაც პატივით იხსენებენ?

ტიმანდრა.

შენ ტიმანდრა ხარ?

ტიმონი.

დიახ.

ტიმანდრა.

ტიმონი.

მეძავად დარჩი მუდამ! შენ არ უყვარხარ იმას, ვინც გხმარობს. მაშ, გაეცი ეგ შენი სენი, სამაგიეროდ ვნება შთანთქე. მიდი, იმარჯვე, ვინძლო ქსენონში გადარეკო შენი მონები და დიეტები დაუნიშნო ქორთა ჭაბუკებს.

ტიმანდრა.

აქამდე უნდა ჩამოეხრჩოთ ეს მოჩვენება!

ალკიზიადე.

გთხოვ, მიუტევეო, საყვარელო ტიმანდრა, საწყალს უბედურებამ აურია ჭკუა-გონება. —

ალარც მე შემრჩა თითქმის ოქრო, კეთილო ტიმონ, —

აი, მიზეზი დღენიადაგ რომ წუწუნებენ

ჩემი ბოგანო მეგობრები. გული მომიკვდა,

როცა გავიგე, ვით გაგწირეს მაგ წყეულებმა,

რა უმადურად დაივიწყეს შენი სიკეთე —

ალბათ აქამდეც გათელავდა ათენელთ მტერი,

შენ მათ ფულით და მახვილით რომ არ შეწეოდი.

დასცხე მაგ დაფდაფს და შენი გზით წადი!

ტიმონი.

ძვირფასო,

ალკიზიადე.

შენ მეცოდები, მე ხომ შენი მეგობარი ვარ?

ტიმონი.

ვინც გეცოდება, იმას თავად რაღას აწუხებ,

მე მარტო ყოფნა მინდა.

ალკიზიადე.

კარგი, გემშვიდობები,

აი, ცოტა რამ ოქროც.

ტიმონი.

ალკიბიადე.

ტიმონი.

ალკიბიადე.

ტიმონი.

ალკიბიადე.

ტიმონი.

ალკიბიადე.

ტიმონი.

არა, ოქროს არა ვჭამ.

როს ამაყ ათენს ნანგრევებზე წამოვაჩოქებ...
ათენი გინდა რომ დალაშქრო?

დიახ, ათენი.

მიზეზიც არის სამაგისო.

• მალლით ღმერთებმა

მოსპონ ისინი ამ ამბოხით, მერე შენც მოგსპონ.
მე რაღას მერჩი.

იმას გერჩი, რომ უსაქმურთა
ხოცვით მოგინდა დაამარცხო ჩემი ქვეყანა.
წადი, წაიღე შენი ოქრო და წადი! ათენს
შავი ჭირივით თავს დაატყდი, ისე ვით ზევსი,
შხამით რომ აშთობს ხოლმე მისგან განწირულ ქალაქს.
არ ააცდინო ხმალი არც ერთს. ნუ შეიცოდებ
ნურც მოხუცს თეთრი წვერის გამო, — ის მევახშეა.
მოჰკალ ბინძური დედაკაციც, რომელსაც სუფთა
მხოლოდ სამოსი შერჩენია. ქალწულთა დაწვმა
არ გაგირბილოს რკინის ხმალი. — მაგათი ძუძუ,
კაცს თვალს რომ სტაცებს ყველა ფანჯრის რიკულებიდან,
არ იწერება სიბრალულის წიგნში. გახსოვდეს
ღალატი მათი საშინელი. ნურც ჩვილთ დაინდობ,
სულელებს ღამით სიბრალულს რომ სტყუებენ ხოლმე.
ბუშად ჩათვალე თვითეული, რომელიც ერთ დროს
ყელს გამოგლადრავს, როგორც ამას ორაკულები
გვიქადაგებენ ორჭოფულად — მაშ, უმოწყალოდ
მოსრე ყოველი ჩვილი ბავშვიც. თვითონ სიბრალულს
სახეში ურცხვად მიაფურთხე, თვალი და ყური
ჯავშნით მოზღუდე, რომ როგორმე არ შეგეპაროს
სულში კივილი ქალიშვილთა, დედათა, ჩვილთა
და არ შეძრწუნდე სისხლში მოსვრილ ქურუმის ნახვით.
აჰა, ეს ოქრო შენს მეომრებს გამოადგება,
ააწიოკე თვითეული, ხოლო როდესაც
რისხვას დაიცხრობ, შენც გათავდი! ეხლა კი წადი!
შენ კიდევ შეგრჩა ოქრო? კარგი, ოქროს მივიღებ,
მაგრამ შენს რჩევას კი არაფრით.

ეგ სულ ერთია,

ფრინია და
ტიმანდრა.
ტიმონი.

მაინც დაგამხობს ცათა რისხვა.

კეთილო ტიმონ,
ჩვენც დაგვირიგე რალაც ოქრო, ხომ კიდევ დაგრჩა?
კიდევ მეყოფა დავავიწყო მეძავს ხელობა
და საროსკიპოს დიასახლისს — ქალების გარყვნა.
მაშ. აიწიეთ წინსაფრები, ფიცი არ მინდა,
თუმც ვიცი, ისე დაიფიცებთ, რომ უკვდავ ღმერთებს
აკანკალებთ და ცას შეყრით ციებცხელებას,
არ მინდა ფიცი, თქვენს სიბილწეს უფრო ვენდობი,
მეძავად დარჩით სიკვდილამდე! თუ კაცი ვინმე
კეთილი გულით შეეცდება თქვენს მორჯულებას,
უფრო იმრუშეთ, მოიტყუეთ ის კაციც, — დასწვით,
დე, კვამლი იგი შთანთქას მერე ხანძარმა თქვენმა.
არ უღალატოთ თქვენს ხელობას, თუმცა სხვა სახის
გიხდებათ ჯაფაც წელიწადში ექვსი თვით მაინც —
როცა მკვდრის ბალნებს წაიმატებთ გაცვენილ თმაში,
არც ჩამოხრჩობილს არ იწუნებთ, ასეთი თმითაც
ყველას ატყუებთ, მეძავებო, საღებავებსაც
იმდენს იგოზებთ ნაოჭებზე, ცხენსაც ეყოფა.
მოდო, შენ ოქრო გაიმეტე, ოქროს გულისთვის
ყველაფერს ვიზამთ.

ტიმანდრა და
ფრინია.
ტიმონი.

ამოართვით ქანცი და სიქა
კაცებს ძვლებიდან, კვირისტავნი დაუდამბლავეთ.
საპყრად აქციეთ. ჩაუხრინწეთ ხმა მოსამართლეს,
რომ თაღლითობა და სიმრუდე არ გაამართლოს
ორაზროვანი კალამბურით. შეჰყარეთ სენი.
ქურუმს, გვამს და ხორცს რომ აგინებს მუდამ და მაინც
საკუთარ თავის რომ არ სჯერა, — პირდაპირ ბაყვზე
დააკვრევინეთ თხელი ცხვირი. გზა აუბნიეთ
მას, ვინც პირადულ სარგებლობას მოელის ყველგან
და მით სახალხოს ველარ ამჩნევს. გაამელოტეთ
ხუჭუჭთმიანი ბანდიტები, ხოლო ბაქიებს,
ომებს თავი რომ დააღწიეს ასე უვნებლად,
დააწყევლინეთ დაბადება, მოსრეთ ყოველი;
დე, იავარჰყოს ძალვამ თქვენმა და მონდომებამ
ცხოველმყოფელი სითხე მამრთა შემოქმედების.

— შიილეთ ოქრო, თქვენ სხვას სპობთ და ამათ თქვენ
მოგსპობთ,
ჩაგნთქათ უძირო ორმოებმა!

ფრინია და
ტიმანდრა.
ტიმონი.

გულუხვო, ტიმონ,
რაც შეიძლება მეტი რჩევა და მეტი ოქრო!
თქვენც უფრო მეტად იმრუშეთ და დასვარეთ ხალხი.
ბე ხომ მოგეცით?

ალკიბიადე.

ათენისკენ! დაჰკარით დაფდაფს!
მშვიდობით, ტიმონ, კიდევ გნახავ, თუ გამიმართლა!
მეც თუ იმედმა არ მიმტყუნა, ვერასდროს გნახავ.
შენდამი ცუდი არ მიმიძღვის!

ტიმონი.
ალკიბიადე.
ტიმონი.

შენ ხომ მაქებდი?!

ალკიბიადე.
ტიმონი.

ცუდია ქება?

ალკიბიადე.

ცუდადა აქვთ კაცებს დაცდილი,
წადი... ძაღლებიც თან წაასხი!
მას მხოლოდ ზიზღს ვგვრით!

(ისმის დაფდაფების ხმა. გადიან ალკიბიადე, ფრინია და ტიმანდრა).

ტიმონი.

კაცთა სიავით ძლეული ყმა, ბუნებავ, ნუთუ
შემშილმაც უნდა შეაწუხოს? დედაო ყოვლის,

(თხრის მიწას)

ვისი უძირო წიაღი და ურიცხვი ძუძუ
ჰბადებს და ჰკვებავს მირიადებს, ვისი ნიშატი
წარმოაჩინებს ამათა და ამაყ კაცთა.
ასევე შავ-შავ გომბეშოებს და ცისფერ ძლოკვებს,
ოქროსფერ ხვლიკებს, უსინათლო მატლებს და ჭიებს,
გონჯსა და ბედითს ცის ქვეშ, სადაც ჰიპერიონის
ბრუნავს ბორბალი, შვილნი შენნი ვინც მოიძულა,
დაუსაბამოდ ხვავრიელმა მაგ შენმა საშომ
ნულარ დაბადოს უმადური კაცი, არამედ
ამრავლოს ვეფხვი, დათვი, მგელი და გველეშაპი,
ზღვა ურჩხულების, აქამომდე რომ არ უნახავთ
მაღალთა ცათა მარმარილოს სრა-სასახლეებს!

და აი ფესვიც, დიდად გმადლობ! — მოახრიოკე
ვენახები და მოთესილი ხოდაბუნები,
რომელთა უხვი მონაგარით გამტყვრალი კაცი
მსუყე ლუკმით და ქონით ზღუდავს გონებას თვისას,
რათა დაჰკარგოს შიდა არსი, სიმაღლე, სიღრმე...

(შემოდის აქემანტუსი)

აკემანტუსი.

ტიმონი.

აკემანტუსი.

აქეთ სხვათა გამომაგზავნეს,
მიტხრეს, რომ ჩემს გზას დასდგომიხარ და ჩემებრ ცხოვრობ.
რამეთუ ბედკრულს არ გყავს ძალლი, რომ მას ძალღური
მოეცა ჩემთვის მაგალითი, გაგიხმეს თავი!

გეტყობა, უცხო ბზიკმა რამემ გიკბინა გულზე,
ბედმა გიმუხთლა — სულ ეს არის თურმე მიზეზი
მაგ უჩვეულო მწუხარების. აქ ბარს რა უნდა?
რამ გადმოგაგდო ამ მხარეში, ეს რა ჩაგიცვამს?
რად შეფოთავ? ისევ ფარჩა ჰმოსავთ შენს მაამებელთ,
კვლავ მხართეძოზე ღვინოს სმენ და არკი ახსოვხართ,
თუ არსებობდი ქვეყანაზე. ნუ არცხვენ ტყეებს
ლანძღვა-გინებით. გიჯობს თავად პირმოთნე გახდე
და იმით ისევ ფეხზე დადგე, რამაც დაგლუპა.
მოდრიკე მუხლი; მისმა ფშვინვამ, ვისაც დღეიდან
მიულაქუცებ, დე, მოგხადოს თავიდან ქუდიც.

ტიმონი.

აკემანტუსი.

ამ უგვანობას მასთან ქებაც უნდა შეასხა,
ღირსებად უნდა ჩაუთვალო. შენც ხომ გაქებდნენ.
და, ვით სასტუმროს მეპატრონე, შენც ხომ იწვევდი
ყველა თაღლითს და მაწანწალას. თუ სიმართლე გსურს,
ეხლა შენც უნდა ითაღლითო. და თუ გამდიდრდი,
ისიც თაღლითებს დაურიგე. მე ნუ მედრები.
თავს გავექცევი, მე რომ მართლა შენ დაგედარო.
საკუთარ თავს ხომ უკვე ერთხელ გამოექეცი,
გიჟი იყავი დღემდე, მაგრამ დღეს სულელი ხარ,
მსახვრალი ქარი შენ მსახური ხომ არ გგონია,
სველი ხალათი რომ გაგიშროს, ან ეს ხეები,
არწივებიც რომ მოიჭამეს, იქნება გინდა
შენს ბრძანებებზე მიწას მოწყდნენ, თუ ცივმა წყარომ
გამხმარი ყელი ყოველ დილით უნდა დაგიღბოს,

ანდა სიზანტე ჩამოგრეცხოს? მიდი, მოუხმე
შიშველ არსებებს, ცათა ჯიბრზე რომ აზიდულან,
სეტყვისთვის თავი წაუხრიათ, გრიგალს უძლებენ
და მაინც ბედს არ ემდურიან; მიდი, მოუხმე,
მოგელაქუცონ, მაშინ ნახავ...

ბიონი.

რომ სულელი ხარ.

მომწყდი!

ავამანტუსი.

მიყვარხარ უფრო მეტად, ვიდრე მიყვარდი.
მე უფრო მეტად მეზიზღები.

ბიონი.

რატომ, ნეტავი?

ავამანტუსი.

ელაქუცები სიღარიბეს.

ბიონი.

მე არ ვლაქუცობ,

ავამანტუსი.

მე მხოლოდ იმას გეუბნები, რომ მშიშარა ხარ.
რად წამოხვედი ჩემს საძებრად?

ბიონი.

მსურს გაგაბრაზო.

ავამანტუსი.

ეს ხომ სულელთა და თაღლითთა საქმეა მხოლოდ.
შენც გსიამოვნებს, როგორც გატყობ?

ბიონი.

აუცილებლად!

ავამანტუსი.

მაშინ შენც კარგი არამზადა ყოფილხარ!

ბიონი.

შენ კი

ავამანტუსი.

მართალი მაშინ იქნებოდი, ეს ცივი ძონძი
რომ სიამაყის დასათრგუნად ჩაგეცვა მხოლოდ.
მაგრამ თავს ძალას ატან, რადგან, ესეც რომ არა,
ისევ მფლანგველი იქნებოდი. ნამდვილ გლახას კი
სულ არ იტაცებს წარმავალი დიდება. იგი
ნიადაგ იღებს სიკვდილამდე და არ ივსება.
ხოლო მდიდარი შვებისა და ლხენის გარეშე
უმწყეოა და იტანჯება უფრო უმეტეს,
ვიდრე გლახაკი კმაყოფილი. გიჯობს შენც მოკვდე,
ვიდრე ცოცხლობდე ასე საწყლად და სავალალოდ.
ამას შენ ამბობ, ჩემზე უფრო საწყალი, ვისაც
ბედის ღიმილი არასოდეს არ გღირსებია,
რაც თავი მახსოვს, ძალად ცხოვრობ; შენც რომ თავიდან
მიგელო შვება, რასაც ჩვენი ხანმოკლე ყოფა
ანიჭებს მოკვდავს, ან ნებისად რომ მოგეწოვა
მისი ფუმფულა ძუძუები, ამ გარყვნილებას

ბიონი.

ვერ დააღწევდი თავს ველარც შენ და სიყრმე შენი
გაგიდნებოდა სარეცლებზე და ვერასოდეს
ვერ მიაგნებდი მაგ გაყინულ კანონს, არამედ
ილტვოდი ძებნად ისევ ტკბობის. ჩემთვის ცხოვრება
საშაქარლამოს უფრო ჰგავდა, — ათასი პირი,
თვალი თუ ენა და გულიც კი შემომცქეროდა
და მეც ვცდილობდი სამუშაო მეძებნა მათთვის,
მე, როგორც მუხას, ფოთლებივით მესხა ისინი,
მაგრამ ზამთარმა პირველსავემ ძირს ჩამოყარა
და ასე შევრჩი ტანშიშველი და გაძარცვული
ყველა ქარიშხალს. რაკი კარგი მახსოვს მარტოდენ,
ასეთი ყოფა ცოტა მიჭირს, შენ კი თავიდან
ტანჯვით დაიწყე ეს ცხოვრება და გამოგაწრთო
ეგოდენ ურვამ. ჰოდა, მიკვირს, რად მოიძულე
ძე-კაცი, როცა არც კი იცი მისი ლაქუცი?
არ მიგიცია მისთვის გროში! თუ წყევლა გინდა,
პირველად შენი მაწანწალა მამა დაწყევლე, —
მათხოვარ ქალთან რომ იცხოვრა და გაგაკეთა
ქვეყნის მასხარა! აბა, ჩქარა, თავიდან მომწყდი!
თუ რომ ყველაზე ნაძირალა კაცი არ იყო,
შენც იქნებოდი პირმოთნე და თაღლითი ალბათ.
დღემდე ამაყოფ?

აკემატუსი.
ტიმონი.
აკემატუსი.
ტიმონი.

ჰო, ვამაყოფ, შენ რომ არ გგავარ.

მე კი ვამაყოფ, ბედოვლათი რომ არ ვყოფილვარ.
მე კი, პირიქით, დღემდე მიყვარს ბედოვლათობა,
მაგრამ გვამში რომ ჩაგემალა ჩემი სიმდიდრე,
ჩამოსახრჩობად მე შენ მაინც გაგიმეტებდი

(ფესვს ამოიღებს)

მთელი ათენი აქ რომ იყოს გამომწყვდეული,
გადავსანსლავდი აი ასე! (ჭამს ფესვს).

აკემატუსი.

მოდის, გიშველი

მაგ ღრეობაში.

ტიმონი.

(ფესვს გაუწვდის.)

ჯერ იმაში უნდა მიშველო,
რომ ტყიდან მალე წაეთრიო.

აკვანახუსი.

ჩემს თავს ვუშველი,
შენ თუ მოგშორდი.

ტიმონი.

ჰაი, ჰაი, რომ ვერ უშველი,
მხოლოდ დაღუპავ, თორემ ეგ ხომ მეც გავიფიქრე.
შენ ის მითხარი, ათენელებს რას უსურვებდი?

აკვანახუსი.

ტიმონი.

გადაუარე დამყაყებულ ქალაქს ქარიშხლად,
ისიც უთხარი, რომ ოქრო მაქვს. აი... ხომ ხედავ?
ფასი არა აქვს ტყეში ოქროს.

აკვანახუსი.

ტიმონი.

მით უკეთესი,
აქ კარგად ძინავს, ბოროტებას არვის უქადის.
თვითონ სად გძინავს ღამით, ტიმონ?

აკვანახუსი.

ტიმონი.

მაღალი ცის ქვეშ,
შენ სად პოულობ, აპემანტუს, ლუკმაპურს დღისით?
სადაც ხორცს შევჭამ.

აკვანახუსი.

ტიმონი.

რა კარგი იქნება, შხამმა რომ დამიჯეროს, ანდა
გულისთქმას მაინც მიმიხვდეს.

აკვანახუსი.

ტიმონი.

საინტერესოა, ვისკენ წარმართავდი.
საწებლად გამოგიგზავნიდი სადილზე.

აკვანახუსი.

ცხოვრებაში საშუალოს ვერ გრძნობდი: მხოლოდ მის უკიდურესობებს იცნობდი, როცა ყელამდე ოქროში იჯექი და ნელსაცხებლებით სული გეხუთებოდა, ყველა შენს უცნაურობას დასცინოდა. ხოლო ამ ძონძებში თავიც კი დაგავიწყდა და ეხლა შენს სიგიჟეს დასცინის ხალხი. აი, ზღმარტლი, ზღმარტლი მაინც ჭამე.

ტიმონი.

რაც მეზიზღება, იმას არ ვჭამ.

აკვანახუსი.

ზღმარტლი გეზიზღება?

ტიმონი.

ჰო, თუმცა შენ ჩამოგგავს.

აკვანახუსი.

შენ რომ აქამდე შეგზიზღებოდა მლიქვნელების ენის სხმარტალი, დღეს საკუთარი თავი უფრო გეყვარებოდა. სად გინახია, ბედოვლათი მერე უყვარდეთ, როცა მთელ სიმდიდრეს დაანიავებს?

ტიმონი.

შენ კი გინახია, რომ კაცი ყველა იმ სიმდიდრის გარეშე უყვარდეთ, რაზედაც ეხლა შენ ლაპარაკობ?

აკვანახუსი.

თვითონ ვარ ასეთი კაცი.

ტიმონი.

აჰა, გასაგებია: შენ იმდენი გაქვს, რომ ძაღლის შენახვა შეგიძლია.

აკვანახუსი.
ბიონი.

საინტერესოა, შენს მლიქვნელებს ქვეყანაზე ვის მიაღარებდა. ყველაზე უფრო ქალებს. ხოლო კაცები, კაცები ხომ თვითონ არიან მლიქვნელები. რას უზამდი ქვეყანას, აპემანტუს, ყოველივე რომ ხელგეწიფებოდეს?

აკვანახუსი.
ბიონი.

მხეცებს დავუთმობდი, რათა კაცთაგან გამეთავისუფლებინა. ადამიანებთან ერთად შენც გინდა მოკვდე და მხეცთა შორის მხეცად დარჩე?

აკვანახუსი.
ბიონი.

ჰო, ტიმონ.

აი, მხეცის პატივმოყვარეობა! გისმინონ ღმერთებმა! შენ რომ ლომი იყო, მეღია მშრალზე დაგსვამდა აუცილებლად. ბატკნობას თუ მოისურვებდი, მგელი შეგჭამდა. მგელი რომ ყოფილიყავი, ლომი ეჭვის თვალთ დაგიწყებდა ყურებას, თუ დავუშვათდა ვირს შემოეტანა შენზე საჩივარი. ვირად რომ ქცეულიყავი, შენივე სიჩლუნგე დაგტანჯავდა და ამქვეყნად მხოლოდ იმიტომ იცხოვრებდი, რომ მგლის კერძი გამხდარიყავი. ხოლო მეღია რომ ყოფილიყავი, სიხარბე არ მოგასვენებდა და ლუკმისათვის თავს წააგებდი. მარტორქობას თუ მოინდომებდი, სიამაყე და სიბრაზე დაგლუპავდა და შენივე ბოროტების მსხვერპლი გახდებოდი. დათვი რომ ყოფილიყავი, ცხენი მოგკლავდა. ცხენი რომ ყოფილიყავი, ავაზა დაგიჭერდა. ავაზა რომ ყოფილიყავი, ვეფხვის ახლობელიც იქნებოდი. ხოლო ეგ ნათესაური კავშირი კი კისერს მოგატეხინებდა ერთ მშვენიერ დღეს და ხსნას მხოლოდ ნიადაგ ლტოლვაში იპოვიდი ანუ, იმით დაიცავდი თავს, რომ აღარ იქნებოდი. ისეთი რა მხეცი უნდა გახდე, რომ ისევ მხეცს არ ემორჩილებოდე? ან ეხლაც როგორი მხეცი უნდა იყო, რაკი არ გესმის, რას ნიშნავს ასეთი გარდაქმნა?

აკვანახუსი.
ბიონი.

აი, ეხლა კი მომწონს შენი ლაპარაკი. ათენი მართლაც ტყეს ჰგავს, მხეცებით სავსეს.

აკვანახუსი.
ბიონი.

მაშინ ერთ ვირს გამოუმტვრევია ქალაქის კედელი. შენ ხომ აქა ხარ ეხლა?

აქეთ მხატვარი და პოეტი მოდიან. შავი ჭირვით გეტაკოს მათი სტუმრობა. მეშინია, მეც არ გადამედოს და იმიტომაც მივდივარ. როცა საქმე რამ აღარ მექნება, ისევ მოგაკითხავთუკი ცოცხლებიდან მარტო შენღა გადარჩები, მაშინ კეთილი იყოს შენი მოსვლა. მათხოვრის ძალღობა მირჩევნია

აპემანტუსობას.

აკვანახუნი.

სულელთა შორის უმთავრესი შენ ხარ ნამდვილად.

ტიმონი.

იმდენად სუფთა მაინც იყო, რომ შეგაფურთხო.

აკვანახუნი.

შენ ისე ყარხარ, რომ აღარც ღირს შენი დაწყევლა.

ტიმონი.

შენთან ყოველი გაიძვერაც კი წმინდანია.

აკვანახუნი.

ამ, ქვეყნად კეთრი შენს ლაპარაკს მოჰყვება თურმე!

ტიმონი.

მაშინ, როდესაც შენ გახსენებ. გცემდი კიდევაც,

მაგრამ ხელები დამილპება.

აკვანახუნი.

ბარემ ენითაც

დაგიწყევლიდი ხელებს!

ტიმონი.

წადი, შე ძაღლისშვილო!

სიბრაზე მახრჩობს, ამ მიწაზე შენც რომ დადიხარ,

გული მერევა, შენ რომ გხედავ!

აკვანახუნი.

გასკდი მუცელზე!

ტიმონი.

ქვა მენანება, რომ გესროლო! მომწყდი, ტუტუცო!

(ესვრის ქვას.)

აკვანახუნი.

მხეცო!

ტიმონი.

მასხარავ!

აკვანახუნი.

ფუ! გომბეშო!

ტიმონი.

უ, შე რეგვენო!

(აპემანტუსი უკან-უკან იხევს.)

ტიმონი.

დამასნეულა ამ სოფელმა. აღარ ვესწრაფი
მისგან არაფერს გარნა მხოლოდ არსობის ლუკმას,
მაშ, სამარესაც, ტიმონ, ეხლავ ამოითხრიდე
იქ, სადაც მუდამ ზღვა მოგახლის ქაფქაფა ტალღებს.
ეპიტაფიაც განიმზადე, სიკვდილი შენი
დე, დასცინოდეს ყველა ცოცხალს, მიწაზე შთენილს.

(უყურებს ოქროს.)

ჰა, სანუკვარი მეფის მკვლელი. ჰოი, ძვირფასო,
გამყრელო შვილთა და მამათა. წმინდა სარეცლის
უბრწყინვალესო შემბლალველო! მამაცო მარსო!
მიწყვი მოხუცო და ჭაბუკო, ტკბილო არშიყო,
უმანკო თოვლს რომ ჩამოუდნობ დიანას მუხლზე
ამ სუსტი ბზინვით, ჭეშმარიტად ხილულს ღმერთო,

ერთმანეთში რომ ანაწევრებ შეურიგებელს,
ვინც ყველაფრისთვის ლაპარაკობ ყველა ენაზე,
ვინც გულებს რეკავ! ვთქვათ და, შენი მონა-ყმა ხალხი
აჯანყდეს, რადგან ძალმა შენმა უხვად მოთესა
მტრობა და შუღლი კაცთა შორის, და მაშინ ვინძლო
დაეპატრონონ ამ ქვეყანას მხეცები!

აკვამანტუსი.

დაე,

აგიხდეს სიტყვა, ოღონდ როცა გარდაიცვლები!
მე ყველას ვეტყვი, ოქრო რომ გაქვს და მოგაწყდება
მალე ზღვა ხალხი!

ტიმონი.

მომაწყდება მალე ზღვა ხალხი?

აკვამანტუსი.

დიახ!

ტიმონი.

გაბრუნდი, გევედრები!

აკვამანტუსი.

მიდი, იცხოვრე,

მუდამ გიყვარდეს სილარიბე!

ტიმონი.

შენც შენით მოკვდი!

ბარი ბარში ვართ! (აკვამანტუსი გადის).

ტიმონი.

აჰა, ისევ კაცთა სახება!

I აქტი.

ჰამე, ტიმონ, და მოიძულე. (შემოდის ქურდები.)

საიდან უნდა ჰქონდეს მაგას ოქრო? ალბათ ძველი ქონებიდან
რალაც ნაწილი და ორიოდე გროში თუ შემორჩა, იმიტომ
არის ასე დამწუხრებული — მეგობრები სულ ჩამოშორდნენ
და აღარც ოქრო შერჩა.

II აქტი.

რა ვიცი, განგაში ატეხეს, მთელი განძი აქვსო.

III აქტი.

ეხლავ შევამოწმებთ. თუ მართლა აღარაფრად აგდებს ოქროს.
უთქმელადაც მოგვცემს. მაგრამ თუ იძუნწა, მაშინ რას
შვრები?

II აქტი.

თან არ უნდა ატარებდეს ოქროს, სადღაც ექნება დამალული.

I აქტი.

ალბათ ეს უნდა იყოს.

უველანი ერთად.

სად არის?

II აქტი.

გარეგნობით მართლაც ჩამოჰგავს.

III აქტი.

ის არის. ის. ვიცნობ.

უველანი ერთად.

გამარჯობა, ტიმონ.

ტიმონი.

რაო, ქურდებო?

უველანი ერთად.

ქურდები კი არა, ჯარისკაცები ვართ.

ტიმონი.

ერთნიც და მეორენიც. და კიდევ ქალების ნაშიერებიც ხართ.

უველანი ერთად.
ბივონი.

ქურდი კი არა, სულს ძლივს ვითქვამთ გაჭირვებისგან.
თქვენი ნამდვილი გაჭირვება შიმშილი არის.

თავს რად იჭირვებთ, ბლომად ყრია მიწაში ფესვი,
აქ ახლომახლო ასი წყარო მაინც გადმოჩქეფს,
ხეს რკო მოუსხამს, ძეძვს ასხია წითლად ასკილი.

ბუჩქებზე სუფრა გაუშლია გულუხვ მასპინძელს —
დედაბუნებას. რად იჭირვებთ? რამ გაგიჭირვათ?

I კურდი.

ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ წყლით და კენკრით, ანდა ბალახით,
როგორც ჩიტები, მხეცები და თევზები ცხოვრობს.

ბივონი.

თქვენ ვერც მხეცებით, ჩიტებით და თევზებით გასძლებთ,
კაცებიც თუ არ მიატანეთ. მე მაინც გმადლობთ,

რადგან აშკარად მოღვაწეობთ და საქურდავად
წმინდანის სახე არ გჭირდებათ — დანარჩენს ქურდებს

თვით კანონები მფარველობენ — აჰა, ქურდებო,

ოქრო! წადით და ვაზის ლერწი იქამდე წუწნეთ,

ვიდრემდის სისხლს არ აიქაფებთ, ვინძლო სიგიჟით

სახრჩობელებსაც გადაურჩეთ! ექიმთ არ ენდოთ,

მოიწამლებით მათი წამლით. ისინი ჰკლავენ

უფრო მეტს, ვიდრე თქვენ იპარავთ: წაგლიჯეთ ყველას

სული და ფული! ყველაფერი შრომა და გარჯა,

ანუ ხელსაქმე იყოს მხოლოდ ძალმომრეობა,

უამრავია მაგალითი ყვლეფა და გლეჯვის:

მზეც ხომ ქურდია — უზარმაზარ ოკეანეებს

ძარცვავს თავისი მხურვალეებით, მთვარეც უტიფრად

იპარავს მზისგან მიმქრალ სხივებს და ოკეანეც

მთვარის ტალღებში მარილიან ცრემლებად აღნობს.

იმათ არც მიწა ჩამორჩება, იგი ხომ ნაყოფს

გვაძლევს მოპარულ კურკლიდან და სკინტილიდან მხოლოდ.

ყველა ქურდია: აღვირად რომ ქცეულან თქვენთვის,

თვით კანონებიც უმოწყალოდ ქურდობენ; გასწით,

ერთად იქურდეთ, ერთმანეთსაც ნულარ დაინდობთ!

აჰა, ეს ოქროც, გამოჭერით ყელი თვითეულს,

ესტუმრეთ ათენს, გზაზე მხოლოდ ქურდებს შეხვდებით,

გატეხავთ ღუქნებს და გაზიდავთ ქურდის ნაქურდალს.

არ იზარმაცოთ, რაკი ოქროს უშრომლად გაძლევთ

და ბოლოს მაინც ისევ ოქრომ გაგანადგუროთ!
ამინ!

(შედის გამოქვაბულში.)

III აქტი.

I აქტი.

II აქტი.

I აქტი.

ამ წაქეზებით, მაგან ჩემს ხელობას მარიფათი დაუკარგა.
ტიმონს ადამიანების სიძულვილი უფრო ალაპარაკებს; აბა,
მართლა ჩვენი იღბალი კი არ აინტერესებს.
გინდა მაგისტვის გიგდია ყური და გინდა მტრისათვის. მაგ-
რამ მაინც დავუჭერებ და ქურდობას თავს დავანებებ.
მოდის, ჯერ იმას დაველოდოთ, სანამ ათენში ყველაფერი არ
მიწყნარდება. არასოდეს არ დგება ისეთი უმწეო დრო, რომ
კაცს არ შეეძლოს. პატიოსანი იყოს.

(გაღიან ქურდები. შემოდის ფლავიუსი.)

ფლავიუსი.

ჰოი, ღმერთებო, ასე მწირი და უბადრუკი
ნუთუ ეს ჩემი ბატონია? როგორ შეცვლილა!
ვით დაცემულა ძეგლი იგი, ქველმოქმედება
ბოროტებად რომ მიუთვალეს?! რარიგ გამკრთალა
ის დიდებული ბრწყინვალება სილატაკეში.
რა უმსგავსოა, მეგობრებმა ასე გაგწირონ
და ერთ დროს ყოვლად ღირსეული გყონ სამარცხვინო.
უცნაურია, დრო უკუღმა დაბრუნებულა:
უნდა გიყვარდეს მტერი თურმე შენ უნებურად.
მე მტერს და ასპიტს ავირჩევდი, მზაკვარს და ბოროტს,
ვიდრე მას, ცალყბად სიყვარული რომ ძალუძს მხოლოდ.
მან თვალი მომკრა! ჩემს მბრძანებელს ჩემს გულისწუხილს
მივალ და ვეტყვი, სიკვდილამდე მისი მსახური
ვიქნები ისევ... საყვარელო. ჩემო ბატონო!

(ტიმონი გამოდის გამოქვაბულიდან.)

ტიმონი.

ფლავიუსი.

ტიმონი.

ფლავიუსი.

ტიმონი.

შორს ჩემგან! ანდა ვინა გდიხარ?
მაშ, დამივიწყეთ?
მაგას რად მკითხავ? დამავიწყდა ყოველი კაცი,
შენ თუ კაცი ხარ, არც შენ გიცნობ.
შენი ერთგული
პატიოსანი მსახური ვარ.
ჰოდა, არ გიცნობ.

მე არც მყოლია კაცი — ვინმე პატიოსანი,
მე გაიძვერებს ვინახავდი, რომ ნადიმებზე
თაღლითებისთვის ემსახურათ.

ფლავიუსი.

ცაა მოწამე —

თავის ბატონის უბედობით ჯერ არცერთ მსახურს
არ დასწყვეტია, ვიცი, გული, ვით მე ესოდენ.
რაო, ტირიხარ? — ახლო მოდი, მე შენ მიყვარხარ,
რაკი ქალი ხარ და არ გავხარ გულქვა მამაკაცს, —
მათ ხომ ხარხარში ან უზომო ვნებაში მხოლოდ
მოცვივათ ცრემლი, — არა, მართლაც გასაკვირია,
ლხინში ცრემლს ღვრიან და წუხილში რომ არ სტირიან!
უმორჩილესად გევედრები, ბატონო ჩემო,
ჩემი წუხილი ყურად იღო და სანამ ფული
გამწვდება, მანამ გემსახურო კვლავინდებურად.
ჩემი ერთგული ნუთუ მართლა მყავდა მსახური?
თან მანუგეშებს?! ჩემი ავი ზნე და ნიშატი
ლამის კეთილად მოაქციოს. ახლო მოიწი,
კარგად შეგხედო! — ჭეშმარიტად შენც ქალს უშვიხარ —
თქვენ მომიტევეთ, ნირუცვლელო ღმერთებო, ჩემი
გულის სიფიცხე, უსაზღვრო და დაუცხრომელი.
პატიოსანი კაცი ქვეყნად თურმე ყოფილა,
თუმც მხოლოდ ერთი! მერე ისიც ჩემი მეურვე!
რარიგ მწყუროდა მომეძულა მთელი ქვეყანა
და ჰა, მან ერთმა თავი თვისი გამოისყიდა,
მაგრამ დანარჩენთ არ მოვაკლებ წყევლას და კრულვას,
პატიოსანი უფრო ჩანხარ, ასე მგონია,
ვიდრე ჭკვიანი, ლალატით და გაიძვერობით
სხვა სამსახურსაც იშოვნოდი. მეორე ბატონს
პირველის ქედზე დასკუპული ბევრი ხლებია;
შენ ის მითხარი, თუმც ცხადია, მე მაინც ვეჭვობ,
მზაკვრობაც ხომ არ ურევია სიკეთეს შენსას,
სიხარბემ ხომ არ დაგაბრმავა იმ მდიდარივით,
რამეს რომ გასცემს და ოცმაგად რომ გამოელის.
რას ბრძანებთ, ჩემო ღირსეულო ბატონო! ანდა
იჭვს თქვენი გული ეს რა გვიან მოჰგონებია!
თქვენ ორგულობა უნდა გეგრძნოთ ნადიმების დროს,

ბიონი.

ფლავიუსი.

ბიონი.

ფლავიუსი.

იქვმა კი აჰა, ღარიბსა და ლატაკს მოგისწოთ.
ცაა მოწამე, სიყვარული მალაპარაკებს,
თქვენს უმწიკვლო სულს მსურს ნიადაგ რომ ვუერთგულო
და დღიურ თქვენთვის საარსებო პურზე ვიზრუნო.
მერწმუნეთ, ჩემო ღირსეულო ბატონო, ჩემს ბედს
და იღბალს, რაც მე გამაჩნია, რაც მემეტება,
იმ ერთ სურვილში გადავცვლიდი, რომ კვლავ გამდიდრდებოდა
და გაძლიერდეთ, ვინძლო ჩემი ერთგულებისთვის
მე საკადრისი საზღაური მომაგოთ მაშინ.

ტიმონი.

კმარა, გეყოფა, — ერთადერთი ერთგული კაცი,
აჰა, წაიღე — ამ განძს ჩემი სილატაკიდან
დიდი ღმერთები გიგზავნიან! წადი, იცხოვრე,
ოღონდ ყოველმხრივ განერიდე ადამიანებს
და წყევლა-კრულვას ნუ მოაკლებ, ნუ შეიბრალებ,
ვიდრე ხორცში არ გამოჩნდება ძვლების სიმკრთაღე,
მანამდე ნურვის განიკითხავ. — ძაღლებს მიუგდე,
რასაც მათხოვრებს დაუკავებ, ციხეში გაწყდნენ,
ვალებში ჩაკვდნენ, დაემსგავსონ გაძარცვულ ტყეთა,
მერე ჭირმა ჰყოს მათი სისხლის ნიადაგ ღვეთა!
იყავ მშვიდობით, გამარჯვებით გევლოს!

ვლავიუსი.

ბატონო,

ტიმონი.

ნება მომეცით დავრჩე თქვენთან თქვენდა ნუგეშად.
შენს თავს უშველე, ნუ დარჩები, წყევლა ნუ გაკრთობს,
ნულარ მენახო, შენც გეცხოვროს ამქვეყნად მარტოს!

(სხვადასხვა მხარეს გადიან.)

მოქმელება V

სცენა I

ტიმონის გამოქვაბულთან

შემოდინ პოეტა და მხატვარი. ტიმონი მათ გამოქვაბულიდან უთვალთვალებს.

მხატვარი.

როგორც გადმომცეს, მგონი, შორს აღარ უნდა იყოს აქედან
მისი ბინა.

კოეტი. სიმართლე მაინც ვერ გავიგეთ. ხალხის მითქმა-მოთქმას თუ დავუჯერებთ, ტიმონი ოქროში უნდა ცურავდეს.

მხატვარი. ეჭვიც არ უნდა შეგეპაროს. განა თვითონ ალკიბიადემ არა თქვა? ფრინიამ და ტიმანდრამ მისგან პირადად მიიღეს ოქრო. მაწანწალა ჯარისკაცებსაც იგივე ერგოთ, ამბობენ, თავის მნესაც აურაცხელი სიმდიდრე გადასცაო.

კოეტი. მაშინ თავის გაღატაკება ტიმონს მეგობრების გამოსაცდელად მოუგონებია მხოლოდ.

მხატვარი. რასაკვირველია. აი, ნახეთ, თუ ისევ ათენში არ დაბრუნდეს, ისევ პალმასავით გაიშლება და აყვავდება. სწორედ ამიტომ, მართლაც რომ კარგად მოვიქცევით, თუ აქედანვე, გაჭირვებაშივე დავუმტკიცებთ ტიმონს ჩვენს ერთგულებას. მაშინ ჩვენს პატიოსნებას წყალი არ გაუვა და ჩვენი ქისაც იმით ამოივსება, რისთვისაც ასე იღწვიან დანარჩენები, თუ, რა თქმა უნდა, ეს მითქმა-მოთქმა სიმართლეს შეეფერება.

კოეტი. ამჯერად რა უნდა მიართვათ ტიმონს?

მხატვარი. დღეს მხოლოდ კეთილად მოვიკითხავ, ისე კი მშვენიერ სურათს შევპირდები.

კოეტი. მეც ასე უნდა მოვიქცე, ვეტყვი, დიდ ნაწარმოებს ვწერ-მეთქი თქვენზე.

მხატვარი. მშვენიერია! დღეს ხომ ყველა დაპირებებით ცხოვრობს, დაპირება თვალს უხელს მოლოდინს. აღსრულებას კი, მე თუ მკითხავ, გემო არა აქვს. მას მხოლოდ მდაბიო ხალხში აქვს გასავალი. დაპირებას დიდებულების ელფერი მოსავს, აღსრულება კი ალთქმის უხეირო დასტურია, რომელიც აღმთქმელის გონებაჩლუნგობაზე მეტყველებს.

კოეტი. დიდებულო მხატვარო! შენზე უარეს კაცს შენ ვერ დახატავ! მე ის მაფიქრებს, რა ვუთხრა, როგორ ნაწარმოებს ვწერ-მეთქი. იგი აუცილებლად თვითონ მასვე უნდა გამოხატავდეს და სატირას უნდა წარმოადგენდეს ზედმეტი ფუფუნებისა. ამასთანავე კარგად უნდა ჩანდეს ის ფარისევლობა და პირმოთნეობა, რაც ახალგაზრდობასა და სიმდიდრეს სჩვევია.

ტიმონი. თურმე შენივე თაღლითური ზნის გამომწვეურება მოგდომებია. შენი მანკიერება სხვა ადამიანებში გინდა გაამათრახო. კეთილი, როგორც გენებოს, საამისო ოქროც მაქვს.

კოეტი. მაშ, რაღას ვუცდით, მოდი, ჩქარა შევუდგეთ ძებნას,

მხატვარი.

ჩვენი ბედის და ჩვენი იღბლის წინაშე ვცოდავთ
ყოველთვის, როცა ვიგვიანებთ ბევრად თუ ცოტად.
შენ მართალი ხარ, დღის წყალობა რაკი გვეძლევა,
მზეში ვეძებოთ, მალე ბინდი წამოგვეწევა.

ტიმონი.

გზის მოსახვევში შემოგხვდებით. ღმერთი ყოფილხარ,
ოქროვ, რომელსაც თაყვანს გცემენ ისეთ ტაძარშიც,
სადაც ღორები ნაყრდებიან. ეს მხოლოდ შენ ხარ,
გემს რომ ამგზავრებ და ვრცელ ზღვებში ხნულებს რომ
კრძალვით და რიდით რომ განმსჭვალავ უმწეო მონას.
დე, მუდამ ასე გაღმერთებდნენ! ხოლო შენს მსახურთ,
მათ, ვინც ნიადაგ თაყვანს გცემენ, ჭირი მუსრავდეს,
ეხლა კი დროა დავენახვო. (გამოდის.)

კოეტი.

სალამი ტიმონ!

მხატვარი.

შენ, ჩვენო ძველო მწყალობელო, პატრონო ჩვენო!
ნუთუ ამ დღესაც მოვესწარი წუთისოფელში,
ორი სპეტაკი კაცი ვნახო?

ტიმონი.

კოეტი.

ო, ძალზე ხშირად

თქვენი წყალობა გვიგემნია, და როს გავიგეთ,
ვით განერიდეთ კაცთა მოდგმას, როგორ დაგშორდნენ
მით უმაღური მეგობრებიც — უგვანო კაცნი!..
ცის ყველა რისხვა თქვენ ჯერ კიდევ არ მოგწვდენიათ!
დაგშორდნენ! შენი სათნოება მნათობთა დარად
მათ ხომ ცხოვრებას ანიჭებდა? სიბრაზე მახრჩობს,
რომ ამ საოცრად უსაშველო უმაღურობას
ვერც ერთი სიტყვა ვერ ჩავაცვი.

ტიმონი.

დე, შიშვლად დარჩეს,

მით უფრო მკვეთრად შეიგრძნობენ; პატიოსანო,
შენ იმად დარჩი, რაც ხარ, რათა შენგნით იხილონ
ჭეშმარიტება და სიმართლე.

მხატვარი.

მეც მასთან ერთად

შენი წყალობის ნიაღვარში ამოვლუმპულვარ.
პატიოსნები უნდა ჩანდეთ.

ტიმონი.

მხატვარი.

გვსურს გემსახუროთ.

ტიმონი.

პატიოსანნო! საზღაურად მე რა მოგაგოთ!
ჩემებრ თქვენც ფესვებს ხომ ვერ დახრავთ, ცივ წყალს
დალე

ორივენი.

ყველაფერს ვიზამთ, რაც კი ძალგვიძს, რომ გემსახუროთ.

ბიზონი.

პატიოსანნო კაცნო! ალბათ თქვენც გაგიგიათ, მე რომ ოქრო მაქვს, აღიარეთ, პატიოსანნო.

მხატვარი.

დიახ, ამბობენ, მაგრამ მამრო კეთილშობილო, ოქროს გულისთვის არ გხლებივართ.

ბიზონი.

პატიოსანნო!

(მხატვარს) საუკეთესო მხატვართ შორის შენ ხარ ათენში! ო, ჭეშმარიტად შენ ხარ! შენ ხომ ყველაზე ცოცხლად ხატავ!

მხატვარი.

ისე რა, არა უშავს.

ბიზონი.

შენ ხატავ-მეთქი,

(პოეტს) ხოლო შენ ლექსზე თუ რამ ითქმის, იგი ესოდენ ლამაზია და ნატიფია, რომ ლექსში უფრო

ბუნებრივი და მართალი ხარ; მაგრამ ორივეს.

ამ სიკეთესთან ერთად, ძმანო, გამოგიტყდებით,

ერთი ნაკლიც გაქვთ, თუმც საშიში არ არის იგი

და არც მე მინდა, თქვენ რომ ამად თავი მოიკლათ.

ო, ჩვენც გვაუწყეთ, გვედრებით ორთავ მუხლმოყრით.

ვინძლო აუგად მიმითვალთ?

მადლს მოგახსენებთ.

ორივენი.

მართლა?

ბიზონი.

ორთავე სიტყვას გაძლევთ.

ორივენი.

ჰოდა, ორთავე

ბიზონი.

ერთ სალახანას მინდობიხართ, ვინც დღენიადაგ უღმრთოდ გატყუებთ.

ორივენი.

ნუთუ მართლა?

ბიზონი.

ორთავე ერთად

იმის ცთუნებებს აყოლიხართ, მის უგვანობას

უყურებთ, უმზერთ მის სიტლანქეს და მაინც გიყვართ,

სისხლით აპურებთ და საკუთარ გულით ატარებთ,

ის კი პირწმინდა თაღლითია!

მხატვარი.

მე ასეთს არვის

არ ვიცნობ.

პოეტი.

არც მე.

ბიზონი.

მეგობრებო, მე თქვენ მიყვარხართ, ოქროსაც მოგცემთ, განერიდეთ ოღონდ თაღლითებს, მოსპეთ ისინი, ჩამოახრჩვეთ, მოაშთვეთ ხრამში,

რალაც ილონეთ, ხოლო მერე მოდით და ოქროს
თავსაყრად მოგცემთ.

ორივენი.

ბიზონი.

გვარქვი მათი სახელი მაინც.

შენ იმ გზით წადი, შენ კი — ამ გზით, თუმცა ცალცალკეც
ორი იქნებით, თითო-თითოდ განმარტოებულთ
მეგობრად მაინც შემოგრჩებათ არქი-თაღლითი.

(მხატვარს პოეტზე მიუთითებს.)

ნუ მიხვალ მასთან, თუ გინდა, რომ ერთურთს არ შეხვდეს
ორი თაღლითი.

(პოეტს მხატვარზე მიუთითებს.)

ხოლო შენ თუ ერთი თაღლითი
ორს გირჩევნია, ნურც შენ მიხვალ, ეხლა კი გასწით.

(სცემს ორივეს.)

მიიღეთ ოქრო, თქვენ ხომ მისთვის მოხვედით მხოლოდ,
თქვენ ხომ ეგოდენ გაისარჯეთ, ჰა, საზღაურიც!
აღქმიკოსნო, ამ მუშტებშიც ჰპოვებდეთ ოქროს!
გასწით, ბინძურო ქოფაკებო!

(გადიან.)

სცენა II

იგივე. შემოდის ფლავიუსი და ორი სენატორი.

ფლავიუსი.

ტიმონთან ყველა ლაპარაკი დღეს ამაოა,
იგი იმდენად განმარტოვდა საკუთარ თავში,
რომ საკუთარი თავის გარდა ყოველი კაცი
მტრად მიაჩნია.

I სენატორი.

მიგვიყვანე მღვიმესთან მხოლოდ,
აუცილებლად უნდა ვნახოთ, — ჩვენ ათენელებს
სიტყვა მივეცი.

II სენატორი.

ვერ იქნება ძე-ხორციელი
მუდამ იგივე, დრომ კვიმატმა და მწუხარებამ
იგი ამ დღეში მოაქცია. და კვლავ დრო აქცევს
ძველებურ კაცად თვისის ხელით ულამაზესით,
როცა მიაგებს მას ძველებურ დიდებას ისევ.
შენ მიგვიყვანე. მოსახდენი მოხდეს.

ფლავიუსი.

ჰა, მღვიმეც —

აქა მშვიდობა, ტიმონ! ტიმონ, ერთი მოგვხედე
შენს ძველ მეგობრებს. ღირსეულთა სენატორთ პირით
მოგესალმებით ათენელნი. კეთილშობილო,
ელაპარაკე სენატორებს.

(შემოდის ტიმონი.)

ტიმონი.

მზეო მაღალო,

კაცთა რომ ალხენ, ეხლა დაგვწვი. — მითხარით,
რა გსურთ? —

და ჯანდაბამდის გზა გქონიათ! მართალმა სიტყვამ
ენა სხვირპლებით მოგიტესოთ, ხოლო სიცრუემ
ამოგიძირკვოთ ენა ძირში, რა აღმოიტყვი.

I სენატორი.

ო, ღირსეულო მამრო.

ტიმონი.

თქვენგნით, ვით ჩემგნით თქვენ ხართ.

II სენატორი.

მოგესალმებით ათენელი სენატორები.

ტიმონი.

მადლობას ვუთვლი და ვუგზავნი ჭირს ყველას ერთად,
უკეთუ ოდენ მოვიხელთე.

I სენატორი.

გთხოვთ დაივიწყო.

ყველა შენდამი სიყვარულით შთაგონებულნი
გვედრიან ათენს დაუბრუნდე. დარბაისელნი
ამაოდ დაშთენ ყოვლად ურგნი და უსაქმურნი —
შენ მოგელიან ეპატრონო და იმსახურო.

II სენატორი.

მათ აღიარეს, თუ რაოდენ უხეშად შეცდნენ,
რა ხელალებით მიგივიწყეს და თვითონ ხალხმა,
ვისაც აროდეს სიტყვა უკან არ წაუღია,
იჭირვა შენი დახმარება, ურომლისოდაც
შეიგრძნო მხოლოდ გარდუვალი დაღუპვა თვისი
და წარმოგვგზავნა, რომ წუხილი მისი გაუწყოთ
ერთად ამ ძვირფას საზღაურთან, რაიც უთუოდ
გადაიწონის ყველა აუგს, შენ რომ მოგაგეს. —
ისე დიდია ეს სიმდიდრე და სიყვარული,
რომ ჩამოგრეცხავს მათ სიავეს და ნაცვლად გულში
მათი შენდამი სიყვარულის რიცხვებს დააჭდევს,
რომ ყველას შენად მიითვლიდე.

ტიმონი.

თითქმის მომნუსხეთ

რ. უილიამ შექსპირი

და განცვიფრებამ ჩემმა ლამის ცრემლად იდინოს —
სულელის გულიც მომაშველეთ და ქალის თვალნიც
და მე ვიტყვებ მოწყინარი, ო სენატორნო.

I სენატორი.

მაშ, წამობრძანდი, მივაშუროთ კვლავ ათენს ერთად.
შენს და ჩვენს ათენს, და მის მდგმურთა უწინამძღვრებდე,
იქ მადლიერი ხალხი გელის. დაე, ათენში
ძალშემოსილი კვლავ ისმოდეს სახელი შენი,
როცა დავამხობთ იმ ცოფიან ალკიბიადეს,
ძირშივე რომ ჰგლეჯს სიმყუდროვის რტომრავალ ხეებს
თავის ქალაქში, მართ ვითარცა ტახი ველური.
და სისხლიან ხმალს რომ უღერებს ათენის კედლებს.
ამიტომ, ტიმონ...

II სენატორი.

I სენატორი.

ბიზონი.

მაშინ მზად ვარ, რა გაეწყობა?!...

ამიტომ უნდა მეც მივაგო მისაგებელი:
როცა ათენელთ უმოწყალოდ ჩეხვას დაუწყებს,
არქვით, რომ ტიმონს არ ადარდებს აღარაფერი.
ხოლო როდესაც ლამაზ ქალაქს უდაბნოდ აქცევს,
თეთრი წვერებით რომ დაითრევს ღირსეულ მხცოვანთ,
გამხეცებულ და გახლებულ გულქვა მეომრებს
გადასათქერად რომ მიუგდებს უმანკო ქალწულთ, —
ჩემი სახელით მოახსენეთ, ვითარმედ ტიმონს
ესმის გულისთქმა ყველა ყრმის და ყველა მხცოვანის
და მათი ბედი აწ არაფრად ეპიტნავება.
სიავე თვისი მხედრიონმა კვლავ განამრავლოს!
თქვენ მათ დანებზე თავს ოდნავად ნუ შეიწუხებთ,
ვიდრემდის ჭია შურისგების გულს კიდევ გიღრღნით,
მე კი მტრის ხელში მომცრო ჯაყვას უფრო პატივს ვდებ,
ვიდრე ყანყრატოს პატივდებულ ათენელისა,
ამიერიდან თქვენ თავს მარად უკუნისამდე
კეთილმოსურნე და მოწყალე ღმერთებს ვავედრებ,
ვით მეციხოვნეთ გაიძვერებს და ავაზაკებს.
ახლა ხომ ხედავთ, ხომ დარწმუნდით, რომ ყოველივე
აწ ამაოა.

ფლავიუსი.

ბიზონი.

თქვენს მოსვლამდე ჩემი სამარის
ეპიტაფიას ვწერდი — იმას ხვალ მოიხილავთ.
შეუმცდარად ვგრძნობ, უკვე ჩემი ამქვეყნიური

უნდა დამთავრდეს მწუხარება — დრო მოიწია,
ფუფუნებას და სიჯანსაღეს რომ უწოდებენ, —
არარაობით მემუქრება აქ ყველაფერი,
წადით, გამშორდით! ეცადეთ, რომ მაინც იცხოვროთ,
ალკიბიადე ჭირად გექცეთ, თქვენ იმას — ჟამად
და თუ გადაურჩით ერთურთს, კიდევ იცხოვრეთ... წადით!
ჩანს, სულ ამაოდ გავისარჯეთ.

I სენატორი.
ბიზონი.

და მაინც, რა ვქნა,
ჩემი ქვეყანა ისევ მიყვარს, არ მიხარია
მისი მოსრა და აოხრება, როგორც ამბობენ
ათენელები ჩემზე.

I სენატორი.
ბიზონი.

ეს სხვა ლაპარაკია.

ჩემი სალამი უსაყვარლეს თანამოძმეებს!
ბაგეთაც ჰშვენიოთ ეს სიტყვები.

I სენატორი
II სენატორი.

და სასმენელში

შემოდის ისე, ვით მეუფე ძალშემოსილი.
და თავიც მდაბლად დაუკართ მათ ჩემ მაგიერ.
არქვით, რომ მინდა განვარიდო ისინი ურვას,
ჭირს, სინაკლულეს, აოხრებას, შიშს მტრის წინაშე,
ტრფობით მონაგებ მწუხარებას, ფათერაკს, რაიც
სუსტ ნავს ნიადაგ ემუქრება ამ უსაშველო
გზაზე — მე მათი დახმარება დასტურ მწყურია,
ვასწავლი, როგორ გადაურჩნენ ალკიბიადეს
რისხვას და წყრომას.

ბიზონი.

II სენატორი.

ბატონებო, ეს უკვე მომწონს, —

ბიზონი.

ექვიც არ არის, უცილობლად დაგვიბრუნდება.
ჩემი ქვაბის წინ ერთი ხე დგას — კარგა ხანია
მოჭრას ვუპირებ, ჰოდა, ჩქარა ყველას აცნობეთ,
ჩემთა მეგობართ, ყველა ჯურის, ყველა წოდების
ათენელს, ყველას — ვისაც ტანჯვას სურს განერიდოს,
სასწრაფოდ ამ ხეს მოაშუროს და მის ტოტებზე
დაუჩივლებლივ ჩამოიხრჩოს თავი, ვიდრემდის
არ მომიჭრია იგი ძირში. აბა, თქვენ იცით,
და თავიც მდაბლად დაუკართ ძვირფას მეგობრებს!
ნულარ აწვალეთ, ბატონებო, იგი, რაც იყო,
იგივედ რჩება — ვერაფერი მას ველარ შეცვლის,

ფლავიუსი.

ტიმონი.

აწ ნულარ მოხვალთ. გადაეცით ათენის მდგმურებს,
რომ მარადისი დავიმკვიდრე მე სამყოფელი
ნაპირზე, რასაც მოქცევისას ქაფმორეული
მარილიანი ზღვა დაჰფარავს ზათქით ნიადაგ,
ორაკულივით დგეს სამარის ქვა მათ წინაშე, —
ბაგე რა ურვას აღმოიტყვის, რჩება მდუმრიად.
დე, ბოროტება გაასწოროს ჭირმა! დე, ხალხი
მთელი ცხოვრება მარტოოდენ კუბოებს თლიდეს
და სიკვდილს, ჯილდოს ვით უდიდესს, ისე ელოდოს.
ნულარ ანათებ, ჩაქრი, მზეო! სულის საყუდარს
ჩრდილი ეცემა, აღსასრულის დრო თუ დაუდგა.

(მღვიმეში შედის.)

I სენატორი.

განუშორებლად შეეზარდა იმის სულს წყენა
და მრისხანება.

II სენატორი.

ღვთის ანაბრად დაშთა ათენი,
უკანასკნელიც წარიკვეთა სასო, წავიდეთ,
რამე ვიღონოთ, ვნახოთ აბა, დალუპვისაგან
რა გვიხსნის.

I სენატორი.

დროა, დაყოვნება აწ სიკვდილს უდრის.
(გადიან.)

სცენა III

ათენის კედლებთან.

შემოდის ორი სენატორი და შიკრიკი.

I სენატორი.

დასტურ ეს ცუდი ნიშანია! მაშ, უთვალავი
ჯარი მოდისო ათენისკენ შეუსვენებლივ —
ასე არა თქვი?

შიკრიკი.

ბორცვიდანაც თვალს ვერ მიუწვდენ,
თანაც მგლებივით ისე სწრაფად მოძუნძულებენ,
საცაა კიდევ დავინახავთ.

II სენატორი.

დავიღუპებით,
ტიმონი დროზე თუ ათენში არ დააბრუნეს.

შიკრიკი.

აღკიბიადეს შიკრიკს გზაზე გადავეყარე.
აწ თუმცა ორთავ ერთურთს მტრებად მოვკიდებივართ,,
მაგრამ შულს ძველმა მეგობრობამ მაინც დასძლია
და გზად კარგა ხანს ვისაუბრეთ — აღკიბიადეს
გრძელი უსტარით წარეგზავნა იგი ტიმონთან,
მოდო და ერთად დავლაშქროთო ათენის ბჰენი! —
მოგეხსენებათ, ამ ამბოხში თვითონ ტიმონსაც
მიუძღვის ბრალი, მგონი, არცთუ მცირეოდენი.

(შემოდის ტიმონთან წარგზავნილი სენატორები.)

I სენატორი.

აჰა, მოძმენიც!

III სენატორი.

ყოველივე იქმნა იავარ, —
ტიმონზე ალბათ ზედმეტია აწ ლაპარაკიც.
მტრის დაფდაფების ყრუ გუგუნე უკვე მოისმის,
ზვავი მოიწევს სწრაფად და მტვრის კორიანტელი
ზეცას სვეტებად შესდგომია, უკვე დრო არის
ძალას ჩვენც ძალა დავახვედროთ, მაგრამ ვაი რომ
მიგვდევნის ბედი შავ სიკვდილთან სამუშაოთოდ.

(გაღის.)

სცენა IV

ტყე. ტიმონის მღვიმე. შორით მოჩანს სამარის ქვა.

შემოდის მეომარი.

მეომარი.

მე მგონი, როგორც ამიწერეს, ეს უნდა იყოს
ტიმონის მღვიმე — ეჰეი, მანდ ვინ არის? უუ!..
ხმა რომ არ ისმის? ხომ არ მოკვდა? ეს რაღა არის?
მხეცი დაჰგლეჯდა, აბა, ავკაცს აქ რა უნდოდა? —
არა, მკვდარია, რა თქმა უნდა, — აი, სამარეც,
წარწერაც არის, მაგრამ მე რომ კითხვა არ ვიცი?!
ცვილზე გადვიტან მის ანაბეჭდს, ჩვენს მხედართმთავარს
ყველა წერილის ამოკითხვა ადვილად ძალუძს,
მეერი რამ იცის, თუმცა შორსაა ჯერ სიბერისგან.

უკვე დალაშქრა ალბათ კიდევ ჩვენი ათენი
და დასდის ქალაქს წვეთ-წვეთ სისხლი გამოსადენი.

(გადის.)

სცენა V

ათენის კედლებთან.

საყვირების ხმა. ალკიბიადე შემოდის ჯარით.

ალკიპიადე.

დასცხეთ, გაიგოს მშიშარა და გარყვნილმა ხალხმა
ჩვენი შემოსვლა!

ქალაქიდან ისმის საყვირების ხმა, მოსალაპარაკებლად
გაღმოდგებიან სენატორები.

დღემდე ათენს თქვენ წარმართავდით,
როგორც გენებათ, სამართალი თქვენს ნება-სურვილს
ვერ აღემატა ვერასოდეს. დღემდე ყველანი,
და მეც მათ შორის, თქვენი ძალის და მეუფების
მძიმე ჩარდახქვეშ ბურანში რომ ერთიან ვთვლემდით,
დავბანდალობდით შავ წყვდიადში ხელდაკრეფილი
და გულისტკივილს სულ ამოდ შემოგჩიოდით.
შებრუნდა ჩარხი, გაიღვიძა მათხოვრის ძალამ,
ყველა ბურჯების შემმუსვრელმა, და გამოიჭრა
გარეთ უგონოს ზარგანმხდელი ღრიალით: „კმარა“!
და დადგა ჟამი, ქედდადრეკილ ტანჯვა-წამებას
თქვენს რბილ ნოხზე და სავარძლებში რომ მოასვენებს,
თან გაქსუებულ უტიფრობას და თავხედობას
შიშით რომ ზაფრავს და კუდით ქვას რომ ასროლინებს.
ო, ღირსეულო მეუფეო, მაინც კვლავ ყრმაო,
შენ შურისგების ნარგავს ჯერეთ ფიქრებში ზრდიდი
და გაკლდა ძალა, მართ ვითარცა სენატს მიზეზი
შენდამი შიშის, — რაოდენჯერ გეახლეთ, გმირო,
მაგ სიშმაგეზე ბალზამი რომ გადაგვესხურა,
რათა როგორმე წარგვეხოცა უმადურობა
მის უმეტესი პატივითა და წარჩინებით.

I სენატორი.

II სენატორი.

ჩვენ ისიც ვცადეთ, თუმცა ბოლოს ვერაფერს გავხდით,

შემოგვერიგა კვლავ ტიმონოთავის ათენთან,
ხალხიც წარვგზავნეთ ჩვენი ცოდვის მისატევებლად
და ძველებური სახელი და უნჯიც აღვუთქვით.
ყველანი არ ვართ უმადურნი, საშინელ დარტყმას
ათენში ყველა ერთად მაინც არ იმსახურებს.
შენდამი ბრალი იმათ მაინც სულ არ მიუძღვით,
ვინც ეს კედლები ალაშენა, ანუ ისეთი
რა უსაშველო უნდა იყოს რისხვა და წყრომა,
რომ ეს კედლებიც და სკოლებიც მილეწ-მოლეწოს?!
შენი მოკვეთის მოსურნენიც აღარ არიან, —
იმ სამარცხვინო საქციელმა თვითონვე იმათ
გაუპო გული! ღირსეულო დიდო მეუფევ,
დროშების ჩრდილქვეშ შემობრძანდი ქალაქ ათენში
და მოაკვდინე მის მდგმურთაგან ყველა მეთე,
უკეთუ მძორი შურისგებას სწყურია შენსას,
თვისგან რომ ზიზღით განარიდებს მუდამ ბუნება, —
დე მეთედით დაიურვე რისხვა სასტიკი:
ვისაც მეთე ქვა შეხვდება წილყრაში, იმას
დასტურ სიცოცხლე მოესწრაფოს!

I სენატორი.

II სენატორი.

I სენატორი.

ყველამ არ გიმტრო,
დამნაშავის წილ უცოდველი პასუხს არ აგებს
და არც უგვანო საქციელი, მოგეხსენება,
მემკვიდრეობით არ გადადის კაციდან კაცში.
ჰოდა, სულგრძელო თვისტომო და სისხლ-ხორცო ჩვენო,
შემოიყვანე შენი ჯარი და კედლებს მიღმა
დასტოვე შენი ულმობელი ცოფი და ბრაზი,
დაინდე კერა და აკვანი შენი — ათენი,
და ყველა იგი, ვისაც მოსრავ შენს მტრებთან ერთად!
ვითარცა მწყემსი დაუბრუნდი შენს კუთვნილ სამწყსოს
და ჯანსაღს ოდენ ავადმყოფი გამოარიდე,
ჭირიანი და დაფეხვილი, კრული და მრუდი,
ყველას ნუ გასწყვეტ!

II სენატორი.

ხოლო იმას, რასაც ესწრაფვი,
უმალ ღიმილით დაიუფლებ, ვიდრე მახვილით
და მარწყუხებით.

I სენატორი.

კურთხეულო, საკმარისია

შეეხო რკინის კარიბჭეებს, რომ მეყსეულად
განიხვნეს ყველა შენ წინაშე, უკეთუ თვისტომთ
გვამცნობ, რომ ათენს მობრძანდები ძმად და მეგობრად,
და არა მტრად და მომშობელად.

II სენატორი.

ან ხელთათმანი,

ან რალაც ნივთი გადმოგვიგდე იმის საწინდრად,
რომ ხმალს სანაცვლოს მისაგებად აღმართავ ოდენ
და არა შენთა მიუსაფარ თანამოძმეთა
მოწყვლად და მოსრად. დაე, ჯარი ხმალშემართული
მანამდე იდგეს სენატის წინ, ვიდრე ერთიან
ყველა ვნებას და აღტყინებას არ დაიურვებ.

ალკიზიადე.

დე, ასე იყოს! ჰა, საწინდრად ეს ხელთათმანიც.
კეთილინებეთ და დახსენით ჭიშკრები უმაღლ,
ტიმონისა და ჩემს მტერთაგან ოდენ ისინი
წარწყმდნენ, რომელთაც თავად თვითონ თქვენ გაიმეტებთ —
სხვას იმათ გარდა საფრთხე არვის არ ემუქრება,
ხოლო, რომ უფრო დაგარწმუნოთ, ვბრძანებ: არც ერთი
გინდ მხედართაგან, გინდ ფეხოსან მეომართაგან
არ მიატოვებს თავის ადგილს და არვინ ხელჰყოფს
ჩვენი ქალაქის სიმშვიდესა და სიმყუდროვეს.

ორივე სენატორი.

რა დიდებული სიტყვებია!

ალკიზიადე.

თქვენც აღასრულეთ
თქვენი აღთქმა და დაპირება, გახსენით კარი.
(შემოდის მეომარი).

მეოვარი.

ჩემო მამაცო და სულგრძელო მხედართმთავარო!
ტიმონი უკვე მიიცვალა, დაე სამარის
წარწერამ, აი, ამ ცვილზე რომ გადმოვიტანე,
პასუხი აგოს ახლა ჩემი უმეცრების წილ.

ალკიზიადე.

(კითხულობს).

„აქ განისვენებს უმწეო გვამი, განშორებული უმწეო
სულთან,
განა სულერთი არ არის შენთვის, რას ვესწრაფოდი, რა
ჭირი მსურდა?“

აქ დაიმარხა თავი ტიმონმა, სიზმრად მიიქცა ყოველი ცხადი,
გვერდს რომ ჩაუვლი, დასწყევლე, მგზავრო, ეს საფლავი და
შენი გზით წადი“

ახლა ცხადია ჩემთვის, ტიმონ, თუ რას ფიქრობდი

პირისპირ მდგარი სიკვდილის წინ, კაცის ჭირ-ვარაშს
თუმც მთიხნეველი არარად და აუგად რაცხდი
ჩვენს ყველა ფიქრს და გულისტკივილს, თუმც სამარცხვინოდ
მიგაჩნდა კაცის ძუნწი ცრემლი, მაგრამ ძლიერმა
გონებამ შენმა გამცნო, როგორ გამოგეტყუა
თვითონ ნეპტუნი დღენიადაგ შენს სამარეზე
მიტევებული ცოდვის შენის დასატირებლად,
შენ მიიცვალე, ადამის ძევ კეთილშობილო,
მაგრამ მრავალგზის მოგიგონებთ ათენელები. —
გახსენით კარი, შემოყვანეთ და მახვილს ჩემსას
ზეთისხილის ტოტს დავუსართებ, დაე მშვიდობა
დაჰბადოს ომმა, დაიურვოს მშვიდობამ იგი
და იზეიმოს სიხარულმა მისმა ურვამდე
და ორივენი მარადისად ერთურთს ჰკურნავდნენ.
დასცხეთ დაფდაფებს!

(გადიან.)